პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დღის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—70
) მდივნის 10—68
) დამხ. მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 24 ივნისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 145 (2188)

დღიური

— ციხიდან გაანთავისუფლეს საფრანგეთის კომუნისტი —დეპუტატი ამხ. მარსელ კაშენი.
— ინგლისის კომპარტიის პოლ იტბიუროს განცხადება.
— რეპრესიები ოპოზიციის წინააღმდეგ სამხრეთ-სლავიაში.
— რიგაში შესდგა ლიტვა-ლატვიის დაახლოვების კონგრესი.
— ანტვერპენის ნავთსადგურის მუშათა გაფიცვა გრძელდება.
— შეთანხმება საბჭოთა კავშირის და ნორვეგიის მშენებელ მუშათა მთლიანობის კომიტეტის დაარსების შესახებ.

1928 წლის 2 ივლისს,
საქ. სახალხო კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში, საღამოს 6 ს.
დანიშნულია
საქ. კომპ. ცენტრალური საკონტროლო კომისიის
მესამე მორიგი პლენუმი
დასწრება საკ. კომისიის ყველა წევრების და კანდიდატების სავალდებულოა.
ც. ს. კომისიის თავმჯდომარე: ა. დოლიძე.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა **ივლისისათვის**
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81.

კოოპერატიული მუშაობის ნაკლოვანებანი

საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება მივაქციოთ ქუთაისიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაზე, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ. იქ სვირის რაიონის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ, სხვათა შორის, შემდეგს ვკითხულობთ „1) შეძლებულ გლეხობისათვის მიუციათ სესხად 835 მანეთი, რომელიც დღემდეც დაუფარავია; 2) საკრედიტო ამხანაგობის მეშვეობით ჩამოყალიბებულა ჯგუფი 18 კულაკისაგან, რომელიც შემდეგ „სამანქანო ამხანაგობად" გარდაქმნილა და საამისო დასტურიც მიუღიათ როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრისაგან. მიუციათ მათთვის „ფორდზონი" და სხვა სამეურნეო იარაღები ნისიად, რომელიც სავსებით დღემდე არაა გადახდილი... ღარიბები არ მიუკარებიათ... ეს საქმე გადაგზავნილია „სოფლის კავშირში" და დღემდე იქიდან პასუხი არაა. 3) ჩამოყალიბებულა მევენახეთა ამხანაგობა „მეურნე" ცალკე გამგეობით, რომელსაც მეთაურობდენ ვინმე ა. კაპანაძე და გ. გამყრელიძე, რომელთაც ჯერ კიდევ წარსულ წელს გაუფლანგავთ 1,800 მანეთად ღირებული 900 ვედრო ღვინო. ეს საქმე სასამართლოში ყოფილა, მაგრამ ამ უკანასკნელს დღემდე არავითარი ზომები არ მიუღია". ყველაფერ ამას აცხადებს ქუთაისის ოლმასკომის თავმჯდომარე, რომელსაც სვირის რაიონი ამას წინედ გამოუკვლევია.

ჩვენ ასეთი ვრცელი ამონაწერი მოვიყვანეთ კორესპონდენციიდან, რადგან მასში აღნიშნული ფაქტები თავისთავად მეტად საგულისხმოა და ამასთან მსგავს რამეებს, უეჭველია, სხვაგანაც ექნება ადგილი. სვირის კოოპერაციას ბევრი თვალსაჩინო მიღწევა ჰქონდა, მაგრამ ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ უმსუბუქებს პასუხისმგებლობას სათანადო პირებს და ორგანოებს ამ დაუშვებელი ფაქტებისათვის, რომლებიც ზევით მოვიყვანეთ.

საქმე ეხება კულაკებისა და საეჭვო ელემენტების მიერ კოოპერაციის გამოყენებას თავისი ინტერესებისათვის.

როგორ ხდება, რომ შეძლებული გლეხობა ახერხებს კოოპერაციიდან სესხის აღებას, როცა აშკარაა, რომ ღარიბი და მასთან ახლო მდგომი საშუალო გლეხობა მეტ წილად დაუკმაყოფილებელია, როცა კოოპერაციას საერთოდ ახასიათებს თანხების სიმცირე. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის უხეშ დარღვევასთან. აიხსნება ეს ჯერ კიდევ გავრცელებული ნათლიმამობით, დაუდევრობით, თუ ჩვენი კოოპერაციის დანიშნულების უცოდინარობით (რაც საეჭვოა) იმ პირთა მხრით, ვინც კოოპერაციას სოფლის შეძლებულ ფენების დამხმარე ორგანო ხდის, სულ ერთია: ასეთი მოქმედებისათვის დამნაშავენი სასტიკად უნდა დაისაჯონ, ასეთი მოვლენების შესაძლებლობა გადაჭრით უნდა იქნეს აღკვეთილი.

უფრო საგულისხმოა მეორე ფაქტი: კულაკების მიერ „სამანქანო ამხანაგობის" დაარსება, ისიც ადგილობრივი საკრედიტო სისტემის დახმარებით და ცენტრის დასტურით. კოოპერაცია, როგორც ვიცით, მრავალ მეტად მნიშვნელოვან შეღავათს აძლევს თავის წევრებს. იგულისხმება, რომ ეს წევრები მშრომელი გლეხობაა. კულაკები კი ცდილობენ ცრუ-კოოპერატივების დაარსებას, რათა ისარგებლონ ღარიბ გლეხობისათვის დაწესებულ შეღავათებით. ალაგ-ალაგ ისინი კიდეც ახერხებენ ამას. სვირის მაგალითი ამ მხრივ დამახასიათებელია. სვირის კულაკებს არამც თუ დაუარსებიათ „სამანქანო ამხანაგობა", არამედ მოუხერხებიათ ტრაქტორის და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღების ნისიად გამოტანაც. კულაკი—„კოოპერატორები" ისე გათავხედებულან, რომ ღარიბი გლეხობა ახლოაც არ გაუკარებიათ. რომ კიდეც შეეშვათ ღარიბი გლეხები თავის წრეში, ისინი მათ ხელში ერთი მხრივ იქნებოდენ ექსპლოატაციის ობიექტი, მეორე მხრივ ფარდა თავისი ამხანაგობის კულაკური ბუნების დასაფარავად.

მესამე ფაქტიც ანგარიშ-გასაწევია: გაფლანგვაში შემჩნეული პირები დაუსჯელად დასეირნობენ და კვლავ „საზოგადო მოღვაწეობის" სარბიელზე გამოდიან, აარსებენ თავის ხელმძღვანელობით რაღაც ამხანაგობას, ალბად ისევ ბნელი კომბინაციების მოქახირაკების მიზნით.

გაუგებარია, რომ „სოფლის კავშირი", რომლისთვის კულაკური ამხანაგობის საქმე გადაუგზავნიათ, აგვიანებს ჯეროვან ზომების მიღებას. აგრეთვე ხაზგასასმელია, რომ სასამართლო, რომლისათვის ხსენებულ გამფლანგველების საქმე გადაეცათ, ყურებსაც არ იბერტყავს. ჩვეულებრივი ბიუროკრატიზმია ეს თუ დამნაშავე ელემენტებს „სოფლის კავშირში" ან სასამართლოში მფარველები გაუჩნიათ? უეჭველია, რომ ადგილობრივი პარტორგანიზაცია და საბჭოებიც ვერ აცილებენ პასუხისმგებლობას სვირის კოოპერაციაში არსებულ დაუშვებელ მოვლენებისათვის. ეტყობა, რომ მათი კანტროლი და ხელმძღვანელობა მოიკოჭლებს.

რა დასკვნები გამოდის ზემო თქმულიდან? კოოპერაციაში ზოგან მახინჯდება პარტიის კლასობრივი ხაზი, რასაც გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ. პირველ ყოვლისა აუცილებელია კოოპერაციის სოციალურ შემადგენლობის გაჯანსაღება. ის უნდა შესდგებოდეს ღარიბ და ნამდვილად მშრომელ საშუალო გლეხებისაგან (სვირის სას.-სამეურნეო კოოპერატივში წევრების 15 პროც. შეძლებული გლეხობა ყოფილა, რაც მიუტევებელია). კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში არ უნდა გავაჭაჭანოთ კულაკური ელემენტები და მათი აგენტები: ეს ორგანოები სავსებით უნდა იყვეს მოწინავე და ღარიბ და მასთან ახლო მყოფ საშუალო გლეხობის ხელში. ულმობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოთ შეძლებულ ფენების მიერ კოოპერაციის გამოყენებას და კერძოდ ცრუ-კოოპერაციების შექმნას კულაკების მხრით. ფხიზელი კანტროლი უნდა დაწესდეს ამ მხრივ კოოპერაციაზე. ეს კანტროლი უნდა ხორციელდებოდეს როგორც კოოპერატივის წევრთა, ისე ადგილობრივ პარტორგანიზაციის კოოპერატიული ცენტრის მხრით. უკანასკნელმა უფრო მჭიდრო და ცოცხალი კავშირი უნდა გააბას ქვემდებარე ორგანიზაციებთან.

კოოპერაცია მშრომელი გლეხობის ორგანიზაციაა, ის მთელ თავის ძალღონეს და საშუალებებს ღარიბთა შეკავშირებას და მათი მეურნეობის აღორძინებას უნდა ახმარდეს, და არა იარაღს წარმოადგენდეს კულაკების ხელში. ზედმეტია ამ საანბანო ჭეშმარიტების განმეორება, მაგრამ რას იზამთ, როცა იგი ზოგიერთებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ, ან, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, როცა ვიღაცეები განზრახ გვერდს უხვევენ მას. ასეთი მდგომარეობა ერთხელ და სამუდამოდ რკინის ხელით უნდა იქნეს აღკვეთილი. შეუძლებელი უნდა გახდეს ზევით ჩამოთვლილ და მსგავს მოვლენების თუნდაც იშვიათი გამონაკლისის სახით არსებობა.

მცირე ანტანტის კონფერენცია

ბუქარესტში ამჟამად მიმდინარეობს მცირე-ანტანტის კონფერენცია. ინტრიგების რთული ქსელი, რომელიც იხლართება ამ კონფერენციაზე და მის გარშემო, და ამ პოლიტიკურ ძალთა ჭიდილი, რომელთა ასპარეზსაც წარმოადგენს იგი, ტყუილად როდი იზიდავს ევროპის პრესის ყურადღებას. რუმინეთი, ჩეხო-სლოვაკია და სამხრეთ-სლავია წარმოადგენენ უძლიერეს ურთიერთ საწინააღმდეგო გავლენათა სარბიელს. აქ ერთმანეთს ხვდება და ეჯახება საფრანგეთის და იტალიის იმპერიალიზმის ინტერესები. ამავე დროს ამ ქვეყნების ჩაბმა მთლიან ანტისაბჭოთა ფრონტში წარმოადგენს ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკის ერთ-ერთ არსებით ცენტრს. ამიტომ წინააღმდეგობანი და ბრძოლა ბუქარესტის კონფერენციაზე უაღრესად სიმპტომატიურია. იმ „ლოკალურ" კონფლიქტებს, რომლებიც მწიფდება მცირე ანტანტაში, აქვთ ევროპიული მნიშვნელობა. ადრე თუ გვიან ისინი გამოიწვევენ ახალი მსოფლიო კონფლიქტების წარმოშობას.

მცირე-ანტანტა პირველად წარმოიშვა, როგორც ვერსალისა და ტრიანონის ხელშეკრულებათა პირდაპირი ნაყოფი, როგორც იარაღი საფრანგეთის პოლიტიკისა, რომელიც სცდილობდა საუკუნოდ განემტკიცებინა ამ ხელშეკრულებებით შექმნილი მდგომარეობა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ძალთა შეფარდება ბურჟუაზიულ ევროპაში ეხლა რადიკალურად განსხვავდება იმ მდგომარეობისაგან, რომელსაც ადგილი ჰქონდა 9 წლის წინად. საფრანგეთის ბურჟუაზიამ დაკარგა ჰეგემონია კონტინენტზე. უაღრესად გაიზარდა ფაშისტური იტალიის იმპერიალისტური აქტივობა. თვალსაჩინოდ გაიზარდა გერმანიის კაპიტალიზმის პოლიტიკური წონა. სულ უფრო და უფრო მწიფდება გავლენის სფეროების ახალი „განაწილების" და საზღვრების ახალი „გადასინჯვის" საჭიროება. უნგრეთი მხოლოდ მოხერხებულ მომენტს უცდის, რომ ყელში სწვდეს რუმინეთს. იტალია აშკარა პროვოკაციულ პოლიტიკას აწარმოებს სამხრეთ-სლავიის მიმართ. ჩეხო-სლოვაკია ვერ ფარავს იმ შიშს, რომელსაც იწვევს მასში მისი მეზობელი გერმანია.

საერთო მისწრაფება, რომ, რაც არ უნდა დაჯდეს, დაცულ იქნას ძველი პოზიციები ახალ პირობებში და ძალთა შეცვლილი შეფარდების დროს —აი, რა იცავს საბოლოო დაშლისაგან მცირე-ანტანტას და დღესაც აკავშირებს მას საფრანგეთის მილიტარიზმის პოლიტიკასთან. კაპიტალიზმს არ სჩვევია განაწილების „მშვიდობიანად" მოხდენა. ამას საკმაოდ მჭერმეტყველურად ადასტურებს არა სხვა ვინმე, არამედ მთელი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიული პრესის მიერ ქებული „პაციფისტი" ბენეში. ბუქარესტის კონფერენციის წინ გამართულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ „იმ შემთხვევაში, თუ გადასინჯულ იქნა ტრიანონის ხელშეკრულება, შუა ევროპის ყველა პატარა ქვეყნების გაილაშქრებენ იტალიის წინააღმდეგ. ამ ხელშეკრულების გადათვალიერება უომრად შეუძლებელია". მაგრამ თუ იმ საერთო მისწრაფებამ, რომელიც მიმართული იყო ძველი პოზიციების შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ, დღემდე დაიცვა მცირე-ანტანტა საბოლოო დაშლისაგან, მაინც მისი დაშლის ძლიერ თვალსაჩინო ელემენტები უკვე ამჟამად გვაქვს თვალის წინ. სამხრეთ-სლავიის საგარეო პოლიტიკის ცენტრში ისევ სდგას მისი კონფლიქტი იტალიასთან. რუმინეთი სულ უფრო და უფრო აშკარად ემზადება საბჭოთა კავშირთან ომის პერსპექტივებისათვის, სულ უფრო და უფრო მჭიდროდ უახლოვდება პოლონეთს და ამრიგად სულ უფრო და უფრო უკავშირდება ინგლისის იმპერიალიზმს, რომელიც არის სამხრეთ-სლავიის მთავარი მტერის — იტალიის უმაღლესი პროტექტორი. აქედან წარმოსდგება ის აზრთა სხვადასხვაობა, რომელსაც ადგილი აქვს ბუქარესტში, და აგრეთვე ის უფრო შემარიგებელი პოზიცია, რომელსაც დაადგა რუმინეთის დელეგატი იტალიის მიმართ. ბრძოლა საფრანგეთის და იტალიის იმპერიალიზმის შორის, ბრძოლა სამხრეთ-სლავიასა და იტალიას შორის და რუმინეთისა და პოლონეთის კავშირი, მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ — ასეთია ის ჩარჩოები, რომლებშიაც სწარმოებს ბუქარესტის კონფერენცია. ყველა ამ წინააღმდეგობათა სიმწვავისა და აქტუალობის შეფასების დროს, ჩვენ მაინც ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობს მძლავრი ფაქტორი, რომელიც ყოველმხრივ აფერხებს და ანელებს ამ წინააღმდეგობათა მომწიფების ტემპს. ეს ფაქტორია ინგლისის იმპერიალიზმი, რომელიც უდიდესი დაჟინებით და თანამიმდევრობით სცდილობს დროებით შეანელოს, მიაფუჩეჩოს და უკან დასწიოს კონფლიქტები ბურჟუაზიული ევროპის ცალკე ქვეყნების შორის და დაუმორჩილოს ისინი გადამწყვეტ საერთო ამოცანას: მთლიანი ფრონტის შექმნას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ..

ამ ცენტრალური მიზნისათვის ინგლისი აქტიურად ჩაერია საფრანგეთ იტალიის ურთიერთობაში და უკვე ახლავე მიაღწია განსაზღვრულ წარმატებას ამ ურთიერთობის „ნორმალიზაციის" საქმეში. ამავე მიზნისათვის ის აღუთქვამს სამხრეთ-სლავიას სესხს 50 მილიონ გირვანქა სტერლინგის რაოდენობით, რათა აიძულოს იგი წავიდეს მეტ დათმობებზე იტალიის მიმართ. ამავე დროს ის ენერგიულ ზეგავლენას ახდენს სამხრეთ-სლავიასა და ჩეხო-სლოვაკიაზე, რათა ისინი რუმინეთის მზგავსად დადგენ ანტი-საბჭოთა პოზიციებზე. ამ მხრივ საინტერესოა გერმანულ გაზეთების ცნობები, რომ „საბჭოთა რუსეთის ცნობა სამხრეთ-სლავიისა და ჩეხო-სლოვაკიის მიერ, როგორც სჩანს, გადაიდება ინგლისის პოლიტიკური და ეკონომიური გავლენის ძლიერი ზრდის გამო შუა ევროპასა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე"-ო. ამრიგად, ინგლისის დიპლომატია ცდილობს ორივე მხრიდან შეანელოს სამხრეთ-სლავიასა და რუმინეთის შორის არსებული წინააღმდეგობანი: ის შუამავლობას ეწევა სამხრეთ-სლავიასა და იტალიას შორის და ამავე დროს აქეზებს პირველს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მცირე ანტანტის ბუქარესტის კონფერენცია წარმოადგენს იმ წინააღმდეგობათა დემონსტრაციას, რომლებიც ღრღნიან კაპიტალისტურ ევროპას. მაგრამ ამავე დროს ის წარმოადგენს ახალ დემონსტრაციას ინგლისის იმპერიალიზმის ცდებისას დაუმორჩილოს ეს წინააღმდეგობანი მის ძირითად ამოცანას: ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„პრავდა", 23 ივნისი.

დიდი კოალიციის მთავრობის შედგენის ცდა ჯერჯერობით ჩაიშალა

მიულერი სცდილობს შეადგინოს მთავრობა სოც.-დემ., დემოკრატების და ცენტრის პარტიის მონაწილეობით

ჩან-კაი-შის ორგანო ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

საბერძნეთში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა

გერმანიის მთავრობის შედგენის გარშემო

ბერლინი, 22 ივნისი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, მიულერმა აცნობა ჰინდენბურგს, რომ **დიდი კოალიციის მთავრობის შედგენა არ მოხერხდა.** ჰინდენბურგმა დაავალა მიულლერს გამართოს მოლაპარაკება ვეიმარის კოალიციის (სოციალ-დემოკრატები, დემოკრატები და ცენტრი) მთავრობის შესადგენად. მიულლერი დემოკრატებისა და ცენტრის პარტიის წარმომადგენლებს შეეკითხა—თანახმა არიან თუ არა ისინი აწარმოონ მოლაპარაკება მთავრობის შესადგენად ასეთ საფუძველზე, ორივე ფრაქცია დაპირდა, რომ მოკლე ხანში გასცემენ პასუხს. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ჩან-კაი-შის ორგანო ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

შანხაი, 22 ივნისი. გაზეთ „ჩაინა ტაიმს"-ში, რომელიც ზოგიერთი ცნობებით ჩან-კაი-შის ორგანოს წარმოადგენს, მოთავსებულია წერილი ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.

წერილში ნათქვამია, რომ ნანკინის მთავრობისა და საბჭოთა კავშირის მთავრობას შორის არასოდეს არ არსებობდა ფორმალური დიპლომატიური ურთიერთობა და რომ საბჭოთა საკონსულოების დახურვა და განდევნა კანონისა და წესრიგის დაცვის მოსაზრებებით ნაკარნახევი „შინაური საქმე" იყო. შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ ამ ჟამად ლაპარაკი შეიძლება არა დიპლომატიური ურთიერთობის განახლებაზე ან გაგრძელებაზე საბჭოთა კავშირთან, არამედ მხოლოდ ამ ურთიერთობის ახლად დამყარებაზე.

დასასრულ, გაზეთი მოუწოდებს ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებს (ალბად, გაზეთს მხედველობაში ყავს საგარეო საქმეთა მინისტრი **ვან-ჩჟან-ტინი,** რომელიც ზოგიერთ წრეებში ითვლება ურთიერთობის განახლების მომხრეთ) — იმოქმედონ ფრთხილად და მიუდგომლად და არ დაივიწყონ, რომ ასეთ საკითხებში „საჭიროა მოქმედება უმაღლეს ორგანოების ინსტრუქციების თანახმად" (ადს).

მინსეიტო იაპონიის პოლიტიკის შესახებ ჩინეთში

პეკინი, 22 ივნისი. იაპონიის ოპოზიციონურმა პარტიამ—მინსეიტომ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნავს თავის შეხედულებებს იაპონიის პოლიტიკაზე ჩინეთში. **დეკლარაცია მეტად გაურკვეველია. გმობს რა ერთი მხრით შანდუნში იაპონიის ჯარების გაგზავნას, „რამაც ვერ გადაარჩინა შანდუნში მცხოვრები იაპონელი მოქალაქენი მკვლელობისაგან", დეკლარაცია ამავე დროს აღნიშნავს, რომ „იაპონიას უფლება აქვს" დაიცვას თავისი მოქალაქენი ჯარების გაგზავნით.**

დეკლარაცია აცხადებს, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ უნდა აღიაროს, რომ ის „პასუხისმგებელია იმ სისასტიკისათვის, რომელიც გამოიჩინეს იაპონელების მიმართ". ცზინანში, და „დაამტკიცოს, რომ მას შეუძლია უცხოელების დაცვა" ამის შემდეგ იაპონიის მთავრობამ უნდა გაიყვანოს ჯარები შანდუნიდან.

ესალმება რა ჩინეთის გაერთიანებას, დეკლარაცია მოითხოვს, რომ იაპონია არ ჩაერიოს ჩინეთის სამოქალაქო ომში და ამასთანავე ერთად ხაზს უსვამს იაპონიის განსაკუთრებულ ინტერესებს მანჯურიაში (ადს).

ჭორები „ავტორიტეტულ წყაროებიდან"

შანხაი, 22 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ საბჭოთა საკონსულოზე თავდასხმა ტიანძინში მოხდა გარნიზონის უფროსის განკარგულებით. გარნიზონის უფროსმა, თითქოს, „ავტორიტეტულ წყაროებიდან მიიღო საიმედო ცნობები, რომ საკონსულოში იმალება 100 კომუნისტი ყუმბარებით და ვინტოვკებით". მიუხედავად ამისა, რეიტერის ცნობაში ნათქვამია, რომ საკონსულოში არავითარი იარაღი არ აღმოჩნდა.

შემდეგ რეიტერი ამტკიცებს, თითქოს, ჩხრეკის დროს საკონსულოში აღმოაჩინეს „ზოგიერთი დოკუმენტები"

საყოველთაო გაფიცვა საბერძნეთში

ვენა, 22 ივნისი. ათენიდან იუწყებიან, **რომ 22 ივნისს საბერძნეთში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა.**

ავსტრიის გაზეთების კორესპონდენტების ცნობით ათენიდან, საბერძნეთის ხელისუფლებამ **კონფისკაცია უყო საბერძნეთის შრომის კონფედერაციის ცირკულიარს, რომელშიაც ნათქვამია, რომ საყოველთაო გაფიცვა უნდა გაგრძელდეს 48 საათს.**

სალონიკში ადგილი ჰქონდა ახალ შეტაკებებს, ცხენოსან პოლიციასთან. პოლიციამ იერიში მიიტანა გაფიცულთა დემონსტრაციის წინააღმდეგ. დაჭრილია მრავალი მუშა. დააპატიმრეს 10 კაცი (ადს).

ვენა, 22 ივნისი. იუწყებიან, რომ საგაფიცვო მოძრაობას საბერძნეთში ხელმძღვანელობს იმ პროფკავშირთა ბიურო, რომლებიც გამორიცხული არიან საბერძნეთის შრომის საყოველთაო ფედერაციის უკანასკნელი მაისის ყრილობიდან.

ბიუროში წარმოდგენილია 5 კავშირი: მეთამბაქოეთა, გემოკვების, მელითონეთა, მშენებელთა, პოლიგრაფიულ მრეწველობის მუშათა და აგრეთვე ბევრი ადგილობრივი პროფორგანიზაცია.

შრომის საყოველთაო რეფორმისტული კონფედერაცია იძულებული გახდა გამოეცხადებია საყოველთაო გაფიცვა, გაფიცულთა ზეგავლენის გამო, მას შემდეგ, რაც უშედეგოდ დამთავრდა მისი ცდა. მიმართული საგაფიცვო მოძრაობის ლოკალიზაციისაკენ.

რევოლიუციონურ პროფკავშირთა ბიურო მოუწოდებს საერთაშორისო პროლეტარიატს საბერძნეთის მუშებისათვის სოლიდარობის გამოცხადებისაკენ.

საბერძნეთის მთავრობამ მიიღო საფრანგეთის შრომის უნიტარული კონფედერაციის საპროტესტო დეპეშა გაფიცულთა მიმართ ტერორის გამოყენების წინააღმდეგ.

დაპატიმრებულია ბევრი ბერძენი კომუნისტი, რომლებიც გადაასახლეს კუნძულებზე (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია

ამხ მონმუსოს საბოლოო სიტყვა. ამხ. რენო ჟანის და სემარის სიტყვები

პარიჟი, 23 ივნისი. საფრანგეთის კომპარტიის კონფერენციაზე დამთავრდა კამათი პროფკავშირის საკითხის გარშემო.

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა **მონმუსომ,** რომელმაც დაწვრილებითი პასუხი გასცა ულტრა-მემარცხენეებს. მონმუსომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიისთვის საჭიროა, მასიური და არა სექტანტური პროფკავშირები, და რომ პროფკავშირებს უნდა გაეწიოს კარგი ხელმძღვანელობა, რისთვისაც აუცილებელია პარტიის ყველა წევრების თანაგრძნობა.

კამათში სოფლად მუშაობის საკითხის გარშემო, სხვათა შორის, გამოვიდა **რენო ჟანი,** რომელმაც აღნიშნა, რომ საფრანგეთი უკვე აღარ არის გლეხური ქვეყანა, მაგრამ სოფლის მუშები წარმოადგენენ მოსახლეობის უდიდეს პროფესიონალურ ჯგუფს და სოფლის მონაწილეობის გარეშე რევოლიუცია საფრანგეთში შეუძლებელია.

„პარტიის აგრარული პროგრამა,—განაცხადა რენო ჟანმა,— რომელიც გვაქვს 1921 წლიდან, წარმოადგენს უძლიერეს იარაღს ბრძოლაში მასების დაპყრობისათვის. საჭიროა მუშაობის გაძლიერება სოფლად, საჭიროა შესწავლა იმ რთული პრობლემების, რომლებსაც აყენებს სოფლის განსაკუთრებული პირობები.

რენო ჟანს თავის საბოლოო სიტყვაში უპასუხა **სემარმა,** რომელმაც აღნიშნა, რომ რენო ჟანი აზვიადებს ბურჟუაზიის დროებითი კონსოლიდაციის მნიშვნელობას და შემცდარ დასკვნებს აკეთებს აქედან.

„კომფრაქციის რიცხვობრივი შემცირება დეპუტატთა პალატაში—განაცხადა სემარმა,—აუცილებელი იყო. შესაძლოა ფრაქცია სულ დაიშალოს, თუ კომპარტია შემდეგში გამოცხადდა არალეგალურად. **მაგრამ პარტიის გავლენა მუშათა მასებზე დეპუტატთა რაოდენობით როდი განისაზღვრება. ეს გავლენა შეუჩერებლივ იზრდება და ძლიერდება".**

შემდეგ **სემარმა** აღნიშნა, რომ არ არის სწორი რენო ჟანის შეხედულება, თითქოს საფრანგეთში რევოლიუცია შეუძლებელია გლეხების მონაწილეობის გარეშე.

„სამრეწველო პროლეტარიატი,—განაცხადა სემარმა,—რევოლიუციაში გადამწყვეტ როლს ითამაშებს".

დასასრულ **სემარი** შეჩერდა ომის საფრთხის საკითხზე და აღნიშნა, რომ რენო ჟანი შემცდარია, როცა უარყოფს ამ საფრთხეს.

რენო ჟანის აზრით, ბურჟუაზიამ იცის, რომ ომი გამოიწვევს რევოლიუციას, მაგრამ **კაპიტალიზმი საკუთარ შინაგან წინააღმდეგობათა ტყვეობაში იმყოფება. იმპერიალიზმისათვის აუცილებელია საომარი კონფლიქტები. ამ კონფლიქტების მოლოდინში მმართველი კლასები აძლიერებენ რეპრესიებს რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ.** ამავე დროს იზრდება საბჭოთა კავშირზე თავდასხმის საფრთხე, რადგან საერთაშორისო იმპერიალიზმს არ შეუძლია შეურიგდეს მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს არსებობას (ადს).

ლიტვა-ლატვიის დაახლოების კონგრესი

რიგა, 22 ივნისი. შესდგა „ლიტვა-ლატვიის დაახლოვების კონგრესი". კონგრესს ესწრება ლიტვის 100 დელეგატი და ლატვიის 200 დელეგატი.

პოლიტიკურ მოხსენებებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ლიტვის „ვილნოს განთავისუფლების კავშირის" წარმომადგენლის მოხსენება ლიტვისათვის ვილნოს მნიშვნელობის შესახებ.

კონგრესმა მიიღო რამდენიმე რეზოლიუცია—ლიტვის დაახლოვების განვითარების შესახებ და აგრეთვე რეზოლიუცია, რომელშიაც კონგრესი აცხადებს, **რომ ის მხარს უჭერს ლიტვის მისწრაფებას გააერთიანოს ლიტვის ყველა მიწები ლიტვის სახელმწიფოს ეთნოგრაფიულ საზღვრებში (ადს).**

„საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანი პოლიტიკა მოწმობს საბჭოთა რეჟიმის სიმტკიცეს"

ვენა, 22 ივნისი. გაზეთების ცნობით, ბუქარესტში დაბრუნდა რუმინეთის სამხედრო მისია, რომელიც გაგზავნილი იყო ვარშავაში.

გლეხთა ნაციონალურ პარტიის ორგანო „ლუპტა" იუწყება, რომ ვარშავაში უმთავრესად განხილულ იქნა ორივე ქვეყნის სამხედრო მდგომარეობა. „მოლაპარაკების მსვლელობაში, — სწერს გაზეთი,—გამოირკვა რომ არც პოლონეთს და არც რუმინეთს ომის უშუალო საფრთხე არ მოელის საბჭოთა კავშირის მხრივ".

დასასრულ გაზეთი აღნიშნავს, რომ **საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკა მოწმობს საბჭოთა რეჟიმის სიმტკიცეს (ადს).**

დეტერდინგი არ ცხრება

ბერლინი, 22 ივნისი. ამსტერდამიდან იუწყებიან, რომ „როიალ დეჩ შელ"-ის აქციონერთა საერთო კრებაზე დეტერდინგმა განაცხადა:

„უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ საბჭოთა ნავთის გასაღების შესახებ გამართულ მოლაპარაკების დროს ყველა დაინტერესებული წრეები მივლენ იმ დასკვნამდე, რომ რუსეთის ნაციონალიზაციით აქმნილი ნავთის წარმოებათა ყოფილ მესაკუთრეებისათვის ზარალის ანაზღაურების პრინციპი უნდა დაიცვას ყველამ, ვინც მონაწილეობას იღებს ოპერაციებში საბჭოთა ნავთის გასასაღებლად. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ჩვენი საერთო ინტერესები მოითხოვს, რათა საბჭოთა ნავთის პროდუქტების გასაღების საკითხი ამჟამად გადაიქცეს საჯარო განხილვის საგნათ" (ადს).

მცირე ანტანტის კონფერენცია

უნგრეთის წინააღმდეგ

ვენა, 22 ივნისი. ბუქარესტიდან მიღებულ ცნობით, მცირე ანტანტის კონფერენციაზე გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომელიც მიმართულია უნგრეთის წინააღმდეგ. ცნობაში აღნიშნულია, რომ მცირე ანტანტის ქვეყნებს გადაწყვეტილი აქვთ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ ტრიანონის საზავო ხელშეკრულებით შექმნილ სტატუს—ქვოს შეცვლის ყოველგვარ ცდებს.

ამხ. კაშენის განთავისუფლება

პარიჟი, 22 ივნისი. სასჯელის მოხდის გამო განთავისუფლეს ციხიდან კომუნისტი დეპუტატი **მარსელ კაშენი,** რომელსაც მისჯილი ჰქონდა 6 თვის ციხე. კაშენს ბრალს სდებდენ იმაში, რომ ის „სამხედრო მოსამსახურეებს მოუწოდებდა დისციპლინის დარღვევისაკენ" (ადს).

გაფიცვა ანტვერპენის ნავთსადგურში

პარიჟი, 22 ივნისი. ბრიუსელიდან იუწყებიან, რომ შრომის მინისტრი აწარმოებდა მოლაპარაკებას ანტვერპენის ნავთსადგურის გაფიცულ მუშებთან. ნავთსადგურის მუშების რეფორმისტულ პროფკავშირის ბელადებმა მოლაპარაკების დროს მინისტრს აღუთქვეს, რომ ისინი „ყოველგვარ ზომებს მიიღებენ გაფიცვის შესაწყვეტად". **მაგრამ მუშები გადაჭრით უარყოფენ მუშაობის განახლებას გემების პატრონებთან გამართულ მოლაპარაკების შედეგის გამორკვევამდე (ადს).**

მექსტონის და კუკის წერილის გამოძახილი

ინგლისის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადება

ლონდონი, 22 ივნისი. ინგლისის კომპარტიის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა განცხადება მექსტონის და კუკის გამოსვლის გამო. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მექსტონის და კუკის მიმართვა, მიუხედავათ მისი სისუსტისა, მაჩვენებელია იმის, რომ **მუშათა პარტიაში არსებობს უკმაყოფილება პარტიის ოფიციალური პოლიტიკით.**

განცხადება საჭიროდ სთვლის, რათა მექსტონმა და კუკმა გარკვევით აღნიშნონ, რა პოლიტიკურ პროგრამას აყენებენ ისინი და ვის წინააღმდეგ ფიქრობენ ბრძოლას. განცხადება აღნიშნავს, რომ მექსტონისა და კუკის მიმართვაში მოხსენებული კონფერენციები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება წარმატებით ჩატარდეს, თუ მათში მონაწილეობას მიიღებს კომპარტია. (ადს).

ბირკენხედი კუკის და მექსტონის წერილის შესახებ

ლონდონი, 22 ივნისი. კენსინგტონში სიტყვა წარმოსთქვა ინდოეთის საქმეთა მინისტრმა ბირკენხედმა, რომელიც შეეხო ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის თავმჯდომარის მექსტონის და სამთამადნო მუშათა ფედერაციის მდივნის არტურ კუკის მიერ გამოქვეყნებულ წერილს ინგლისის მუშებისადმი.

ბირკენხედმა მიმართვას უწოდა „აშკარა ამბოხება მუშათა მოძრაობის გონიერ და პატრიოტიულად განწყობილ ბელადების წინააღმდეგ".

„ვოლონტე" პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

პარიჟი, 22 ივნისი. მემარცხენე ბურჟუაზიული „ვოლონტე", ეხება რა პოლონეთის პრესის ანტი საბჭოთა კამპანიას და უკრაინის ნაციონალ-დემოკრატიული გაერთიანების წარმომადგენელ ლევიცკის გამოსვლას პოლონეთის სეიმში, სწერს:

„ამ ფაქტებიდან სჩანს პოლონეთის დიპლომატიის მისწრაფება—ჩამოაცილოს უკრაინა საბჭოთა კავშირს და დაუქვემდებაროს ის პოლონეთის კონტროლის დამოუკიდებლობის დროშის ქვეშ. ასეთ პოლიტიკას მივყევართ პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ შეტაკებისაკენ. **ზალესკი გაემგზავრა ევროპაში არა იმისათვის, რომ მშვიდობიანობაზე ელაპარაკნა, არამედ იმ მიზნით, რომ გამოერკვია დაუჭერდენ თუ არა მხარს დასავლეთის დაინტერესებული სახელმწიფოები პოლონეთის ექსპანსიურ გეგმებს აღმოსავლეთში.** სახიფათო კავშირებისა და სამხედრო შეთანხმებების მეოხებით, საფრანგეთი შეიძლება ჩაებას ავანტიურაში, მაგრამ საფრანგეთის ხალხს სურს მშვიდობიანობა საბჭოთა კავშირის ერებთან (ადს).

რეპრესიები ოპოზიციის წინააღმდეგ სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 22 ივნისი. ბელგრადიდან მიღებულ ცნობით, ოპოზიციონური პრესა გადაჭრით მოითხოვს მთავრობის დაუყოვნებლივ გადადგომას.

მთავრობამ შემოიღო პრესის სასტიკი ცენზურა. კონფისკაცია უყვეს რადიკალურ პარტიის მემარცხენე ფრთის ბელგრადის ორგანო „ვრემე"-ს და პრიბიჩევიჩის გაზეთ „რეჩ"-ს. ზაგრებში ოპოზიციონური გაზეთები ცენზურის გამო გამოდის გამოტოვებული ადგილებით (ადს).

ნობილეს დასახმარებლად

ნობილეს დამხმარე კომიტეტის ცნობა

სად არის ამუნდსენი

მოსკოვი, 23 ივნისი. თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოებასთან არსებულ ნობილეს დამხმარე კომიტეტში ფიქრობენ, რომ მდგომარეობა ამუნდსენის, რომლისგანაც დღემდე არავითარი ცნობები არ მოდის, მეტად საშიშია. იმ აეროპლანის (მფრინავი ნავის), მდგომარეობა, რომელიც არავითარ ცნობას არ იძლევა ოთხი დღის განმავლობაში, სადაც არ უნდა იყოს ის დაშვებული—ზღვაში, ყინულზე ან ხმელეთზე, ძალიან სახიფათოდ უნდა იქნას მიჩნეული.

როალდ ამუნდსენი, რომელიც 14 ივნისს საფრანგეთის აეროპლანით — „ლატამ"-ით გაფრინდა ნობილეს მოსაძებნად, არის პოლიარულ ქვეყნებში ცნობილი მოგზაური. ამუნდსენი 56 წლისაა. პირველად მან იმოგზაურა 1903—1905 წლებში ჩრდილო - ამერიკის ნაპირების გასწვრივ. ეს მოგზაურობა ისახავდა გეოგრაფიულ მიზნებს. ამ მოგზაურობის დროს მან პირველმა შესძლო ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე მისვლა მხოლოდ წყალის გზით. 1911—1912 წელში მან მოახდინა ანტარკტიდის გამოკვლევა, რომლის დროსაც მან 1911 წლის დეკემბერში შესძლო სამხრეთ პოლიუსამდე მისვლა. 1925 წლის, 21 მაისში ის შეეცადა ორი აეროპლანით მიეღწია ჩრდილო პოლიუსამდე.

ამუნდსენს გარდა აეროპლანზე იმყოფება ფრანგი მფრინავი გილბო და ნორვეგიელა კაპიტანი დიტრიკსენი.

საპასუხოდ ნორვეგიის მთავრობის თხოვნაზე, რომ ამუნდსენს აღმოუჩინოს დახმარება, ნობილეს დამხმარე კომიტეტმა გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის საშუალებით აცნობა ნორვეგიის მისიას მოსკოვში, რომ საბჭოთა ექსპედიცია, რომელიც ნობილეს დასახმარებლად გაემგზავრა, ყოველგვარი საშუალებით შეეცდება, გამოარკვიოს, თუ სად იმყოფება ამუნდსენი და გაუწიოს მას საჭირო დახმარება. ამავე დროს გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატი ნორვეგიის მისიას შეეკითხა, თუ როგორია აეროპლან „ლატამ"-ის (რომლითაც ამუნდსენი გაფრინდა), რადიო-ტალღის სიგრძე.

მადალენას მეორე გადაფრენა

სტოკჰოლმი, 22 ივნისი. კინგსბეიდან იუწყებიან, რომ მადალენას მეორე გადაფრენის დროს იმ ადგილისაკენ, სადაც ნობილეა, დასაშვები ადგილი ნაჩვენები იქნება კვამლის აშვები ყუმბარებით, რომლებიც მადალენამ გადაუგდო ნობილეს ამ სამი დღის წინად. (ადს).

ნობილეს ჯგუფის დასახმარებლად

ოსლო, 22 ივნისი. 22 ივნისს იტალიის აეროპლანები წარმატებით გადაფრენის შემდეგ დაბრუნდენ კინგსბეიში. აეროპლანებმა რამოდენიჯერ გადაურეს მცირე სიმაღლეზე იმ ადგილას, სადაც ნობილეს ჯგუფი იმყოფება და ექსპედიციის მონაწილეებს გადაუგდეს საჭირო საგნები. მაგრამ ვერ დაეშვენ ძირს, ვერ ნახეს დირიჟაბლის ნამსხვრევები და ვერც მარიანოს ან ამუნდსენის ჯგუფის წევრები.

კინგსბეი

ოსლო, 22 ივნისი. შპიცბერგენის პატარა სოფელი კინგსბეი, რომელიც დასახლებულია სამთამადნო მუშებით, გახდა ნობილეს ექსპედიციისა და საფრანგეთის დაკარგულ აეროპლან „ლატამ"-ის დამხმარე ექსპედიციების ერთერთ ცენტრად და ამიტომ მეტისმეტად არის ავსილი. ნორვეგიის გარეშე საქმეთა სამინისტრო აფრთხილებს ჟურნალისტებს და კინო-ოპერატორებს ნუ გაემგზავრებიან კინგსბეიში, ვინაიდან შეუძლებელია ბინის შოვნა. „ლატამ"-ის შესახებ ცნობები არ არის. კრეისერი „ნორდენშოლ"-ი გადის მის საძებნელად. „ლატამ"-ს არა აქვს მოკლეტალღიანი რადიო-აპარატი და ამიტომ შეუძლებელია მასთან უშუალო რადიო-კავშირის დამყარება, არსებობს კერძო ექსპედიციის მოწყობის პროექტი. ექსპედიციას სათავეში ჩაუდგება პოლარულ ქვეყნების ცნობილი მკვლევარი სვერდრუპი (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საალმშენებლო საქმის სიძნელენი

მოსკოვი, 23 ივნისი. საბოლოოდ გამოირკვა, რომ საალმშენებლო სეზონი მოსკოვში და მთელ რიგ სხვა რაიონებში ვერ მოგვცემს იმდენ ეფექტს, როგორც ამას წინასწარ მოველოდით. იმ მიზნით, რათა ალმშენებლობამ არ დაკარგოს გეგმიანი მსვლელობა და არსებულ სიძნელეთა გამო არ შეიქმნეს შეუთანხმებლობა მუშაობაში, გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ალმშენებლობის მასშტაბის შემოკლება, მისი რეალურად შესაძლებელ ფარგლებით შემოზღუდვა.

კომისიამ საალმშენებლო საქმეში აღმოაჩინა მთელი რიგი თავის უმგზავსოებით იშვიათ ბოროტებათა, რომელსაც სჩადიოდნენ საალმშენებლო სამეურნეო ორგანოები.

მაგალითად, წინდაწინვე ასეთი აზრი იყო, რომ ცემენტი საალმშენებლო სეზონისათვის სრულიად საკმარისი იქნებოდა. ასედაც არის. ცემენტის მარაგი საბჭოთა კავშირში საკმაოზე მეტია, მაგრამ თავის დროზე მიღებული არ ყოფილა ზომები ცემენტის მიზანშეწონილად დანაწილებისათვის.

ამან გამოიწვია ის, რომ საალმშენებლო სეზონის დასაწყისშივე მოსკოვის ბაზარს დააკლდა 600.000 კასრი ცემენტი. გარდა ამისა, სწორედ ასეთი კრიზისის დროს დაკეტეს ჩუდოვის ცემენტის ქარხანა.

საალმშენებლო მასალების გადაზიდვას ხელი შეუშალა აგრეთვე სახელმწიფო ნაოსნობის სამმართველოს დაუდევრობამ, რომელმაც ვერ შესძლო მასალების გადატანის საქმის მოწესრიგება.

ასეთივე მდგომარეობაა აგურის ბაზარზედაც. აგურის დამამზადებელ ახალ ქარხნების აგება მეტად გვიანდება, ძველი ქარხნები კი მოთხოვნილებას ვერ აუდიან. მოსკოვს ამჟამად აკლია 125 მილიონი ცალი აგური.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი საალმშენებლო საქმის გამოკვლევას. ახლო მომავალში გარდა იმისა, რომ გამოყოფილია ალმშენებლობის შემკვეცავი კომისია, მოხდება მთელი ალმშენებლობის საქმის გამოკვლევა.

მიწსახკომების საკავშირო კონფერენცია

მოსკოვი, 22 ივნისი. საკავშირო ცაკმა მიწსახკომის ორგანოებს ნება დართო სექტემბერში მოიწვიონ საკავშირო რესპუბლიკათა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატების კონფერენცია, რომელიც უმთავრესად განიხილავს მებამბეობის მავნებლებთან ბრძოლის საკითხებს.

ტრანსპორტის მიღწევები მომავალ წლისათვის

მოსკოვი, 22 ივნისი. გზათა სახალხო კომისარიატმა გამოაქვეყნა ტრანსპორტის საკონტროლო ციფრები მომავალ 1928-29 სამეურნეო წლისათვის.

ამ ციფრების თანახმად ტრანსპორტის მიღწევები შემდეგ სამეურნეო წლისათვის ასე იხატება: სულ გადაყვანილი იქნება 24 მილიონი მგზავრი, საერთოდ გავლილი იქნება 24 მილიარდი კილომეტრი მანძილი, გადაზიდულ უნდა იქნეს 120 მილიონი ტონა საქონელი.

მთელი შემოსავალი ტრანსპორტიდან ნავარაუდევია 1.384 მილიონ მანეთის რაოდენობით.

უკანასკნელი ცნობები

პოლიცია გადამწყვეტ ზომებს მიმართავს

ვენა, 23 ივნისი. ბელგრადიდან იუწყებიან, რომ პოლიცია ზაგრებში გადამწყვეტ ზომებს მიმართავს წესრიგის დასაცავად. რესტორანები, კაფეები და სხ. უნდა დაიხუროს საღ. 7 საათზე. ამ დროის შემდეგ ქუჩებში სიარული, პოლიციის განსაკუთრებული ნებართვის გარეშე, აკრძალულია. დამოუკიდებელ პროფკავშირების ზაგრების განყოფილებები დახურულია, დეპუტატი რაკიჩის, რომელმაც ესროლა რადიჩსა და სხვა დეპუტატებს, პირველად დაჰკითხეს 20 ივნისს. მან განაცხადა, რომ მისი მოქმედება გამოწვეული იყო ძლიერი მღელვარებით (ადს).

ყველა ძალები—საყოველთაო გაფიცვის ჩასატარებლად

ვენა, 23 ივნისი. როგორც ათინიდან იუწყებიან, საბერძნეთის კომპარტიის პოლიტბიურომ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს წინადადება მისცა შესწყვიტონ მეოთხე პარტიული ყრილობის დადგენილების თანახმად დაწყებული დისკუსია და ყველა ძალები მიახმარონ საყოველთაო გაფიცვის ჩატარებას (ადს).

სეიმის მოულოდნელი დათხოვნა

ვარშავა, 23 ივნისი. სენატის გუშინდელი სხდომის შემდეგ სეიმისა და სენატის თავმჯდომარეებს გადასცეს რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტი საკანონმდებლო პალატების სესიის დახურვის შესახებ. სესიის დახურვა ზოგიერთი მინისტრისათვისაც მოულოდნელი იყო. სესიის დახურვის შესახებ სეიმის თავმჯდომარე დაშინსკიც კი არ გაუფრთხილებიათ წინასწარ (ადს).

შვეციის კოოპერატორები „ცენტროსოიუზის" ყრილობაზე

სტოკჰოლმი, 23 ივნისი. შვეციის კოოპერატიულმა გაერთიანებამ დაადგინა გაგზავნოს დელეგაცია „ცენტროსოიუზის" ყრილობაზე, რომელიც 15 ივლისს შესდგება. (ადს).

კომუნისტების მიტინგი პარიზში

პარიზი, 23 ივნისი. გუშინ შკომპარტიამ გრანდიოზული მიტინგი მოაწყო. კაშენის გამოჩენას მხურვალე ოვაციით შეხვდნენ. კაშენს ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას მქუხარე ტაშით, წამოძახილით—„ამნისტია" და ინტერნაციონალის სიმღერით. მიტინგმა გამოიტანა რეზოლუცია, რომელიც იწონებს კონფერენციის გადაწყვეტილებას (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია

პარიზი, 23 ივნისი. კომპარტიის კონფერენციამ ხმის აბსოლუტური უმრავლესობით (თავი შეიკავა შვიდმა) მიიღო თეზისები პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. თეზისები პროფმოძრაობის შესახებ მიღებულია დიდი უმრავლესობით. თავი შეიკავა ექვსმა. პარიზის უმცირესობის რეზოლუცია უარყოფილია. რეზოლუციას ხმა მისცა მხოლოდ ექვსმა კაცმა (ადს).

ინგლისის ესკადრა დანციგში

ვარშავა, 23 ივნისი. დღეს დანციგს ეწვია ინგლისის ესკადრა, რომელიც შესდგება ორი კრეისერისაგან და რამდენიმე მეორე ხარისხოვან სამხედრო გემებისაგან.

ინგლისის ესკადრის შესახვედრად დანციგში წავიდა პოლონეთის სამხედრო ფლოტი.

ინგლისის ესკადრა რიგაში

რიგა, 23 ივნისი. რიგის ნავთსადგურში მოვიდა ინგლისის ორი კრეისერი ადმირალ ლარკინის სარდლობით (ადს).

აეროპლანი „სიბრევკომ"-ი

ნოვოსიბირსკი, 23 ივნისი. აეროპლან „სიბრევკომ"-ის შესახებ ახალი ცნობები არ მოსულა. მფრინავების ბედი გამოურკვეველია. კატასტროფის ადგილზე გაემგზავრა სპეციალური კომისია (ადს).

შმერალს მოუსპეს დეპუტატის ჯამაგირი

პრაღა, 22 ივნისი. ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ დეპუტატ პალატის იმ კომისიამ, რომელიც განაგებს დეპუტატთა შეუვალობის საკითხებს, გადაწყვიტა მოუსპოს კომუნისტ დეპუტატ შმერალს, რომელიც რამოდენიმე თვე იმყოფება საბჭოთა კავშირში, დეპუტატის ჯამაგირი ნახევარი წლით, ვინაიდან მიუხედავად არაერთხელ მიმართვისა, ის არ ასრულებს დეპუტატის მოვალეობას (ადს).

პეტლიურას ყოფილი მინისტრის „მოღვაწეობა"

ბერლინი, 22 ივნისი. მიუნხენის ფაშისტური ორგანო „ფოლკიშერ ბეობახტერ" იუწყება, რომ პეტლიურას ყოფილი მინისტრი ლევიცკი და გენერალი სალსკი ყალბი პოლონური პასპორტებით ჩავიდნენ პრაღაში. პრაღაში ისინი აწარმოებდნენ მოლაპარაკებას უკრაინელ ემიგრანტებთან.

გაზეთის მტკიცებით, ამ მოლაპარაკების დროს უკვე ნიშნავდნენ მინისტრებს: საგარეო საქმეთა მინისტრად — შულგინს, შინაგან საქმეთა — ლოსოცკის, სამხედრო მინისტრად — სალსკის, პროპაგანდის მინისტრად ხოლოდინს. ფინანსთა მინისტრად თითქოს დანიშნული იქნება ინგლისელი სპეციალისტი.

კორესპონდენტმა ლევიცკისგან გაიგო, რომ მას ფინანსებს აძლევს ინგლისი და რომ მან ავანსის სახით უკვე მიიღო 100.000 დოლარი.

ლევიცკი ამბობს, რომ მას მხარს უჭერს იტალიის მთავრობა. მისი წარმომადგენელი რომში ერემეევი სარგებლობს იტალიის მთავრობის მატერიალური და მორალური დახმარებით.

პოლონეთის შესახებ ლევიცკი მეტად თავდაჭერილად ლაპარაკობდა; მან აღნიშნა, რომ აუცილებელია შეთანხმება პოლონეთთან, რომელმაც 1772 წ. საზღვრები უნდა მიიღოს.

პარიზში მცხოვრებ უკრაინელ ემიგრანტებმა უარი განაცხადეს ლევიცკის ავანტიურაში მონაწილეობაზე. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ლევიცკი პოლონეთის აგენტია.

გაზეთი იუწყება, რომ ლევიცკიმ ინახულა იტალიის, ამერიკის და ინგლისის ელჩები პრაღაში. პოლონეთის საელჩოს თანამშრომელი პეტროვსკი ყოველდღე ნახულობს ლევიცკის. ლევიცკიმ თავისი რწმუნებულები გაგზავნა რუმინეთში ბიუროს მოსაწყობად. ეს ბიურო კონტაქტში იმუშავებს ინგლისისა და პოლონეთის დაზვერვის ორგანოებთან. უკრაინაში ამ ბიუროს მოღვაწეობას მხარს დაუჭერს პოლონეთის საელჩო.

ორი ინგლისელი ოფიცერი გაგზავნა ვარშავაში — პოლონეთის გენერალურ შტაბში რათა კონტროლი გაუწიონ ლევიცკის მოღვაწეობას (ადს).

საბჭოთა და ნორვეგიის მშენებელთა მთლიანობის კომიტეტი

მოსკოვი, 22 ივნისი. ნორვეგიის მშენებელთა კავშირის გამგეობისა და საბჭოთა მშენებლების კავშირის ცეკას შორის მოსკოვში დაიდო წინასწარი შეთანხმება საერთო თანამშრომლობის შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებს მთლიანობის კომიტეტის შექმნას კაპიტალის და ომის საფრთხის წინააღმდეგ და მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის საბრძოლველად.

ახალი საფოსტო ტარიფი

მოსკოვი, 23 ივნისი. საკავშირო სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო გაადიდოს დროებით უბრალო წერილების გასაგზავნი ფასი 8 კაპეიკიდან 10 კაპეიკამდე, ხოლო ღია საფოსტო ბარათების ფასი—5 კაპეიკამდე.

ახალი ტარიფი ძალაში შედის ა.-წ. 15 ივლისიდან და საფოსტო შემოსავალს ადიდებს 10 მილ. წელიწადში

შახტის კონტრ-რევოლ. გასამართლება

22 ივნისის დილის სხდომა

მატოვის დაკითხვა

მოსკოვი, 23 ივნისი. 22 ივნისის დილის სხდომაზე გაგრძელდა ბრალდებულ მატოვის დაკითხვა.

განაგრძობს რა ჩვენების მიცემას, მატოვი ამბობს, რომ როდესაც იგი ბერლინში ასრულებდა ორგანიზაციის დავალებებს, რუმინოვიჩთან მას თათბირი ჰქონდა მხოლოდ იმ საკითხზე, თუ როგორ უნდა მიეწოდებინათ ფინანსები ორგანიზაციისთვის. პარიზში მატოვმა უპირველეს ყოვლისა მიმართა ორგანიზაციის წევრს იუსევიჩს. იუსევიჩის დახმარებით გამართა სამთა-მადნო მრეწველთა ყოფილი ყრილობის ბიუროს თათბირი. მატოვმა ორგანიზაციის სახელით თათბირზე გააკეთა საინფორმაციო მოხსენება. მოხსენება გააკეთა აგრეთვე პარიზის გაერთიანების წარმომადგენელმა სოკოლოვმა. სოკოლოვმა სთქვა, რომ საფრანგეთი ამჟამად ამთავრებს ან დაამთავრა აღდგენითი პროცესი. ამის გამო, სოკოლოვის სიტყვით, სამთა-მადნო მრეწველთა ყოფილი ყრილობის წევრთა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ზეგავლენა მოახდინონ საფრანგეთის მთავრობაზე, რათა მიღწეულ იქნას ურთიერთობის გამწვავება საბჭოთა რუსეთთან. შემდეგში უნდა შეეცადონ, რათა საფრანგეთის მთავრობა დაეთანხმოთ იმაზე, რომ ან მხოლოდ მან და ან მოკავშირეთა დახმარებით დაიწყოს სამხედრო მოქმედება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

სამთა-მადნო მრეწველთა ყოფილი ყრილობის ბიუროში მატოვმა იუსევიჩთან ერთად გაასწორა ხარკოვის ორგანიზაციის ფულადი ანგარიში და მიიღო 500.000-მდე ფრანკი. ამის შემდეგ მატოვი დაბრუნდა რუსეთში და 1925 წლის დეკემბერში ხარკოვის ორგანიზაციას გაუკეთა მოხსენება საზღვარგარეთ თავისი მოგზაურობის შესახებ. 1926 წლის იანვარის დასაწყისში მატოვი ორგანიზაციის წევრ ბახტიაროვთან ერთად იყო მოსკოვში და მივიდა მოსკოვის ცენტრში. აქ მან ნახა რაბინოვიჩი, იმენიტოვი და კიდევ რამოდენიმე კაცი. მატოვმა დაწვრილებით გააცნო მათ თავისი საუბარი პარიზში.

შემდეგ მატოვი აღწერს რა თავის მოქმედებას 1928 წელში „დონუგოლში" კერძოდ ახალშენებათა სამმართველოში, ამბობს, რომ ეს მოქმედება უმთავრესად გამოიხატებოდა მუშაობის შეფერხებაში. ამოცანა უმთავრესად მდგომარეობდა იმაში, რომ შეგვეფერხებია ახალი მაღაროების აგების პროექტების შესრულების პროცესი. ამ მუშაობას ასრულებდა მატოვი და მისი ახლობელი თანამშრომლები. მატოვის სიტყვით, პირველად, დაახლოებით 1924 წლამდე, ორგანიზაცია არ ატარებდა საკმაოდ გარკვეულ ხასიათს, არსებობდა მხოლოდ ცალ-ცალკე კავშირი ცალკე პირებსა და ცალკე წარმოებებს შორის საზღვარგარეთ. ყოველივე ეს თანდათან იზრდებოდა და 1924 წელში ორგანიზაცია საბოლოოდ ჩამოყალიბდა. მაშინ დაიწყო საორგანიზაციო მუშაობა ხარკოვის ცენტრში. ასეთი ორგანიზაციის ინიციატივა, მატოვის სიტყვით, გამომდინარეობდა საზღვარგარეთიდან.

ვიშინსკის შეკითხვაზე მატოვი უპასუხებს, რომ ორგანიზაციის ინიციატორი იყო დვორჟანჩიკი, რომელმაც წერილობითი დირექტივები დონბასის ინჟინრებს შორის გაალვივა პესიმისტური განწყობილება შახტთა მშენებლობის მიმართ და ორგანიზაციულად ჩამოაყალიბა მათი მუშაობა.

მატოვი სცნობს, რომ ორგანიზაციას საძირკველი ჩაეყარა 1924 წელში. პირველად ორგანიზაციაში შედიოდა მატოვი, სუშჩევსკი და ბახტიაროვი, რომლებმაც შემდეგ სხვებიც ჩააბეს მუშაობაში. კავშირი საზღვარგარეთის ორგანიზაციასთან დამყარდა იუსევიჩის, რუბანოვიჩის და ბუდნის საშუალებით.

როზინსკიმ მთელი რიგი შეკითხვებით გამოარკვია, რომ 1926 წელში ორგანიზაციის თათბირზე გადაწყდა, რომ მოემზადებინათ დონბასის წარმოებათა სრული შეჩერება ინტერვენციის შემთხვევისათვის.

კრილენკოს შეკითხვაზე მატოვი უპასუხებს, რომ ორგანიზაცია მუშაობას აწარმოებდა თითქმის მთელ დონბასში—11 დიდ სამთა-მადნო წარმოებაში და აგრეთვე „დონუგოლში".

ამის შემდეგ მატოვი დაჰკითხეს დამცველებმა.

22 ივნისის საღამოს სხდომა

ბრალდებულ ბოიარშინოვის დაკითხვა

მოსკოვი, 23 ივნისი. დაიწყო ბრალდებულ ბოიარშინოვის დაკითხვა. დაპატიმრებამდე 1928 წლის აპრილში ბოიარშინოვს ეჭირა პირველად „დონუგოლის" მთავარი დირექტორის და შემდეგ ტეხნიკური მდივანის თანამდებობა.

ბოიარშინოვის დიდი ხელმძღვანელობითი როლი კონტრრევოლიუციონურ ორგანიზაციაში სავსებით ნათლად გამოაშკარავდა უკვე დაკითხული ბრალდებულების, სხვათა შორის, მატოვის, ბრატანოვსკის, სუშჩევსკის, შადლუნის და სხ. ჩვენებებიდან. ბოიარშინოვი აცხადებს, რომ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ორგანიზაციაში, ის ნაწილობრივ დამნაშავედ სცნობს თავს მხოლოდ იმაში, რომ მან თავის დროზე არ განაცხადა, როცა დაინახა, რომ მის ირგვლივ ხდება რაღაც ცუდი საქმე.

სასამართლო გამოძიება არკვევს მთელ რიგ ფაქტებს, რომლებიც ამჟღავნებენ ბოიარშინოვის მონაწილეობას ორგანიზაციაში.

ბოლოს და ბოლოს ბოიარშინოვი იძულებულია აღიაროს ის ფაქტი, რომ 1925 წელში მან გაიგო კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის დაარსების შესახებ, იმყოფებოდა მჭიდრო ურთიერთობაში ორგანიზაციის წევრებთან და შემდეგ იყო ამ ჯგუფის სახაზინო მუშაობის მოწმე. მაგრამ ბოიარშინოვი არ აღიარებს მხოლოდ ერთ რამეს—თავის მონაწილეობას ორგანიზაციაში.

კრილენკო ბრალდებულს აძლევს შეკითხვას: „1923 წელში თქვენ დვორჟანჩიკს აცნობეთ, თუ როგორ პირობებში შეიძლებოდა მაღაროების გადაცემა კონცესიონერებისათვის, 1925 წელში თქვენ იცოდით კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის არსებობის შესახებ, გარდა ამისა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ხუთი ბრალდებულის ჩვენების მიხედვით, თქვენ იყავით ორგანიზაციის წევრი და თქვენი საკუთარის განცხადებით იმყოფებოდით ამ ორგანიზაციის ტყვეობაში. აღიარებთ თუ არა ბრალდებულო ბოიარშინოვო, რომ თქვენ იყავით ორგანიზაციის წევრი"?

— არა,—უპასუხებს ბოიარშინოვი.

კრილენკო შუამდგომლობს, რომ გამოწვეულ იქნას სამი მოწმე—ინჟინერი ანდრეევი სახნოვსკი და მუხინი, რომლებიც სხვა საქმეზე არიან დაპატიმრებული. მაგრამ ამ ინჟენერების სახელი რამოდენიმეჯერ არის ნახსენები შახტის საქმეში, კერძოდ ნახსენებია ანდრეევის სახელი, რომელსაც თავის მუშაობაში კავშირი ჰქონდა სოკოლოვთან, შადლუნთან და ზოგიერთ სხვა ბრალდებულთან. ანდრეევს შეუძლია მოცემა მთელ რიგ მნიშვნელოვანი ჩვენებების, რომლებიც იმენიტოვის, სკორუტოს და რაბინოვიჩის მუშაობასთან არის დაკავშირებული.

მოწმეთა გამოწვევის საკითხს სასამართლო სტოვებს 23 ივნისის დილის სხდომამდე, როცა ამ საკითხზე მოსმენილ იქნება დამცველთა დასკვნა (ადს).

მებამბეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა

მოსკოვი, 23 ივნისი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შემდგარმა თათბირმა განიხილა მებამბეობის მთავარ კომიტეტის მიერ დამუშავებული მებამბეობის განვითარების ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა. გეგმა ითვალისწინებს ბამბის ნათესების მნიშვნელოვნად გაფართოებას ბამბის უფრო მჭიდროთ დათესის გზით და ახალი მიწების მორწყვის საშუალებით. გათვალისწინებულია აგრეთვე ბამბის მოსავლის თვალსაჩინოდ გადიდება სასუქის გამოყენების, გაუმჯობესებული თესლის შემოღების და მიწის ტრაქტორებით დამუშავების გაფართოების გზით. განსაკუთრებით ფართოდ იქნება ჩატარებული ბამბის დამუშავების მექანიზაცია. ტრაქტორებით დამუშავება ხუთი წლის ბოლოში აყვანილ იქნება ბამბის სათესი სივრცის 32,5 პროცენტამდე, ხოლო გუთნით — 63 პროცენტამდე. ამის მიხედვით, ტრაქტორების რიცხვი ხუთი წლის განმავლობაში შუა აზიაში გადიდებულ იქნება 1.600 ცალიდან 4.500-მდე, გუთნების 55.000-დან 162.000-მდე; ინვენტარიზაციის ასეთივე ზრდა დასახულია ამიერ-კავკასიაშიაც. მექანიზაციის საშუალებით დამუშავება გაიაფდება ჰექტარზე 58 მანეთით და ნედლი ბამბის პროდუქცია გაიზრდება 6,6 პროცენტით. ხუთი წლის განმავლობაში შუა აზიაში აგებულ იქნება სასოფლო-სამეურნეო მანქანების სააღმშენებლო ქარხანა და 20 სატრაქტორო სახელოსნო. სახელოსნოების გაფართოება განზრახულია აგრეთვე ამიერ-კავკასიაში. ხუთი წლის ბოლოში სასუქით დაკმაყოფილებული იქნება ბამბის სათესი სივრცის 72 პროცენტი შუა აზიაში და 52,5 პროც. ამიერ-კავკასიაში. (ადს).

კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის

საქართველოს კომპარტიის (ბ) ყველა სამაზრო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს და თბილისის კომიტეტს!

მიმდინარე წლის 7 ივლისს ყველა ქვეყნების მშრომელნი დღესასწაულობენ კოოპერაციის საერთაშორისო დღეს. კოოპერატიული ორგანიზაციები ამ დღეს მიმოხილვას უკეთებენ თავიანთ ძალებს და მიღწევებს, სახავენ შემდგომი მუშაობის გზებს და ახდენენ სოლიდარობის დემონსტრაციას კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს კოოპერაციაში შეკავშირებულმა მასებმა ამ დღეს უნდა გამოაშკარაონ მიღწევანი და ნაკლულოვანებანი, დასახონ კოოპერაციის ახალი ამოცანები და უნდა მოახდინონ თავისი სოლიდარობის დემონსტრაცია მსოფლიოს კოოპერაციაში შეკავშირებულ მოსახლეობასთან. კოოპერაციაში შეკავშირებული მოსახლეობის გარდა ამ დღის ჩატარებაში ჩაბმულ უნდა იქნან მშრომელთა რაც შეიძლება ფართო ფენები.

ძირითადი საკითხები, რომლებზედაც უნდა იქნას მიქცეული ყურადღება კამპანიის ჩატარების დროს, შემდეგია:

1. საერთაშორისო კოოპერატიული მოძრაობის მდგომარეობის გაშუქება; გაშუქება აგრეთვე იმ ბრძოლისა, რომელსაც საბჭოთა კოოპერაცია აწარმოებს საერთაშორისო კოოპერატიული მთლიანობისათვის.

2. შემუშავება იმ ღონისძიებებისა, რომელთა საშუალებითაც უნდა გაძლიერდეს კოოპერატიული საზოგადოებრივობა, კოოპერაციაში შეკავშირებულმა მასებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კოოპერაციის მშენებლობაში და მშრომელთა ახალი ფენები, უმთავრესად მუშები, მოჯამაგირენი, ღარიბი გლეხები, ქალები და ახალგაზრდობა, ჩაბმულ უნდა იქნან კოოპერაციაში.

3. მუშაობის გაძლიერება აპარატის სოციალიზაციისა, ზედნადები ხარჯების შემცირებისა და ფასების დაკლებისათვის; მუშაობის გაძლიერება აგრეთვე იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სამრეწველო საქონლის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტების მიწოდება მოსახლეობისათვის.

4. კოოპერაციის ფინანსიური ძლიერების განმტკიცება საპაიო გადასახადების გაძლიერებით, ანაბრების, კრედიტების მოზიდვით და სხვა.

5. პროპაგანდის წარმოება ყველა სახის კოოპერაციის სასარგებლოდ და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის უპირატესობათა და მრეწველობის გაშუქება.

6. კოოპერაციის როლისა და ამოცანების გამოაშკარავება კაპიტალისტურ ელემენტებთან (ნეპმანები და კულაკები) ბრძოლაში.

7. კოოპერატიული პროპაგანდის ამოცანების გაშუქება და კოოპერაციის მონაწილეობის გაძლიერება საბჭოთა ქვეყნის ყველა დარგის კულტურულ მშენებლობაში.,

საერთაშორისო კოოპერატიული მოძრაობის წარმატებით ჩატარებისა და კამპანიის მთლიანი ხელმძღვანელობის განხორციელების მიზნით აუცილებელია: სამაზრო კომიტეტებთან და საოლქო კომიტეტებთან შეიქმნას კომისიები ასეთი შემადგენლობით: ა) სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელი; ბ) აღმასკომის წარმომადგენელი; გ) ყველა სახის კოოპერაციის წარმომადგენელნი; დ) ახალგ. ლენ. კავშირის, ე) სამაზრო პროფბიუროს და ვ) მუშათა-გლეხთა განყოფილების წარმომადგენელი. ასეთივე კომისიები უნდა შეიქმნას თემკომებთან.

იმისათვის, რომ მოსახლეობის ყურადღება მიქცეულ იქნას კოოპერაციის საერთაშორისო დღისადმი, აუცილებელია:

1) კლუბებსა, წითელ კუთხეებსა და სამკითხველოებში გაიმართოს პოპულიარული ლექციები, საუბრები საერთაშორისო კოოპერატიული მოძრაობისა და საბჭოთა კოოპერატიული მშენებლობის სხვადასხვა ძირითად საკითხებზე.

2) მოეწყოს კოოპერატიული აქტივის ფართო კრებები, რომლებზედაც უნდა იქნას მოსმენილი საინფორმაციო ცნობები კოოპერაციის მუშაობის მიღწევებისა და პერსპექტივების შესახებ.

3) საერთაშორისო კოოპერატიული დღის აღსანიშნავად კლუბებსა და ქოხ-სამკითხველოებში უნდა გაიმართოს საღამოები სხვადასხვაგვარი კულტურული გასართობებით (წარმოდგენები, სხვადასხვა წრეების გამოსვლები, ინსცენიროვკები და სხვ.). ამ საღამოებზე უნდა იქნას გამოაშკარავებული საბჭოთა კოოპერაციის როლი და მიღწევები და აგრეთვე საერთაშორისო კოოპერატიული მოძრაობის ამოცანები.

4. ყოველმხრივ შეეწყოს ხელი კოოპერატიული ორგანიზაციების სხვადასხვაგვარ წამოწყებებს კულტურული და კოოპერატიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მოწყობის დარგში, როგორიც მაგალითად: ბავშთა კერების და მოედნების მოწყობა, წიგნებისა და კოოპერატიული კუთხეების მოწყობა; შეეწყოს ხელი აგრეთვე მასიურ კრებების მოწყობას საპაიო გადასახადების შეგროვების გაძლიერებისათვის.

5. ფართოდ იქნას გაშუქებული შეღავათები, რომლებიც მოჯამაგირეებსა და ღარიბებს ეძლევა, გაძლიერდეს მათი შეკავშირება კოოპერაციაში და ამისათვის გამოყენებულ იქნას სპეციალური ფონდები.

დაწვრილებითი მითითებანი საერთაშორისო კოოპერატიული დღის ჩასატარებლად ყველა სახის კოოპერაციაში, ეძლევა სათანადო კოოპერატიულ ცენტრებს და სხვ.

დაევალოს საქართველოს ახალგ. ლენ. კავშირის ცეკას, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას და გლეხ-ქალთა განყოფილებას თავის ხაზით მისცენ დირექტივები ადგილებს.

შენიშვნა:: რომ მოსახლეობა არ მოსცდეს სასოფლო-სამეურნეო მუშაობას, კოოპერაციის საერთაშორისო დღე სოფლებში შეიძლება ჩატარდეს კვირას, 8 ივლისს.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი მ. კახიანი.

ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ს. მამულია.

პარტიული ცხოვრება

ახალი კადრები ხელმძღვანელ პროფორგანოებში

(საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილება)

მოსკოვი, 23 ივნისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ მოისმინა საკავშირო პროფსაბჭოს ფრაქციის ბიუროს მოხსენება პროფორგანიზაციების ხელმძღვანელთა შემადგენლობის შესახებ. ადგილობრივ და ცენტრალურ ხელმძღვანელ პროფმუშაობაზე ახალი კადრების დაწინაურების ამოცანებთან დაკავშირებით. ცეკამ აღნიშნა მთელი რიგი ნაკლულოვანებანი პროფორგანიზაციების ამ მუშაობაში. ასე, მაგალითად, პროფორგანოები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ თავისი კადრების რაოდენობითი შემადგენლობის შესწავლას, მათ შერჩევას, დაწინაურებას და შემდგომ აღზრდას პრაქტიკულ მუშაობაში.

საკმაოდ არ არის პრაქტიკულად განხორციელებული მე-15 პარტკონფერენციის დირექტივები უპარტიო მუშების უფრო მეტად ჩაბმის შესახებ ფაბქარხკომების არჩეული ჯამაგირიანი მუშაკების შემადგენლობაში, და აგრეთვე საგუბერნიო განყოფილებათა, საგუბერნიო პროფსაბჭოს და პროფკავშირთა ცენტრ. კომიტეტების შემადგენლობაში. სუსტად ტარდება ქვედა-საფეხურის აქტივის ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში.

სხვა პარტიებიდან გამოსულთა დიდი რაოდენობა პროფკავშირთა ხელმძღვანელების შემადგენლობაში იმ დროს როცა იზრდება ქვედა საფეხურის აქტივი, შედეგია იმისა, რომ პროფორგანოები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ახალი კადრების შერჩევას და დაწინაურებას.

ჯერ კიდევ საკმაო ტემპით არ სწარმოებს ქალთა დაწინაურება ხელმძღვანელ პროფმუშაობაზე. პროფორგანოების ყოველ-დღიურ მუშაობაში სათანადო ადგილი არ უჭირავს მუშების დაწინაურებას სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიულ სამუშაოზე. პროფორგანოები თვალყურს არ ადევნებენ დაწინაურებულთა შემდგომ მუშაობას.

შემდეგ ცეკამ აღნიშნა, რომ პროფკავშირები საკმაო მონაწილეობას არ იღებენ სამეურნეო მუშაობაზე პროფმუშაკების დაწინაურებაში. ცეკა აუცილებლად სცნობს, რომ საკავშირო პროფსაბჭოს ფრაქციებმა პროფკავშირების შემდგომ მუშაობაში უზრუნველჰყონ პარტიის და პროფკავშირთა ყრილობების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება მუშაკების შერჩევისა, აღზრდისა და დაწინაურების დარგში, და დაწესებულ იქნას ნამდვილი პასუხისმგებლობა საკავშირო პროფსაბჭოს წინაშე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. კავშირების საადრიცხვო-განმანაწილებელი აპარატები უნდა განმტკიცდეს კვალიფიციური მუშაკებით. მიღებულ უნდა იქნას ზომები იმისათვის, რომ უფრო ენერგიულად გატარდეს დირექტივები, რომლებიც შეეხება პროფკავშირების არჩეული ორგანოების ყველა წევრების ჩაბმას პრაქტიკულ მუშაობაში.

ნაციონალურ რაიონებში უახლოეს პერიოდში უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ნაციონალების ჩაბმას ქვედა საფეხურის პროფორგანოებში.

ცეკამ წინადადება მისცა საკავშირო პროფსაბჭოს ფრაქციებს, შეამოწმონ უმთავრესი პროფორგანიზაციების მუშაობა სახელმწიფო აპარატში მუშების დაწინაურების მხრივ. სახელმწიფო აპარატში წარმოების მუშათა დაწინაურებასთან ერთად აუცილებელია მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ უფრო სისწორით იქნან გამოყენებული და დაწინაურებული ახალგაზრდა მუშები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებს და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებს ამთავრებენ.

პროფესიონალური განათლების ქსელი ფართოდ უნდა მოეწყოს პირველ რიგში ძირითად სამრეწველო ცენტრებში და კავშირებში, რომელთაც ჯერ კიდევ ჰყავთ საკმაო კადრები.

ვინაიდან ადგილი აქვს შემთხვევებს, როცა ადგილობრივი პარტორგანოები პროფკავშირებთან შეუთანხმებლად ხსნიან თანამდებობიდან პროფორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს, ცეკამ წინადადება მისცა პარტკომებს დაიცვან საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მიერ დადგენილი წესი პასუხისმგებელ მუშაკთა თანამდებობიდან მოხსნის შესახებ.

ცეკას მომართვის დამუშავება თბ. ორგანიზაციაში

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა

უჯრედის კრებამ განიხილა საკ. კ. პ. ც. კ. მომართვა.

კამათში პირველად არავინ გამოდის. ერთი მეორის თუ ერიდებათ სტამბის მუშებს.

პირველი ორატორის გამოსვლას დარიგებისა და „ახსნა-განმარტების" ხასიათი აქვს. მოწყენილი, შაბლონად გადაქცეული სიტყვები არ ესიამოვნათ მსმენელებს, უფრო საქმიან მსჯელობას მოითხოვენ.

მეორე ორატორი—ზოგადი ფრაზების ნაცვლად კონკრეტიულ მაგალითებით გამოდის:—ჩვენი გაზეთები მრავალ შეცდომებს უშვებენ, ამას წინად ერთ-ერთმა გაზეთმა გვერდი აუხვია ამიერ-კავკასიის ცაკის მიერ დაწყებული კამპანიის გაშუქებას, რომელიც მიმართული იყო „შახსეი-ვახსეის" წინააღმდეგ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენშიც, საქართველოს პირობებში ამ კამპანიას საგრძნობი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ხსენებულმა გაზეთმა აი როგორ გააშუქა იგი.

მეშვიდე გვერდზე წინ მოათავსა სახლების მუნიციპალიზაციის მასალები, ამას ქვევით ორიოდე სტრიქონი „შახსეი-ვახსეის" შესახებ და სულ ბოლოს ამიერ-კავკასიის ცაკის დადგენილება. გამომშვებს უადგილობის გამო დასჭირდა რამოდენიმე სტრიქონის ამოღება დადგენილებიდან, რის შემდეგაც კაცი ველარ იგებდა დადგენილების თავსა და ბოლოს.

--ჩვენ ძალიან ბევრს ვიძახით თვით კრიტიკის შესახებ, მაგრამ არ ვაქცევთ ჯეროვან ყურადღებას მუშკორთა ინიციატივის განვითარებას ამ საქმეში—ლაპარაკობს მორიგი ორატორი.

მუშები ხშირად გზავნიან მასალებს რედაქციებში მაგრამ ამ შენიშვნებმა ათასგვარი ინსტანცია უნდა გაიაროს, ადვილად უშვებენ თუ დიდი ხალხის დაწერილია და პატარა კაცს შეეხება. რომელიმე პასუხისმგებელი მუშაკის თუ შეეხე, მაშინვე დაიწყება შენიშვნის დაუსრულებელი „შემოწმება".

ამას წინად დაიწერა შენიშვნა სისხლის სამართლის მილიციის ზოგიერთ უმზგავსო მოქმედების შესახებ.—რედაქციამ გამომშვების მაგიერ პირდაპირ ხმალაძეს გაუგზავნა „შესათანხმებლად". კარგი ამბავია შენმა მზემ, იმას გაუგზავნე მასალა ვისაც თავს ესხმი და რასაკვირველია კარგ დღეს დაგაყრის! თავის მხრივ ხმალაძემ გამოიძახა მუშკორი და ლაზათიანად „დასტუქსა" ასეთი „თავხედობისათვის". ესეც თვითკრიტიკის ლოზუნგის გაფართოება!—აი როგორ უდგება საკითხს ზოგიერთი რედაქცია...

თვითკრიტიკის შესახებ ბევრს სწერენ პასუხისმგებელი მუშაკები., მაგრამ ვერ ვხვდებით., ან ძალიან იშვიათად ვხვდებით ქვედა ფენების საქმიან კრიტიკას. საჭიროა ხელი შეუწყოთ ამ ფენების ტალღის ამოძრავებას —აბოლოვებს სიტყვას უკანასკნელი ორატორი.

ფ—ე.

—:—

მე-5 სტამბის უჯრედი

ღია კრება გაეცნო საკ. კ. პ. (ბ) ცეკას უკანასკნელ მომართვას. მომხსენებელმა ფართოდ განმარტა თვითკრიტიკის ლოზუნგის მნიშვნელობა და ამოცანები.

ხშირად, როცა მუშა გამოდის კრიტიკით, მაგრამ კარგად ვერ გამოსთქვამს თავის აზრს, ზოგიერთი ამხანაგი უკიჟინებს: „შენ ესა და ეს გადაბრა გაქვსო" და ასეთი მოპყრობა თუ არ აღმოიფხვრა ხელს შეუშლის თვითკრიტიკის გაშლას.

— ჩვენს საბინაო მშენებლობას აქვს მრავალი ნაკლი. მაგალითად ტრამვაის მუშებისათვის აგებული სახლი ვერ აკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნილებებს. ამის მიზეზია ის, რომ მუშათა სახლების აგებას ავალებენ ისეთ არხიტექტორებს, რომლებსაც მუშის ყოფა-ცხოვრების არაფერი გაეგებათ. საჭიროა ახალ შენობათა პროექტები წინასწარ იქნეს განხილული მუშათა საერთო კრებებზე. ეს თავიდან აგვაცდენს მრავალ შეცდომას.

— ჩვენი პრესა ხშირად ფარდას ხდის დაწესებულებებში შემძვრალ ანტისაბჭოთა ელემენტებს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ საბჭოთა ორგანოები დროზე არ ღებულობენ ზომებს ასეთი ელემენტების გასაძევებლად. აი მაგალითიც: აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოში დემობილიზაციაში გაშვებულ მეთაურის სახელით შემძვრა ვიღაც ყოფილი ხუცესი დიასამიძე. პრესაში დაიწერა ამის შესახებ, მაგრამ აღმასკომს ხელიც არ გაუნძრევია, დიასამიძე ზის რბილ სავარძელში და არხეინად განაგრძობს „სამსახურს".

— იყო დადგენილება აზარტიული სათამაშოები უნდა დაიკეტოსო. მუშები ამას სიხარულით შეხვდენ, მაგრამ თბილისში, როგორც ჰგავს ამ დადგენილების შესრულებისათვის თავს არავინ იცხელებს, პირიქით: აზარტიული სათამაშოების „ქსელი" კიდევ უფრო ფართოვდება, აბა რას ნიშნავს ელბაქიძის დაღმართში ახალი ლოტოს გამართვა? ჩვენ მოვითხოვთ მიღებული გადაწყვეტილების სასწრაფოდ განხორციელებას... — ასე ლაპარაკობდენ კამათში გამოსული ამხანაგები.

კრებამ დაავალა ბიუროს დაამუშაოს პრაქტიკული ღონისძიებები ცეკას მომართვის ცხოვრებაში გასატარებლად.

ხესე

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან--კვირამდე)

გალმა გამოდავების პოლიტიკა.—საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულება და პოლონეთი.—მცირე ანტანტის კონფერენცია.—ახალი ხანა აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში. — საბერძნეთის ამბები. — სახიფათო თანამდებობა

უკვე იყო აღნიშნული, რომ პოლონეთის პასუხი ჩვენს ნოტაზე, რომელიც შეეხებოდა ამხ. ლიზარევზე თავდასხმას და თეთრგვარდიელების ანტისაბჭოთა მუშაობას პოლონეთში, ოდნავადაც არ არის დამაკმაყოფილებელი. პოლონეთის მთავრობა მიუთითებდა გაფრთხილებაზე, რომელიც მან ოდესღაც მისცა თეთრ ემიგრაციას, და აგრეთვე ზოგიერთ თეთრგვარდიელთა დაპატიმრებაზე. მაგრამ ეს ზომები სრულიად არ აღმოჩნდენ საკმარისი ჩვენი წარმომადგენლების უშიშროების უზრუნველყოფისა და თეთრგვარდიელთა აქტიური ანტისაბჭოთა გამოსვლების აღკვეთისათვის. მართლაც, მიუხედავად ხსენებულ გაფრთხილებისა 3 მაისს მოხდა თავდასხმა ამხ. ლიზარევზე. როგორც ვხედავთ, პოლონეთის მთავრობის გაფრთხილება არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს თეთრგვარდიელ ბანდიტებზე. და ეს გასაგებია: მათ კარგად იციან, რომ პოლონეთის მთავრობა ნამდვილად რაიმე სერიოზულ ნაბიჯებს არ სდგამს მათ წინააღმდეგ, პირიქით — მფარველობას უწევს, უკეთეს შემთხვევაში თავისი პასივობით აქეზებს ბოროტმოქმედებებისათვის. სხვათა შორის, ეს აშკარა გახდა 3 მაისის ტერორისტულ აქტის შემდეგაც. ამხ. ლიზარევზე თავდასხმის გამო დაპატიმრებულნი ყველა გაანთავისუფლეს, გარდა ვოიცეხოვსკისა, თუმცა უდავოა მათი აქტიური მონაწილეობა თავდასხმის ორგანიზაციაში და საერთოდ საბჭოთა წარმომადგენლების წინააღმდეგ ტერორისტულ გამოსვლების მოწყობაში.

აღნიშნავს რა ყველა ამას ამხ. ჩიჩერინი თავის უკანასკნელ ნოტაში აცხადებს: „პოლონეთის მთავრობის მიერ ახალი სერიოზული გადაჭრილი ზომების მიღების გარეშე თეთრი ემიგრაციის წინააღმდეგ საკავშირო მთავრობას არ შეუძლია დამაკმაყოფილებლად ჩასთვალოს იმ საკითხის გადაჭრა, რომელიც წამოყენებულია ჩემს 7 მაისის ნოტაში, და აკისრებს პოლონეთის მთავრობას პასუხისმგებლობას საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლების უშიშროებისათვის".ამ ნოტამ კვლავ ერთი განგაში გამოიწვია პოლონეთის პრესაში. ოფიციოზი „ეპოქა" წერს, რომ ნოტა „ეკუთვნის საბჭოთა იმ დიპლომატიურ დოკუმენტების სერიას, რომლებიც ურთიერთობის გასამწვავებლად იწერება"-ო. პილსუდსკის „პოლსკა ზბროინა" ამბობს, რომ თითქოს საბჭოთა კავშირში წარმოებს „გეგმიანი კამპანია" პოლონეთის წინააღმდეგ და ამას ვითომდა ხელს უწყობდეს თვით საბჭოთა მთავრობა. ზოგიერთი გაზეთები ამხ. ჩიჩერინის ნოტას „თავხედურსაც" უწოდებენ. ამგვარად, პოლონეთის პრესა თავის მართლების ნაცვლად თავდასხმაზე გადადის. თურმე სიმართლის თქმა თეთრგვარდიელებისადმი პოლონეთის ხელისუფლების დამოკიდებულების შესახებ და მოთხოვნა, რომ, პოლონეთ საბჭოთა კავშირ შორის ნორმალურ ურთიერთობის დამყარების მიზნით, ნამდვილი ზომები იქნეს მიღებული ჩვენი წარმომადგენლების უშიშროების დასაცავად — ყოფილა ისეთი ნაბიჯი, რომელიც მიზნად ისახავს მხარეთა შორის ურთიერთობის გამწვავებას! თურმე არა პოლონეთში წარმოებს სისტემატიური კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, არამედ საბჭოთა კავშირში — პოლონეთის წინააღმდეგ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ პოლონეთის პრესა ვერ აბათილებს საბჭოთა ნოტაში და ჩვენს პრესაში მოყვანილ ფაქტებს, რომლებიც ამტკიცებენ პოლონეთის მთავრობის აგრესიულ ზრახვებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და თეთრ ემიგრაციის დაუსჯელ ანტისაბჭოთა მოქმედებას, პოლონეთში. ამ ფაქტებს ის განზრახ გვერდს უვლის და ამით ადასტურებს მათ სინამდვილეს. ამაოდ ცდილობს პოლონეთის პრესა, გალმა გამოდავებით დაფაროს პოლონეთის მთავრობის და ბურჟუაზიის აშკარად მტრული პოლიტიკა და მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. „ცეცხლი თივაში არ დაიმალება" და ჩვენთვის ყველაფერი ნათელია.

სხვათა შორის, აღსანიშნავია „გაზეტ ვარშავკა"-ს გალაშქრება ლვოვის საბჭოთა საკონსულოს წინააღმდეგ. ეს „საშიში დაწესებულებაა",—წერს გაზეთი, და პოლონეთის მთავრობამ შეცდომა დაუშვა, რომ იგი დასთანხმდა ლვოვში საბჭოთა საკონსულოს გახსნაზეო. „ნიადაგი ლვოვში მეტად მერყევია"-, ასკვნის „გაზეტ ვარშავკა". რომ ნიადაგი ლვოვში მერყევია, ამაში ჩვენ მას ვეთანხმებით. დასავლეთ გალიციაში, რომლის ცენტრს ლვოვი წარმოადგენს, ძლიერია ნაციონალური და მშრომელთა მოძრაობა, რაც მიეწერება პილსუდსკის სულთამხუთავ რეჟიმს. მაგრამ რა შუაშია აქ საბჭოთა საკონსულო? ესაა ნაწილი იმ კამპანიისა, რომელიც პოლონეთში გაჩაღებულია ჩვენი წარმომადგენლობისა და საერთოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ყველა ფაქტები მეტყველებენ, რომ პოლონეთის მთავრობას არ სურს ჩვენთან ნორმალურ დამოკიდებულების დამყარება. საბჭოთა მთავრობა და ჩვენი საზოგადოებრივობა ამას „მხედველობაში იღებს".

* * *

პოლონეთის მთავრობა ბოლო დროს განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს თავის საგარეო პოლიტიკაში. ერთა ლიგის საშუალებით ლიტვის დამონების ცდა, ზალესკის მთელი რიგი ანტისაბჭოთა გამოსვლები, მისივე გამგზავრება რომსა და პარიზში და მრავალი სხვა ამის მაჩვენებელია. დღეს ჩვენ გვინდა შევჩერდეთ ზალესკის „გასტროლზე" პარიზში, რაც დაკავშირებულია გერმანია-საფრანგეთის მოლაპარაკებასთან მათი დაახლოვების შესახებ.

საკითხი პირველ ყოვლისა ეხება რეინის ოლქის ვადამდე ევაკუაციას, რაც მთავარი პირობაა გერმანია-საფრანგეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ თანამშრომლობისათვის, რამდენადაც ამაზე შეიძლება ლაპარაკი ინტერესთა იმ გადაულახავ წინააღმდეგობის პირობებში, რომელიც ხსენებულ ქვეყნების დამოკიდებულებას ახასიათებს. პოლონეთის მესვეურები საფუძვლიანად ნერვიულობენ საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების განზრახვის გამო. როგორც ვიცით, ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიას ჩამოგლიჯეს დანციგი და ზემო-სილეზია და პოლონეთს გადასცეს. გერმანია, რა თქმა უნდა ვერ ურიგდება ამ ძალადობას. თუ დღემდე ის ვერ ახერხებს ამ ტერიტორიების დაბრუნებას. ეს აიხსნება არა პოლონეთის სიძლიერით, არამედ იმით, რომ პოლონეთს ზურგს უკან დღემდე იდგა საფრანგეთი. ხოლო თუ შესაძლებელი გახდა გერმანია-საფრანგეთის ასე თუ ისე დაახლოვება, ამით დღის წესრიგში დაისმება გერმანიის აღმოსავლურ საზღვრების გადასინჯვის საკითხიც და პოლონეთი, მარტო თავი ამარა დარჩენილი, ვერ შესძლებს გერმანიისათვის წინააღმდეგობის გაწევას.

ამიტომაა პოლონეთი წინააღმდეგი საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების, ყოველ შემთხვევაში ის ცდილობს ამ შეთანხმების ზევით აღნიშნული შედეგი თავიდან აიცილოს. ამ მიზნით ზალესკი ამას წინედ ეწვია პარიზს. საფრანგეთის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების შემდეგ მან შემდეგი განაცხადა: „საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან საუბრიდან მე გამოვიტანე შთაბეჭდილება, რომ რეინის ოლქის ევაკუაციას, რომელსაც ისეთივე სიფრთხილით ეკიდებიან პარიზში, როგორც ვარშავაში, უკავშირებენ ფინანსიურ შეთანხმებებს, რომლებმაც ბერლინის მთავრობაზე უნდა იქონიონ იმგვარივე შემაკავებელი ზეგავლენა, როგორც სამხედრო ოკუპაციამ". გასაგებია, რომ ზალესკის ამ განცხადებამ, რომელიც გულისხმობს ისეთი ფინანსიური ვალდებულებების მოხვევას გერმანიაზე, რომლებიც თავისი სიმძიმით სამხედრო ოკუპაციას უნდა უდრიდეს, აღშფოთება გამოიწვია მთელ გერმანიაში და გაამწვავა გერმანია-პოლონეთის ისედაც გართულებული დამოკიდებულება.

საკითხავია, რამდენად სწორია ზალესკის მტკიცება, რომ პოლონეთსა და საფრანგეთ შორის რეინის ევაკუაციის საკითხში არსებობს შეხედულებათა იგივეობაო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საფრანგეთი, თუ მას თავის ინტერესებისათვის აუცილებლად მიაჩნია გერმანიის მიმართ დათმობებზე წასვლა, მაინც და მაინც დიდ ანგარიშს არ გაუწევს პოლონეთის პრეტენზიებს. ამის დამადასტურებელი საბუთები ჩვენ უკვე გვაქვს. ლოკარნოს ხელშეკრულებაში, მიუხედავად პოლონეთის მოთხოვნისა, არ იქნა შეტანილი სპეციალური მუხლი პოლონეთის დასავლეთის საზღვრების უზრუნველყოფის შესახებ. საფრანგეთმა დაუთმო გერმანიას უკანასკნელის აღმოსავლეთის ციხე-სიმაგრეების დანგრევის საკითხშიც: უშედეგო გამოდგა პოლონეთის ცდა ეს ციხე-სიმაგრეები ყველა და მთლად დანგრეული ყოფილიყო. საფრანგეთმა ფრანკის დროებითი სტაბილიზაცია მოახდინა გერმანიის ფინანსების დახმარებით. ეხლაც როცა დგას საკითხი ფრანკის საბოლოო სტაბილიზაციის შესახებ, საფრანგეთს გაუძნელდება ამ ამოცანის გადაჭრა გერმანიის სავალიუტო ფონდის გარეშე. ამავე დროს საფრანგეთის ექსპორტი კრიზისს განიცდის და ისეც აიძულებს მას გერმანიასთან შეთანხმებას მიაღწიოს. სამაგიეროდ საფრანგეთმა უნდა დაუთმოს მას რეინის ევაკუაციის და პოლონეთთან დამოკიდებულების საკითხებში.

ამით, ცხადია, ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ თითქო შესაძლებელი იყოს მკვიდრი და ხანგრძლივი შეთანხმება გერმანია-საფრანგეთ შორის. კერძოდ სრულიად უნიადაგოა რეისბერგის დებულება, თითქო მოსახერხებელი იყოს ამ ქვეყნების ჯარების გაერთიანებაც კი. მსოფლიო ომით გამოწვეული სიძულვილი საფრანგეთ-გერმანიას შორის კვლავ მძლავრია. ფოლადის ტრესტში, რაზედაც მისი დამაარსებელნი დიდ იმედებს ამყარებდენ, სერიოზულ უთანხმოებას აქვს ადგილი. საერთოდ საფრანგეთს ეშინია გერმანიის გაძლიერების და ის შეეცდება იგი კვლავ ჯაჭვით დაბმული იყოლიოს.

ბოლოს, მხედველობაშია მისაღები ინგლისის პოზიცია. ლონდონი მომხრეა საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვებისა შემდეგი პირობების დაცვით: ეს შეთანხმება უნდა გატარდეს მისი მესვეურობით, რომ ორივე მათგანი მისგან იყვენ დამოკიდებული; იგი საშუალება უნდა იყოს ანტისაბჭოთა კამპანიის გასაძლიერებლად; მას არ უნდა მოჰყვეს ინგლისის იმპერიალიზმის ინტერესების შელახვა. ამნაირად, ინგლისი წინააღმდეგია გერმანია-საფრანგეთის მტკიცე დაახლოვების.

ამგვარად, გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობა ისევ უაღრესად რთული პრობლემაა, რომლის გადაჭრის ცდები უეჭველად გამოიწვევს ახალ პოლიტიკურ კომბინაციებს, ძალთა ახალ გადაჯგუფებას, რის შედეგი იქნება არა საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცება, რა თქმა უნდა, არამედ იმპერიალისტებს შორის ახალ ფორმებში ბრძოლის გაგრძელება და მზადება ომისათვის.

* * *

ამჟამად ბუქარესტში მიმდინარეობს მცირე ანტანტის (ჩეხო-სლოვაკია, სამხრეთ-სლავია და რუმინეთი) კონფერენცია, მცირე ანტანტა საფრანგეთის იმპერიალიზმის ღვიძლი შვილია და დაარსებულ იქნა ვერსალის და მასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებათა დასაცავად. ეს გაერთიანება იმ თავითვე მოწოდებული იყო ეთამაშა ბალკანეთში საფრანგეთის პოლიტიკის გამტარებლის როლი.

მაგრამ უკანასკნელ წლებში მცირე ანტანტის შენობა ძალზე შეირყა. მისი ეხლანდელი კონფერენციაც მოწმობს, რომ ეს ორგანიზაცია დღეს მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და ფაქტიურად დაშლილია. საქმე ის არის, რომ საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობამ ბოლო დროს დაკარგა წინანდელი სიმტკიცე და ამას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მცირე ანტანტაზეც.

ბალკანეთში გაძლიერდა იტალია, რომელიც იქ საფრანგეთის აცლის პოზიციის პოზიციაზე. პირველ ყოვლისა მისი მიზანია მცირე ანტანტის დანგრევა. ამ მხრივ მან საგრძნობ შედეგებსაც მიაღწია. იტალიამ დასდო ხელშეკრულება რუმინიასთან, რომელიც სულ უფრო შორდება საფრანგეთს და რომის ორიენტაციას ადგება. შემდეგ აღსანიშნავია იტალია-ალბანეთ შორის ხელშეკრულების დადება, რაც უკანასკნელს პირველის კოლონიად ხდის და საფრთხეს უმზადებს სამხრეთ-სლავიის დამოუკიდებელ არსებობას. ამან ლახვარი ჩასცა საფრანგეთის პრესტიჟს, რამდენადაც ის სამხრეთ-სლავიის მოკავშირეა. აქედან ხსენებულ კონფერენციაზე წარმოიშვა უთანხმოება იტალიის საგარეო პოლიტიკისადმი დამოკიდებულების საკითხში. თუ სამხრეთ-სლავია უარყოფითად ეკიდება ამ პოლიტიკას, რუმინეთი მას მხარს უჭერს. საგულისხმოა, რომ განზე იწევს ჩეხო-სლოვაკიაც. ბენეში ერთი მხრით ლონდონის ტყვეობაში იმყოფება, მეორე მხრით იგი გერმანიას უახლოვდება. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ რუმინია ცდილობს საბერძნეთის შეყვანას მცირე ანტანტაში, ცხადია, ლონდონის და რომის კარნახით, რომ უკანასკნელებმა საბერძნეთის საშუალებით თავისი გავლენა განამტკიცონ მცირე ანტანტაში, თუ ის საბოლოოდ არ იქნება დაშლილი.

გარდა ამისა, იტალიას ბალკანეთში ჰყავს ისეთი ერთგული ვასალი, როგორიცაა უნგრეთი, რომელსაც ის აიარაღებს (სენ-გოტარდის ინციდენტი) იმ შემთხვევისათვის, თუ ომის წარმოება მოუხდება სამხრეთ-სლავიასთან და ამასთან დაკავშირებით შეიძლება საფრანგეთთანაც. უნგრეთი მუქარას წარმოადგენს მცირე ანტანტისათვის, თუ უკანასკნელი ურჩობას გამოიჩენს იტალიის მიმართ.

ყველაფერი ეს ააშკარავებს ინტერესთა წინააღმდეგობას როგორც სამხრეთ ევროპის, ისე მსხვილ იმპერიალისტურ ქვეყნებ შორის. ამას ადასტურებს ბუქარესტის კონფერენციაც.

* * *

თუ იმპერიალისტურ სახელმწიფოებ შორის იზრდება წინააღმდეგობანი, სულ სხვა მოვლენას ვხედავთ ჩვენ მათ მიერ დაჩაგრულ აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობაში. ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც დღემდე შესაძლოდ ხდიდა მსოფლიო ყაჩაღების მხრით აღმოსავლეთის ხალხთა ადვილად დამონებას, იყო უკანასკნელთა შეუთანხმებლობა. მათ შორის არ არსებობდა მთლიანი ანტი-იმპერიალისტური ფრონტი და თვითეული მათგანი ცალკე იბრძოდა თავის დამოუკიდებლობისათვის. კიდევ მეტი: აღმოსავლეთის ხალხთა შორის ხშირად ვხვდებოდით ურთიერთ ბრძოლას ტერიტორიალურ, ეკონომიურ, სარწმუნოებრივ და სხვა ნიადაგზე.

იმპერიალისტების ცდა იქეთაა მიმართული, რომ დასთესონ მათ შორის უნდობლობა, შუღლი, გამოიწვიონ კონფლიქტები და სხვ. ამ მიზნით ისინი აიარაღებენ მოსაზღვრე ტომებს და ამხედრებენ ერთმანეთის წინააღმდეგ და მრავალ სხვა პროვოკაციას აწყობენ. დაქსაქსე და იბატონე — ასეთი იყო მათი ლოზუნგი ამ შემთხვევაში. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ ლოზუნგს გასავალი არ ჰქონდა. აღმოსავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები ხშირად ეგებოდენ იმპერიალისტების მიერ გადმოსროლილ ანკესზე.

მაგრამ მდგომარეობა უკანასკნელ დროს იცვლება. აღმოსავლეთის ქვეყნების მესვეურები თანდათან იგებენ, რომ აუცილებელია შეთანხმება და თანამშრომლობა როგორც იმპერიალიზმის უღლისაგან თავის დასაღწევად, ისე თავის ხალხთა სამეურნეო კულტურულ აღორძინებისათვის.

ამ მხრივ ჩვენ გვაქვს მეტად საყურადღებო აქტები — ურთიერთი თავდაუსხმელობის და მეგობრობის ხელშეკრულებები ეგვიპტესა და ავღანისტანს შორის, თურქეთსა და ავღანისტან შორის, თურქეთსა და სპარსეთ შორის, სპარსეთსა და ავღანისტან შორის. ამით იწყება სრულებით ახალი ხანა აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში, ხანა ძალთა გაერთიანებისა იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ძმური თანამშრომლობისა ეკონომიურ-კულტურულ წინსვლისათვის.

ამ აქტებს ამავე დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა კავშირისათვის. ცნობილია, რომ იმპერიალისტები არაერთხელ ზოგავენ აღმოსავლეთის ხალხების გამოსაყენებლად ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ მათი ყოველი ცდა საბოლოო ანგარიშით მარცხით თავდება. საბჭოთა მთავრობამ, რომელიც ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის და კერძოდ აღმოსავლეთის ხალხთა დამოუკიდებლობის სადარაჯოზე დგას, დაამყარა მათთან მეგობრული ურთიერთობა. ამან გამოხატულება ჰპოვა საგარანტიო და სხვა ხელშეკრულებებში, რომლებიც უკვე დადებულია ზოგიერთ მათთან. (თურქეთთან, სპარსეთთან, ავღანისტანთან): უეჭველია, რომ ამის გავლენითაც ხდება ამ ხალხთა ურთიერთი დაახლოვება. ამგვარად, მკვიდრი საძირკველი ეყრება მათ მშვიდობიან თანაარსებობას და თანამშრომლობას. ეს იმპერიალისტების კოლონიალურ და ანტისაბჭოთა პოლიტიკის მეტად სერიოზული დამარცხებაა.

* * *

საბერძნეთში საყურადღებო ამბები ხდება. საქმე დაიწყო მეთამბაქოე მუშების გაფიცვით. ეს მუშები ყველაზე უფრო ძლავრ და მრავალრიცხოვან რაზმს წარმოადგენენ საბერძნეთის მუშათა კლასში. მეთამბაქოეებს მიემხრენ დანარჩენი დარგების მუშები და მოსამსახურენიც. ამგვარად გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. ფაშისტურმა მთავრობამ პოლიციის დასახმარებლად ჯარები აამოქმედა გაფიცულთა გასატეხად. მაგრამ ამაოდ: მუშები არაჩვეულებრივ რევოლიუციონურ სიმტკიცეს იჩენენ.

უაღრესად მძიმეა საბერძნეთის პროლეტარიატის, კერძოდ მეთამბაქოეთა მდგომარეობა. ხანგრძლივი სამუშაო დღე, ხელფასის სიმცირე, შრომის აუტანელი პირობები, ცხოვრების გაძვირება, სოციალურ დაზღვევის არსებითად სრული უქონლობა, სასტიკი დევნა, პოლიტიკური უუფლებობა და რეაქციის თარეში -- ასეთია ბერძენ მუშების მძიმე ხვედრი, ადვილად ასახსნელია მათი მედგარი ბრძოლა, მიუხედავად სისხლის მღვრელი რეპრესიებისა; მუშები მოითხოვენ თავის მატერიალურ და უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საბერძნეთის გამხეცებული ბურჟუაზია, შეუბრალებლად სდევნის რა არსებობის ელემენტარულ პირობებისათვის მებრძოლ მუშათა მასებს, ამავე დროს ლონდონის კარნახით აუქმებს სავაჭრო ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირთან და ამწვავებს ჩვენთან დამოკიდებულებას. ამას კი აუცილებლად მოჰყვება საბერძნეთის ეკონომიურად უფრო დაქვეითება, რაც უდიდეს ზიანს მიაყენებს არა მარტო თვით ბურჟუაზიას, არამედ პირველ ყოვლისა და უმთავრესად ფართო მასსებს.

ის სოციალური ბრძოლა, რომელიც გაჩაღდა საბერძნეთში, როგორიცა არ უნდა იქნეს მისი უახლოესი შედეგი და ათინის მთავრობის ხსენებული ანტისაბჭოთა აქტი, ბოლოს და ბოლოს, უეჭველია, საბერძნეთის ეხლანდელ სატრაპების ბატონობას ბოლოს მოუღებს.

* * *

არაფერი ეშველა მთავრობის შედგენას გერმანიაში, მენშევიკები, რომელნიც არჩევნებში თავის გამარჯვებას ზეიმობდენ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ბურჟუაზიის ტყვეობაში აღმოჩნდენ. „ფორვერტს"-ი ფახი-ფუხობს: „თუ დამარცხდა დიდი კოალიციის შექმნის ცდა, სოციალ-დემოკრატების ადგილი ოპოზიციის რიგებშია"-ო. ტყუილ-უბრალოდ აშინებს „ფორვერტს"-ი ბურჟუაზიულ პარტიებს, რომელთაც მშვენივრად იციან სოციალ-გამცემლების ოპოზიციონერობის ფასი. მაგრამ აშკარაა, რომ საქმე აქამდე არ მივა. მენშევიკები იმდენად არიან გატაცებული სამინისტრო პორტფელების მიღების სურვილით, რომ ამისათვის მზად არიან ბურჟუაზიის ნებისყოფას სავსებით დაემორჩილონ, ეხლანდელი მათი „ჯიუტობა" მხოლოდ მასების თვალის ახვევას ისახავს მიზნად.

რისთვის არიან სოციალ-დემოკრატები ასე მოწყურებული სამინისტრო სავარძლებს? არა მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად, რა თქმა უნდა. ამ მხრივ მათზე რაიმე ეჭვის შეტანა დიდი გულუბრყვილობა თუ ცილისწამება იქნებოდა. გერმანელმა მენშევიკებმა (ისე როგორც სხვა ქვეყნების შემთანხმებლებმა) უკვე დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ ისინი ბურჟუაზიის ინტერესების სადარაჯოზე დგანან.

მაინც აღსანიშნავია, ერთი „წვრილმანი", საქმე ეხება საკითხს, თუ ვინ უნდა დაიკავოს შრომის მინისტრის პოსტი. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ამ თანამდებობას ხელი უნდა ჩასჭიდონ მენშევიკებმა, რომ ის გამოიყენონ მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სოციალ-დემოკრატები კი აცხადებენ: არავითარ შემთხვევაში შრომის მინისტრის პორტფელს ჩვენ არ ავიღებთ. ცხადია რატომ.

შრომის მინისტრი ისეთი კაცია, რომელიც უშუალოდ განაგებს კაპიტალისა და შრომის ურთიერთობის საკითხებს. რაკი მენშევიკები ნაკლებად ფიქრობენ მუშების ინტერესებზე და მათ არ სურთ აწყენინონ კაპიტალისტებს, ისინი უარს ამბობენ შრ. მინისტრად თავისი კანდიდატი დასვან, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მოღალატეობა უფრო აშკარა გახდებოდა. მაგრამ ასეთი ფანდით ისინი თავს ვერ დააღწევენ მომავალ მთავრობის ანტიპროლეტარულ პოლიტიკისათვის პასუხისმგებლობას. პირიქით, ასეთი „ხელის დაბანის" ტაქტიკა საუკეთესოდ ამხელს კაპიტალის ამ ლაქიების ნამდვილ ბუნებას.

ვ. კ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

როგორი თვითკრიტიკა გვესაჭიროება

თვითკრიტიკის შესახებ საკმაოთ ბევრს ვწერთ და ვლაპარაკობთ. ეს ლოზუნგი უკვე პოპულიარული გახდა. მისი პრაქტიკული შედეგებიც ბევრისათვის უდაოა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველივე ამასთან თვითკრიტიკის გატარებას ჯერ კიდევ თან ახლავს ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეფექტები.

პირველ ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ თვითკრიტიკა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ გაშლილი. ლოზუნგი „კრიტიკა პიროვნების მიუხედავად", ტარდება უფრო ზევიდან, ვიდრე ქვედა ფენებიდან. ასევე ითქმის კრიტიკის ტალღაზე საზოგადოთ მასების მხრივ. მართალია ადგილობრივი კორესპონდენტები და არა კორესპონდენტებიც აქტიურად გამოეხმაურნენ თვითკრიტიკის ლოზუნგს, მართალია წერილები ჩვენი მტკივნეული მხარეების შესახებ დღითი - დღე მატულობს, მაგრამ ეს არ კმარა.

დეფექტები ჩვენ მუშაობაში ბევრი გვაქვს, ახალი, ჯერ არგაგონილ საზოგადოებრივ წყობილების აშენება, რასაც ჩვენ ეხლა ვაწარმოებთ, ბუნებრივად ქმნის მრავალ შეცდომათა შესაძლებლობას, მტრული, მიმავალი კლასების და მომაკვდავი ელემენტების ჩუმი თუ აშკარა წინააღმდეგობა ჩვენს მშენებლობაში ჯერ კიდევ დაძლეული არაა. საჭიროა ყველა ამ ტკივილების, ყველა ამ „ნებსითი თუ უნებლიე" შეცდომების გამომჟღავნება, მათი მზის სინათლეზე გამოტანა, დამნაშავეთა „გამათრახება" საზოგადოებრივ აზრის წინაშე. ამას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი მუშაობის წარმატებით განვითარებისათვის.

მაგრამ მარტო ამით ვერ დავკმაყოფილდებით. გროშის ფასად არ ეღირება ჩვენი თვითკრიტიკა, თუ ის არ გასცდა ზეპირ და წერილობით ლაპარაკს, თუ კრიტიკამ პრაქტიკული ნაყოფი არ გამოიღო. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგი ეთით და იმავე დროს გულისხმობს თვითშემოწმებასაც, იმის სისტემატიურად გასინჯვას, თუ რამდენად ტარდება ცხოვრებაში თვითკრიტიკის გზით გამოაშკარავებულ ბოროტებათა აღმოფხვრისაკენ მიმართული ღონისძიებანი.

ჩვენ თვითკრიტიკა თავის შესაქცევად არ გვესაჭიროება, ჩვენ არ გვწამს კრიტიკა — კრიტიკისათვის.

სამწუხაროდ ეს უდაო ჭეშმარიტება ჩვენში ხშირად ბევრს ავიწყდება. ჩვენ დღეს ვაქვეყნებთ იმ დაწესებულებათა სიას, რომელნიც მოვალენი იყვნენ მიეღოთ ზომები ინსპექციის წინა ფურცლებში დაბეჭდილ ამა თუ იმ კრიტიკულ შენიშვნების გამო. აღნიშნულ დაწესებულებებს, დამატებით ცალკე მიმართვებიც გაეგზავნათ იმის შესახებ, თუ რა ზომები მიიღეს მათ ამა თუ იმ კორესპონდენციაში შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად. პასუხი მაინც არ მოდის.

რას გვეუბნება ეს? ჩვენი ზოგიერთი დაწესებულება - წარმოებები კიდევ ვერ გამოფხიზლდნენ, ლოზუნგი თვითკრიტიკის შესახებ მათ ვერ შეითვისეს. საკმარისი არაა პრესაში კრიტიკული შენიშვნის მოთავსება. საჭირო ხდება სპეციალური მოგონების გაგზავნა, საჭირო ხდება პრესისვე საშუალებით ამ დაწესებულებათა განმეორებით გამოძახება.

ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენში ნაკლები ყურადღება ექცევა გამომჟღავნებულ დეფექტების აღმოფხვრას, რომ ჩვენი აპარატი ჯერ - ჯერობით ვერ იჩენს საჭირო ელასტიურობას, რათა სათანადოთ გამოეხმაუროს თვითკრიტიკის ლოზუნგს და ხელი შეუწყოს ამ ლოზუნგის უკლებლივ და სწორად გატარებას.

ასეთ არანორმალურ მდგომარეობას სასტიკად უნდა შევებრძოლოთ. ერთი მხრივ ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ თვითკრიტიკა, ხოლო მეორე მხრივ, ამდენივე ენერგიულად უნდა ვადევნოთ თვალი იმას, თუ რა ნაყოფს იძლევა ის.

რანი.

მილიცია კულაკის დამცველის როლში

24 მაისს, გორის თემში მცხოვრებმა კულაკმა გლეხმა—კლიმენტი ლილუაშვილმა, წინასწარი განზრახვით შეუშვა თავისი ცხენი მეზობელ ღარიბი გლეხის—დიმიტრი ლილუაშვილის პატარა ვენახში და ისედაც ღატაკ გლეხს გაუნადგურა მთავარი სარჩო-საბადებელი. კლიმენტი ლილუაშვილი უთვალთვალებდა თავის ცხენს საკუთარი ვენახიდან და უცდიდა იმ დროს, როდესაც ვენახის პატრონი მოვიდოდა და ცხენს გადმოდენას დაუწყებდა.

აჰა, მოვიდა დიმიტრი ლილუაშვილი, რომელსაც ვენახი სულ აოხრებული დაუხვდა. იქვე დაინახა მეზობლის ცხენი. რომ ცხენს ვენახი სავსებით არ გაეპარტახებია, გლეხმა გამოედევნა ცხენს და მოუნდომა მას ვენახიდან გადმოდენა. ამ დროს მიუხტა მას სარით ცხენის პატრონი კულაკი კლიმენტი ლილუაშვილი და დაუწყო ცემა.

კიდევ 10 წუთი და ვენახის პატრონი დიმიტრი ლილუაშვილი სულთმობრძავი ეგდო მიწაზე. ვინ იცის, შეძლება კიდევაც მომკვდარიყო ის, რომ გლეხები არ მიშველებოდნენ.

ადგილობრივმა აღმასკომმა ექიმთან ერთად წარუდგინა სათანადო ოქმი ბაღდათის მილიციას. სთხოვეს საქმის გამოძიება.

ბაღდათიდან წამოვიდნენ საქმის გამოსაძიებლად მილიციის უფროსის თანაშემწე და უფროსი მილიციონერი გამყრელიძე, რომლებიც პირველ ყოვლისა მივიდნენ კლიმენტი ლილუაშვილისას სადილზე. შემდეგ დაიწყეს იქ ოქმის შედგენა, გალახული დიმიტრი ლილუაშვილს კი არც დაუძახეს. როდესაც დასახიჩრებულის ჭირისუფალმა მოსთხოვა მათ საქმის გამოკვლევა, აღმასკომში მოწმეების გამოწვევით, „გამომძიებლები" გაგულისდნენ და დიმიტრი ლილუაშვილი თავისი ჭირისუფალით დააპატიმრეს და წაიყვანეს აღმასკომში. აქ მათ სურდათ ექიმი შეეშინებინათ და მსუბუქი მოწმობა გამოერთმიათ, დიმიტრი ლილუაშვილის გალახვის შესახებ, მაგრამ ექიმი ამაზე არ დასთანხმდა და ფიქრებიც ჩაეფუშათ.

საღამოს, როდესაც მილიციის „ემისრებს" თავში ღვინო გამოუნელდათ. და მიხვდნენ, რომ ასეთ საქციელისთვის მათ შუბლში არავინ აკოცებდა, დაპატიმრებულები დასტოვეს და გაიპარნენ გორადან ყოველგვარი საქმის გაუკეთებლად.

საჭიროა მოეთხოვოს პასუხი როგორც კულაკ გლეხს, ისე მის თანამოძმე მილიციის თანამშრომლებს. ამგვარი მილიციით ჩვენ შორს ვერ წავალთ.

კარლიბი.

წყალში გადაყრილი 5000 მანეთი

ს.მ.უ.ს. ახალშენებათა კომიტეტმა დაავალა ინჟ. თათარიშვილს აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის გაფართოვების გეგმის შედგენა და ამ შრომისათვის აღუთქვა მას 5.000 მ. მიცემა. ნაწილი კიდეც მისცა.

ზემოაღნიშნული ფაბრიკა ეკუთვნის „საქართველოს აბრეშუმის" ტრესტს და ამ ფაბრიკის გაფართოება-გეგმის შედგენაც მის ხარჯზე უნდა მოხდეს. ტრესტს არაფერი უთქვამს გეგმის შედგენისა და ამისათვის სათანადო ხარჯის გაღების შესახებ.

ახალშენებათა კომიტეტმა ყოველ ნებართვის გარეშე გეგმა გაამზადა. ინჟ. თათარიშვილი მოითხოვს თავის გასამრჯელოს. აბრეშუმის ტრესტი მას არ იხდის, ან რატომ უნდა გადაიხადოს, როდესაც მას არავისათვის დაუვალებია გეგმის შედგენა? 5000 მან. უნდა გავიდეს ს. მ. უ. ს. ახალშენებათა კომიტეტიდან. ნეტა რისთვის,, ვისი დავალებით? ამის პასუხს ს. მ. უ. ს. სარევიზიო საინსტრუქტორო განყოფილება გასცემს.

ტ. შარიძაძე.

ს. მ. უ. ს. ციცერონი

ციცერონს უყვარდა ორი საქმის ერთად კეთება. ასე უყვარს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის მდივანსაც. მაგიდაზე 2 ტელეფონის აპარატი დევს, ერთი ყურთმილი ცალ ყურზე აქვს გაკეთებული, მეორე— მეორე ყურზე. ამ დროს იგი ლაპარაკს არ სწყვეტს საქმისთვის მოსულ კაცთან.

— ალლო, მომეცით 10—4... ნომერი (ბრძანებს მდივანი ცენტრალურის საყურადღებოთ). ჰო, თქვენ ამხანაგო რა გინდათ, პრეზიდიუმის წევრის ნახვა გინდათ? ა! (ეს უკვე ტელეფონით) ალლო, უჰ, შენა ხარ? იცი რა გითხრა? ამა და ამ კაცმა შემოგითვალა, ჰო, (სტუმარს) — განაგრძეთ, ამხანაგო.

მოსული მთხოვნელი განაგრძობს ლაპარაკს. მას გონია, რომ მდივანი უსმენს, თურმე სადა ხარ. ტელეფონით ისმენს მეორე სხუბარს ვიღაც მეგობარისაგან. სტუმარს კი ასკილივით თავს უქნევს.

აი, გათავდა ტელეფონიზაციის სეანსი. ციცერონი კვლავ ეკითხება იმავე სტუმარს: —ჰო, რა სთქვით? კაცო, ვერ გავიგონე.

მოქმედება იწყება ხელახლა. ოთახი გაივსო საქმეზე მოსული ხალხით. გააქვს ტელეფონის ზარებს წკრიალი, სიმონი ღელდება და დაწყნარებისათვის მიჰქრის სადღაც დერეფანში; ხალხი იცდის.



ეს ჩვენი ციცერონის ერთი სახე. მაგრამ ციცერონი რა ციცერონი იქნება, თუ იგი ერთ დავალებას დასჯერდა. პრეზიდიუმის მდივნობა და თბილისში ჯდომა სჯობია სვანეთში ცხოვრებას, მაგრამ ხანდახან პროვინციაში გასეირნებაც აუგი არ არის. აი, მიდის კომისია რომელიმე აღმშენებლობისათვის სასარგებლო საქმის მოსაგვარებლად. ციცერონი აეკიდება კომისიას ძველი ხურჯინივით და ისიც მიდის.

ან კი რატომ არ ივლის, თუ პასუხის მომთხოვი არავინ ჰყავს?

ვინმე.

გადააგდეს ორაგული მტკვარში

„ზაკტპოს"-ს ინსტრუქტორის მოქ. წილოსანის მოვალეობა არ განისაზღვრებოდა მარტო ინსტრუქტორობით. წილოსანი მოევლინა თუ არა ბათომის უბანს, სამკვდრო- სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა ადგილობრივ მაღაზიის თანამშრომლებს იმ მიზნებით, რომ მათ ალაგას მოეთავსებინა თავისი ახლობლები. წილოსანის მოქმედებას თვალყურს ადევნებდენ ადგილობრივი ამხანაგები. საქმე იქამდე მივიდა, რომ წილოსანის „მოღვაწეობა" გახდა აქტივის მსჯელობის საგნათ, გამოირკვა, შემდეგი: 1) საახალწლოთ, როცა „ზაკტპო"-ს თვითეულ წევრს დაურიგებს მხოლოდ 4 კილო პურის ფქვილი,— მოქ. წილოსანი მის ძმა ბიჭს აძლევს ბარათს მაღაზიის გამგის სახელზე, რომ ბარათის წარმომდგენს „ძმა ბიჭს"— (ასეა ნათქვამი ზაპისკაში) მისცეს ერთი ტომარა ფქვილი; 2) „ზაკტპო"-ს ბათომის № 133 ფარდულში შემოდიან ინსტრუქტორი წილოსანი და გამბაროვი,— მათ ახლავთ ვიღაც გავაშელი და წილოსანის ნათლიმამა ფირცხალაიშვილი. შედიან ფარდულის ოთახში და ნოქარს ჩაჩავას უბრძანებენ მიართვას ორი ჩეთვერი კახური ღვინო, კამპანია აქვე დათვრა. ფულის გადახდის ნაცვლად წილოსანი ნოქარს წინადადებას აძლევს, რომ მან შეადგინოს აქტი, რომელშიც აჩვენოს დახარჯული ღვინო დაღვრილად და ქეიფის დროს დამტვრეული ჰურჭელი, შემთხვევით დამტვრეულით; აქტი იწერება, დასტურდება წილოსანის ხელის მოწერით. 3) ინსტრუქტორი გამბაროვი ფარდული № 133-ს თანამშრომელს უგზავნის წილოსანის დავალებით წილოსანისავე ნათლიმამას ფირცხალაიშვილს, რომ ნოქარმა აბრის ძაფებზე დადებული პლომბები, რომლებიც მოქ. წილოსანმა მეტი უშიშროების მიზნით შეაბა კონტრაბანდა ჩულქებზე და გაიტანა ბათომიდან.

ყოველივე ამის შემდეგ და სხვა მრავალი ფაქტების, რომლის აღწერა არც ისე ადვილია აქ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ წილოსანის უმზგავსო საქციელს მიექცეოდა ყურადღება, მას პასუხი მოეთხოვებოდა, მაგრამ სულ სხვა დავინახეთ: წილოსანი გადაყვანილი იქნა სამტრედიის უბანში იმავე თანამდებობაზე, მხოლოდ მაღაზიის გამგე ამხ. აზნაუროვი, რომელმაც სადუქნო კომისიასთან ერთად ნათელი მოფინა წილოსანის მოქმედებას— გადაიყვანეს ქობულეთში.

სადუქნო კომისია მოწამეა ასეთი უსამართლობის, ნამდვილ დამნაშავე— წილოსანის დაუსჯელობის, ხოლო ამხ.



აზნაუროვის დამცირებისა და შეურაცხყოფის.

წილოსანის ბათომიდან სამტრედიაზე მიმაგრება, ზაკტპოს წევრთა გამასხარავებაა და სხვა არაფერი, ეს ორაგულის მტკვარში გადაგდებაა.

ტ. ნოდარი.

წაგებული სანეზლეო

— მოდი დავნაძლევდეთ.

— რაზე?

— ვინც წააგოს ერთი ბოთლი ბორჯომის წყალი ჩამოდგას.

— კარგი.

— შენ ამბობ, რომ მაისურაძე არ ყოფილა, ეხლა რომ გადმოხტა ავტომობილიდან!

— არ ყოფილა!

— გამტყუნებულმა სანაძლეო ეხლავე უნდა გადაიხადოს... წავიდეთ.

მე და ჩემი ამხანაგი გავექანეთ იუსტიციის კომისარიატის კარებისაკენ, რომელიც რამდენიმე წუთის წინ შეაღო ავტომობილიდან გადმომხტარმა მოქალაქემ.

შევედით ჩქარი ნაბიჯით. უკანასკნელ კიბეზე დავეწიეთ ჩვენთვის საინტერესო მოქალაქეს.

— „დაიოშ, ბორჯომ". შემომიბრუნდა ამხანაგი ნიშნის მოგებით.

წავაგე. ჩვენს წინაშე მართლაც იდგა იუსტიციის სახალხო კომისარიატის საფინანსო ნაწილის ყოფ. გამგე მაისურაძე, — რომელმაც 16,000 მანეთი სახაზინო ფული „გაიმასქნა" და გამსახლის სასუფეველს დაემკვიდრა.

მაისურაძე გამომძიებელთან შევიდა. ჩვენ დავინტერესდით, სანამდე დაუცდიდა იუსტკომის ავტო გამფლანგველთა „უხუცესს".

ჩემს ამხანაგსაც დაავიწყდა ბორჯომის წყალი.

მაისურაძემ გამომძიებელთან დაჰყო ნახევარ საათზე მეტი. შემდეგ მოინახულა (ჰოლ-შვილი, მოახტა ისევ იუსტიციის კომისარიატის ავტომობილს და საპატიმრო ყარაულის (კიდევ კარგი, რომ არა საპატიო ყარაულის). თანხლებით გაინავარდა გამსახლისაკენ.

მე კი ბორჯომის წყალის ჩამოსასხმელად წამათრია ამხანაგმა.

— თუ გეწყინა, არ გადაგახდევინებ, გამეხუმრა ამხანაგი.

— როგორ ფიქრობ, არ არის საწყენი? კაცმა 16 ათასი მანეთი გაფლანგა, კუდის რიკამდე ტყავი გააძრო კომისარიატს და კიდევ იმავე კომისარიატის ავტომობილით ნიავს იქროლებს.

— ეხლა ეს ბორჯომს წყალის ფულიც მიაწერე მაისურაძეს და გაფლანგული გამოვა 16,000 მან. და ექვსი შაური...

— მიაწერე! მე შენ გეტყვი, და გადაგიხდის ეხლავე.

— თუ არ გადაგიხდის, კომისარიატის ფულით ნაყიდი სახლები აუწერე. ამბობენ სამი სახლი აქვს შეძენილი სხვადასხვა პირის სახელზე.

ექვსი შაური თავზე შემოევლოს იუსტიციის კომისარიატს. მხოლოდ გვაინტერესებს იმის გაგება, თუ ვინ არის მაისურაძის ასეთი პატივისმცემელი, ფეხით რომ არ აკადრეს მას გამომძიებელთან მოსვლას.

საოლ.

დამნაშავენი სასტიკად უნდა დაისაჯონ

სოფლის საექიმო პერსონალით უზრუნველყოფის საქმე ერთ-ერთი საჭირბოროტო საკითხთაგანია.

საბჭოთა კავშირში ითვლება 5.000 უმუშევარი ექიმი, მაშინ, როცა მაზრებში ბევრგან საექიმო პუნქტები დაცალიერებულია.

რატომ არ მიდიან ექიმები პროვინციაში?

ამის მიზეზი მრავალია, მაგრამ ზოგჯერ ამის მიზეზია ადგილობრივი ხელისუფლების ცუდი მოპყრობა ექიმებისადმი. იმის მაგიერ, რომ დახმარება გაუწიონ ექიმს მის მეტად საპასუხისმგებლო მუშაობაში, ზოგჯერ თვით ხელისუფლება ემხრობა ინტრიგანებს და ხშირად ექიმის მუშაობა ხდება შეუძლებელი.

მაგალითი: დუშეთის მაზრაში (ქ. დუშეთში) წელიწად - ნახევრის განმავლობაში კეთილსინდისიერად მუშაობდა ექიმი ქალი შახდინაროვი, ყოველ შემთხვევაში ამ ხნის განმავლობაში არავითარ საჩივარს არ ჰქონია მის წინააღმდეგ ადგილი და იგი არავის გაუფრთხილებია იმის შესახებ, რომ მას რაიმე დეფექტი აქვს, როგორც ექიმს. მაგრამ უცებ ორი თვის წინეთ დაიწყო ინტრიგები. აღმასკომმა იგი დაითხოვა, მიუხედავად დუშეთის სამაზრო პროფბიუროსა და მედსანშრომის სამაზრო განყოფილების კატეგორიული პროტესტისა. საქმეში ჩაერია მედსანშრომის პროფკავშირის საქ. ცენტრ. გამგეობა და ექიმთა სექცია, რის შედეგად ექ. შახდინაროვის ქალი აღადგინეს ამა წლის 1-ლ ივნისს თავის ადგილზე. იმავე ღამეს ექიმ შახდინაროვის ქალზე მოახდინეს თავდასხმა, ხულიგნებმა, ჩალეწეს ქვით ფანჯრის ჩარჩო და მინები. ადგილობრივ ხელისუფლებას აქამდის არ მიუღია საჭირო ზომები.

პროკურატურამ სასწრაფოდ უნდა მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს თორემ შესაძლებელია უარესიც მოხდეს. ექ. შახდინაროვის ქალზე თავდასხმაში დამნაშავენი სასტიკად უნდა დაისაჯონ.

ა. ჯიჯაძე.

ბოროტება-ბოროტებაზე

თბილისში არსებობს დაწესებულება „ელექტროსტროი". ამ დაწესებულების მმართველს ინჟ. სტრელკოვს კი თავისებურად წარმოუდგენია მისი მოვალეობა. მართალია ქალი და ელექტრონი სულ სხვადასხვა ცნებაა, მაგრამ ელექტროსტროის მმართველი ამ განსხვავებას ვერ ამჩნევს. მას ლამაზ სქესისადმი უფრო მეტი ლტოლვა აქვს, ვიდრე ელექტრონისადმი.

1927 წელს ელექტროსტროის მმართველთან შეაქვს განცხადება ვინმე ლებედევსკის ქალს, რათა ის იქნეს მიღებული მემანქანედ. განცხადებაზე წარწერილია მმართველის რეზოლიუცია: „зачислить в штат".

ამრიგად ლებედევსკის ქალი ზედმეტი „ვოლოკიტის" და შრომის ბირჟის გარეშე ხდება მემანქანედ.

სამსახურში შესვლის შემდეგ მისი ავტორიტეტი დღითი დღე იზრდება, ავტორიტეტთან იბმება პროტექციონიზმის ქსელიც. მოვიყვან ერთ მაგალითს: ქალ. ვარონეჟში მსახურობს მონაგარიშედ ვინმე კოზინი, ლებედევსკის ქალის ახლობელი და მეგობარი. ლებედევსკაია უგზავნის მას წერილებს და ატყობინებს, რომ შეიძლება კოზინის თბილისში გადმოსვლა სამსახურში. ლებედევსკაიას მოსდის კოზინის სამი განცხადება, რომლებზედაც დაწესებულების მიმართვაც კი არაა. ერთ მათგანზე თვითონ ლებედევსკის ქალი აწერს სათაურს: „ელექტროსტროის მმართველს". უსვამს 1927 წლის 13 აგვისტოს თარიღს. საქმე გაიჩარხა და კოზინიც მოეწყო სამსახურში.

მაგრამ ადგილკომის ყურს არ ასცდა ეს ამბავი. ის პროტესტს აცხადებს ადმინისტრაციის წინაშე და ოფიციალური მიმართვით მოითხოვს კოზინის მოხსნას სამსახურიდან, რომლის ნაცვლად შრომის ბირჟიდან უნდა იქნას მოთხოვნილი თანამშრომელი.

მაგრამ ადგილკომის და მისი კომფრაქციის სიტყვა ელექტროსტროის მმართველ სტრელკოვისათვის არაფერია ლებედევსკის ქალის ერთი თვალის გადავლებასთან.

ლებედევსკის ქალი სტრელკოვის რჩევით მიდის კავშირში, სადაც ითხოვს ნებართვას კოზინი დასტოვონ ერთი თვით. კავშირი ამ თხოვნაზე ეთანხმება. თვეც მალე გადის, ადგილკომი კვლავ მოითხოვს კოზინის მოხსნას, მაგრამ კოზინი დაწინაურებას თხოულობს და დღემდისაც მსახურობს. ასეთი საბუთები ჩვენ ხელთ არის კიდევ 9, მაგრამ სანიმუშოდ ეს ვიკმაროთ.

სტრელკოვი 1923 წლიდან ვომპარტიის წევრია. მიუხედავათ ამისა, ის ვერ ითმენს თავის დაწესებულებაში პარტიის წევრებს. მისი ელექტროსტროიში მოსვლის შემდეგ ამ დაწესებულებიდან მოხსნილია 51 კაცი, ამათში ერთი უპარტიო მოყვა, მაგრამ ეს შეცდომა მან მალე გამოასწორა, ის გაგზავნა ქალ. ფოთში, სადაც დანიშნა თანამდებობაზე პარტიულ ამხანაგის ადგილას, უკანასკნელს კი ქუჩისაკენ გაუძახა.

დისციპლინითაც არავის ჩამორჩება ჩვენი მმართველი. ვინ გაბედავს—რომ დაწესებულების შენობაში გამართოს პარტიული კრება. ასეთ თავხედობისათვის ის შავ დღეს დააყენებს თანამშრომლებს.

არც მომჭირნეობის საქმეში ჩამორჩება სტრელკოვი სხვას. აუარებელ საბუთებიდან მოვიყვანთ ერთ ნიმუშს: ელექტროშარებისათვის საჭირო არის სიმძიმის მისაცემად საფანტი, რომელსაც ყიდულობენ ფუთს 15 მან. საწყობის გამგემ აღმოაჩინა რკინის ნახერხი, რომელიც უფრო კარგი გამოდგა აღნიშნული დანიშნულებისათვის და შეიძინა ფუთი 50 კაპ. მან 60 პროც. ნაკლებად შეიძინა აგრეთვე ის საგნები, რომლებსაც სტრელკოვი ყიდულობდა. ელექტროსტროისათვის საწყობის გამგე, რა თქმა უნდა, მადლობის ღირსი იყო, მაგრამ საწყობის გამგემ ყოფილმა ჩეკისტმა მიიღო ოფიციალურ ბრძანებით საყვედური, ასეთ „დაუდევრობისათვის".

არც თავისი თავი ავიწყდებოდა სტრელკოვს. ის ჯამაგირს იღებდა 210 მან. ქალაქში სამგზავროს 50 მან., მივლინებისათვის მოსკოვში თუ სხვაგან 600—700 მანეთობით, მაგრამ ამითაც არ კმაყოფილდებოდა, ბინის ქირაც უნდა გაენაღდოს და აი ერთ დღეს ის მოსკოვშია. სწერ ოფიციალურ ბარათს თავის ბლოკნოტზე გამგეობისადმი და თხოულობს, ვინაიდან თბილისში ბინის კრიზისია, გთხოვთ გამომიწეროთ 1.000 მან. სესხად ერთი წლის ვადით. სტრელკოვის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

ოთახის შოვნა არც ისე ადვილია, აქაც კომბინაცია არის საჭირო, ესეც მალე მოჭახრაკდა. ვინმე მოქ. კალიბანსკი შეჰპირდა სტრელკოვს ბინას იმ პირობით, რომ სტრელკოვი მას სამსახურში მიიღებდა.

ასეც მოხდა: სტრელკოვს კარგი ბინა, მოქ. კალიბანსკის 1.000 მან. და კარგი ადგილი ელექტროსელსტროიში. მაგრამ ათას მანეთს ჩამოწერა უნდა თუ არა? ამასაც ახერხებს სტრელკოვი. ის მოხერხებული კაცია. ის შუამდგომლობს, რომ მიეცეს მას ბინის ქირა ყოველთვიურად 105 მან.; მას ეძლევა ყოველთვიურად 105 მანეთი ბინის ქირა. რა ხდება იანვარში? იხილეთ ორდერები №№ 495,600. სტრელკოვი იწერს ორჯერ 105 მან., ე. ი. 210 მან. და იდებს ჯიბეში.

არ ვიცი რა უწოდო კომუნისტის ასეთ მოქმედებას? თუ რა დღეშია თვით დაწესებულება ელექტროსტროი, ამის შესახებ მე არაფერს ვიტყვი. დაე, ეს გამოარკვიოს სათანადო ორგანოებმა.

გოგიტო ციმბირელი.

ლილი „საქმროს" ეძებს

ანუ

„კულტმუშაობა" მაწანწალის კლუბში

მეტად შეუმჩნევლად გადის დრო. კაცი უკან მოხედვას ვერ მოასწრებ და მთელი ათეული წელიწადი ხელიდან გისხლტება. ასე გგონია გუშინ იყო ის ამბავი, როცა ზემელის აფთიაქთან გაშტრინგული, ლოთობისაგან თვალებ დასისხლიანებული, ულვაშებ გაბურძგნული გოროდოვოი იდგა. ჯერ ყურებიდან არც კი გამოსულა პოლიციის გადაწირეხებული დედის გინება. როდის იყო ეს? ათ წელზე მეტი გავიდა უკვე მას შემდეგ, რაც „ნიკოლოზაი გაიფუშა". ალბათ ბევრს ახსოვს, ჩვენში რომ, მღეროდნენ: „ძირს ნიკოლოზ, მაღლა მუშა, ნიკოლოზაი გაიფუშა"-ო. გაიფუშა ნიკოლოზაი, მაგრამ მუშა მაღლა მაინც არ აღმოჩნდა. „გაიფუშა" კერენსკი-წერეთლის ბლოკიც და მხოლოდ ამის შემდეგ ახდა ის, რასაც ხალხი ისურვებდა.

დღეს ჩვენ უკვე კინაღამ თერთმეტი წელიწადი შეგვისრულდება, რაც ახალი, ჯერ არ გაგონილი სოციალისტური სახელმწიფო გვაქვს. ამ ხნის განმავლობაში არა თუ დავაჭკაცდა, არამედ დაიბადა და აღიზარდა სრულიად ახალი თაობა, რომელსაც მეფის დროინდელი ამბავი ზღაპრად ეჩვენება. ამას წინად, თბილისის ქუჩებში ერთ-ერთ კინო-სურათს იღებდენ, სადაც იყო სცენები პოლიციელების მონაწილეობით. ხალხი და განსაკუთრებით ახალგაზრდობა თვალებ დაცეცებული დასდევდნენ უკან პრისტავს და გოროდოვოებს, ისე მისჩერებოდნენ მათ, როგორც იხტიოზავრებს.

დაინგრა და დაილეწა ძველი რეჟიმი. მხოლოდ მწარე მოგონებაღა დარჩა მასზე. მაგრამ მაინც ცოცხლობს, სიკვდილს ებრძვის ნიკოლოზის დროინდელი ზოგიერთი ზნეჩვეულება.

რა შუაშია აქ ლილი და მით უფრო მისი საქმრო? იტყვით თქვენ. ცოლქმრობის საკითხი არ გახლავთ მარტო ოჯახური ინტიმური საქმე. ცოლქმრობა პოლიტიკის ნატეხია და კაი გვარიანი დიდი ნატეხიც. ჩვენ არაფერს ვლაპარაკობთ მეუღლეთა სოციალურ მდგომარეობაზე და მათ პოლიტიკურ, ასე ვთქვათ, კრედოზე. ჩვენ გვინდა ავიღოთ მხოლოდ თვით მეუღლების ორგანიზაციული მხარე. არის, როგორც მოგეხსენებათ ამისათვის მრავალგვარი საშუალებები. თუ მაგალითად საქმრო ან საცოლო გაბედული და დამოუკიდებელი ხალხია, საქმე თავისთავად მოკვარახჭინდება, თუ ახალგაზრდებს მორცხვობის სენი სჭირს, ის, რასაც უბრალო ენით კუნცხულიობას ეძახიან, შუამავალი გაჩარხავს საქმეს და სხვა. ასე არის ეხლა, მაგრამ მხოლოდ ასე არ ყოფილა საქმე ნეტარხსენებულ ნიკოლოზის დროს. შეუღლების საორგანიზაციო მხარე დაკისრებული ჰქონდა პრესასაც. იყო საქმროებისა და საცოლოების სარეკომენდაციო ბიურო, რომელიც საქორწინო გაზეთსაც სცემდა.

მოუნდა, ვთქვათ, ახალგაზრდას ცოლი, ჩააგდო წერილი საფოსტო ყუთში. გადაღმა კვირაში დედოფალი უკვე კარს მოადგება მთელი თავისი მოწყობილობით. გინდ ჯიბის საათის გამოწერა და გინდ საპატარძლოსი ასე გამარტივებული და გაშალაშინებული იყო საქმე. სულ სხვაა ეხლა. მზითვი ისპობა, შუამავლებსაც წირვა გამოუდის, კომკავშირმა და მმაჩებმა შეუტიეს ძველ ქორწილს. მაგრამ არ უნდა უკან დახევა ძველ ტრადიციებს, ნატვრას და ოხვრას საქორწინო გაზეთზე, სასიძო - საპატარძლოს სარეკომენდაციო ბიუროებზე. ისეთ ადგილას წამოჰყოფს ეს ჩვეულებები თავს, სადაც სრულიად არ მოელი. აბა, რა უნდა საქორწინო გაზეთის ტრადიციებს თელავში და ისიც მის გარეუბან მაწანწრის რაიონის კლუბში? ეს ხომ დიდი, ბურჟუაზიულ ქალაქების და სალონების პირმშო შვილია. სად მაწანწლის კლუბი და სად საქორწინო გაზეთი! მაგრამ რას იზამთ, როცა კაცს მიჰრილი გაქვს ჭიპი ძველ ცხოვრებაზე.

მაწანწრის კლუბის გამგე და ამავე კლუბის დრამწრის ხელმძღვანელს ჯერ არ გაუღვიძნიათ. სძინავთ ტკბილად, უდარდელად და თავი ნეტარხსენებულ ნიკოლოზის სამეფოში წარმოუდგენიათ. იძინონ რამდენსაც შესძლებენ, თავი სიზმრებით შეიქციონ,

მაგრამ ვინ არის ის, ვინც ამ მძინარე ხალხს საქმის სათავეში აყენებს...

აქ ჩვენ მრავალწერტილს დავსვამთ და ისევ ლილის გათხოვების ამბავს დაუბრუნდებით.

„ყველას, ყველას"!.

ვარ 18 წლისა. შარშან დავამთავრე 9. წლედი. სიმაღლეზედ და სილამაზეზედ ლაპარაკი ზედმეტია. ბევრი მთხოვნელებია, მაგრამ მე მსურს ჩემი ბედი ვაკუთვნო მას. ვინც თავის მოკლე ბიოგრაფიით ჩემს გულს მოინადირებს. ეროვნებას მე არ ვარჩევ და არც ცოლქმრის კავშირის გაწყვეტას დავერიდები. მომიწერეთ წერილი ამ მისამართით: თელავი, მაწანწარის კლუბი. ლილის.

ვადა დღეიდან ერთი თვე. პასუხისათვის ნუ დაიშურებთ 8 კაპ. მარკას სრული იმედით, რომ წერილს ყველა გამომგზავნი მიიღებს პასუხს. ხოლო ვიტოვებ უფლებას რჩეულს ვეწვიო ნებადაურთველად. ვსთხოვ სომხურ, თათრულ და რუსულ გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდონ. ქართული ენის არამცოდნეთ შეუძლიათ რუსულადაც მოიწერონ.

ლილი".

„ვინ უნდა ქალი ეთერი", სწავლული, ტანლერწმიანი? 18 წლის გოგონა, რომლის სილამაზეზე ლაპარაკიც საჭირო არ არის, რომელიც იმდენად ინტერნაციონალისტია, რომ არ არჩევს ეროვნებას, რომელიც იმდენად გულადია, რომ არ უფრთხის ცოლქმრულ კავშირის გაწყვეტას. ვინ გაუძლოს ლილის მომჯადოებელ წინადადებას! ბარათები რვა კაპეიკიან მარკებით გაფრინდება მაწანწრის კლუბის მისამართით..

მაგრამ აქ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ჩვენ იძულებული ვართ ლილით გატაცებულ სასიძოების იმედებს ცივი წყალი გადავასხათ. ეს საჭიროა იმისათვის,რომ ამგვარი ბედი საბოლოო ანგარიშით მათ მაინც არ ასცდებათ და მასთან უკვე 8 კაპეიკს თვითეული მათგანი მაინც გადაარჩენს.

მართალია, მაწანწრის კლუბის გამგეს და დრამწრის ხელმძღვანელს ეს არ დაუჯდებათ, მაგრამ ჩვენ მაინც მოვიხდით ვალს მკითხველის წინაშე. თქვენ ალბათ ხვდებით, რაშიც არის საქმე. მზეთუნახავი ლილი — ბუნებაში არ არსებობს.

თუ საკითხი ამის შემდეგაც გაურკვეველია, სჯობს თვით მაწანწრის კლუბის მესვეურები მოვიშველიოთ.

„ჩვენი უმთავრესი მიზანი, სწერენ ისინი რედაქციას, ამ წერილის დაბეჭდვისა (ლაპარაკია ლილის განცხადებაზე) გამოიხატება შემდეგში: მაწანწარის კლუბი ძალიან ღარიბია, შესაძლებელია ამ წერილმა ბევრი ქალების მოტრფიალე ვაჟების გული ააზვირთოს (!) და წერილი მოაწერინოს, რასაკვირველია, თანდართული 8 კაპ. მარკა შეჰქმნის ერთგვარ კლუბის საქმეების მოწესრიგების დამხმარე ფონდს და მეორეც შეძლება მოგვეცემა გამოვარკვიოთ ამ კულტურულ და აღმშენებლობით ხანაში, რამდენად ძლიერია ახალგაზრდობის მისწრაფება ქალებისაკენ. დაგმობენ ასეთ ქალის ალვირ-აშვებულობას, თუ ჩაებმებიან სქესობრივ ფერხულში"..

გამგეობის წევრი და დრამწრის მაწანწრის კლუბის გამგე: იოსებ ებიტაშვილი.

ხელმძღვანელი: გრ. კელ (ხელმოწერის დანარჩენი ნაწილი გაურკვეველია)

როგორ მოგწონთ მაწანწრის რაიონის კულტურულ მუშაკების გამოგონება! დიდი ჭკუის კოლოფები კი სხედან, ეტყობა, ამ კლუბში. იურისტები ამბობენ, ბოროტების ჩადენის განზრახვა, თვით ბოროტების ჩადენის უდრისო. მართალია მაწანწრის კლუბის ფანტაზიორების განზრახვას ხორცი არ შეესხა, მაგრამ ეს ხომ იგივე დანაშაულია. არ ვიცით შანტაჟი სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით ისჯება, ჩვენ გვგონია, რომ იუსტიციის ორგანოები ამ შემთხვევაში ისეთ სისასტიკეს და ფორმალობას არ გამოიჩენენ, რომ მაწანწრის კლუბის ფანტაზიორებს რაიმე სასჯელით ოცნების ფრთები შეუკვეცონ. ჩვენ ამ ფაქტიდან სხვა დასკვნა გამოგვყავს, რა უნდა ასეთ ხალხს საზოგადო დაწესებულების სათავეში? ისინი განათლებენ მაწანწრის ღარიბ-ღატაკ მასებს? მეტი არ არის თქვენი მტერი.

კვესი.

რეპეტიცია მოხსენების წინ

(ყაზბეგის თ., დუშ. მ.)

ყაზბეგის მშვენიერებაზე მოგახსენებთ. აქაური ბუნების სილამაზით აღტაცებული კაცი, თუ მას აქვს უნარი საკუთარ თვალში ბეწვის შენიშვნის სასომიხდილი იტყვის, ჩემს კალამს არ ძალუძს ყაზბეგის მშვენიერების აღწერაო და ამით გამოსთქვამს იმას, რასაც სხვა უხეირო პოეტი ან მწერალი ცარიელ ფრაზების რახა-რუხით მოყვებოდა და ამით შექების ნაცვლად გაამასხარავებდა მყინვარის მშვენიერებას.

დუშეთიდან ყაზბეგში მეტად საპასუხისმგებლო პოსტზე გამოგზავნილ ახალაძეს არ განუცხადებია პრეტენზიები ბუნების თვალთწარმტაცობის შესახებ. გალობაზე. ის აღავსო პოეტური გრძნობით, ყაზბეგის გრილმა სიომ; გიჟი თერგის განუწყვეტელ ხუვილმა, მზის სხივებზე მოელვარე ყაზბეგის თეთრმა მწვერვალმა, ის სრულია გარდაქმნა და გადაახალისა.

მართალია ჩვენში საითაც არ უნდა მოიქნიოთ ჯოხი პოეტს ვერ ააცილებთ,, მაგრამ ახალაძე სწორეთ იმ ბედნიერთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელთაც შემთხვევა არ ქონიათ თავის სიცოცხლეში რაიმე ლექსი დაეწეროს. სამაგიეროთ სხვა მიმართულებით, იცოცხლეთ, ახალაძეს ხელი გახსნილი ჰქონდა. უყვარს ახალაძეს ახალგაზრდა ქალები. სხვასაც ბევრს უყვარს, რასაკვირველია, მაგრამ დრო და ადგილი იციან, თავს იჭერენ, საზოგადოებრივ მორალს ანგარიშს უწევენ. ახალაძე კი გულახდილი კაცია, მას პირფერობა არ სჩვევია. ის არ იზიარებს ძველ „დედაენის" აზრს:

შავს ლუდსა, წითელ ღვინოსა, განა სულ ყველას სმა უნდა?
პირში მოსულსა სიტყვასა, განა სულ ყველას თქმა უნდა?".

ახალაძე პირში სიტყვას არ აკავებს და გრძნობებს გულში არ იკლავს, მოქმედობს პირდაპირ და გადაჭრილად. ამიტომ მან მთელი თავისი ენტუზიაზმი გადაიტანა მახლობელ სოფლის სიონის მცხოვრებ გოგონა ე. ო—ლზე.

აქამდე ჩვენ ასე გვქონდა წარმოდგენილი, საზოგადო კრებები და საერთოდ კრებები ინიშნება ამა თუ იმ ადგილას, საქმისა და საჭიროების მიხედვით. ახალაძეს ეს წესი არ მოსწონს. მისი აზრით საერთო კრებები იქ უნდა ინიშნებოდეს, სადაც გულის სწორის შეხვედრა შეიძლება. ყაზბეგის რაიონი მთიანი და თავისებურ ზნე-ჩვეულების კუთხეა, აქ ახალგაზრდა ქალს, ათი წელიწადი რომ უყურყუტო, ვერ დაიმარტოხელებ. ან თვითონ არ მოგეკარება, მეზობლების შიშით, ან შენ ვერ მიეკარები მას ამავე მეზობლების მიზეზით. საზოგადო კრება ასეთ შემთხვევაში მისწრებაა. მივარდნილ კუთხეში სოფლის საზოგადო კრება მთელი მოვლენაა. დიდი და პატარა, ქალი და კაცი ყველა გამოდის სათემო ადგილას. თუ კაცი ვარგხარ ამ საერთო ფუსფუსში დროს იხელთებ და თვალს მაინც გადაავლებ შენს დულცინეას.

ახალაძეს კი ბედი პირდაპირ კალთაში ჩაუგორდა. მან არა თუ თვალი, გადაავლო ე. ო—ლს, არამედ ცალკე ოთახში, კრებიდან მოშორებითაც დაიმარტოხელა ის.

ეს ასე მოხდა. 8 ივნისისათვის ახალაძემ დანიშნა საერთო კრება სოფელ სიონში. წინდაწინ აფრინა პარტიის წევრები და კომკავშირლები ხალხის შესაკრებად. კრება არაჩვეულებრივად მრავალრიცხოვანი გამოდგა. დღის წესრიგში იდგა თვით ახალაძის მოხსენება შემდეგ თემაზე: „ბრძოლა ახალი ყოფა - ცხოვრების განმტკიცებისათვის" და სხვა ადგილობრივი საკითხები.

ხალხი კარგა ხანია უკვე შეკრებილია. ელოდებიან მომხსენებელს. ის ზოდა. ახალაძე ამ დროს მოხსენებისათვის ემზადებოდა გაცხარებით. ასე ვთქვათ, რეპეტიციას აკეთებდა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყვეს ჩვენი თაობის დამოკიდებულება ქალისადმი, რომელიც მთაში განსაკუთრებით დაბეჩავებულია.

რეპეტიციის საგნათ რატომღაც აირჩია მან იგივე ე. ო—ლის ქალი, ადგილობრივ კულაკის შვილი, რომელიც, როგორც სოციალურად უცხო ელემენტი, გამორიცხული იყო ყაზბეგის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლიდან. იმ დროს, როცა მომხსენებელს მთელი სოფელი მოუთმენლად მოელოდა, ახალაძესა და ე. ო—ლის ქალს შორის, რომელნიც კარგა მოშორებით იყვნენ კრებიდან, ცალკე ოთახში, შემდეგი დიალოგი სწარმოებდა:

— რისთვის გამოგრიცხეს სკოლიდან? ეკითხება ალერსით და სიბრალულის კილოთი ახალაძე ქალს. ქალი მორცხვათ სდუმს, არ იცის რა უპასუხოს. ახალაძე განაგრძობს.

— ხომ არ გინდა, რომ სკოლაში დაგაბრუნო? ოღონდ შენ ისურვე და ეს თვალის დახამხამებაში ასრულდება.

ქალი მაინც სდუმს. არ არის ნაჩვევი ასეთ ტკბილ საუბარს უცხო ახალგაზრდა კაცთან. სახე სირცხვილით უელვარდება, იმშუშნება, ადგილს ვერ სად პოულობს, რომ ამ დაუპატიჟებელ კეთილმყოფელს თავი დააღწიოს.

ახალაძე თანდათან შედის როლში. დუმილი თანხმობის ნიშანიაო, გაიფიქრა მან და სიტყვიდან საქმეზე გადავიდა. გადახვია ხელი ქალს... ოთახში გაისმა ცივი ხმით კივილი...

გლეხები ელოდებიან მომხსენებელს. გლეხები ფეხზე ჩამოწყდენ. ბოლოს, როცა იმედი გადაუწყდათ, აფრინეს კაცი ახალაძის მოსაძებნად, რომელიც სწორედ იმ დროს მიადგა მომხსენებელს კარს, როცა ის მოხევე ქალისაგან ყბებ შეზელილი კუთხეში მორცხვად იდგა და ყურს უგდებდა ბრაზისაგან გალომებულ ე. ო—ლის „ხოტბა - დიდებას" თავის მისამართით...

კრებამ წამსვე გაიგო მომხსენებლის დაყოვნების მიზეზი. ყველა თვალის დახამხამებაში „შემთხვევის ადგილას" გამოცხადდა. ახალაძეს საქციელი წაუხდა. თაგვი ხაფანგში გაება... გლეხები გაიძახოდნენ, ასეთი რამ ხევში, რაც ჩაფრები წავიდნენ, არ მომხდარაო...

რაც მოხდა შემდეგ; საინტერესო აღარაა. ახალაძეს არ უყვარს რვა ივნისის შემთხვევის მოგონება. არც ჩვენ მოვიგონებდით მას, რომ ამით საქმეს ზიანი არ ადგებოდეს. არ ვიცით, მომავალში როგორ შეხვდება სიონის გლეხობა მომხსენებელს. ყოველ შემთხვევაში, თუ ახალაძეს ასეთი ვარჯიშობის ხალისი საბოლოოდ არ დაეკარგა, ჩვენ შორს ვერ წავალთ მასიურ მუშაობის განვითარების მხრივ. ახალაძისთანა მომხსენებლები შორის უნდა გვყავდეს ყოველგვარ საზოგადო მუშაობისაგან.

გერგეტალი.

ბინით მოვაჭრე მოსამსახურე

თბილისში ბინების სიძვირემ ბევრს აღუძრა სურვილი ბინით ვაჭრობისა, და მათ შორის ზოგი საბჭოთა მოსამსახურენიც გაიტაცა ამ სარფიანმა პროფესიამ. ამას წინად ჩვენ ვწერდით მდგმურის მიერ საბჭოთა სახლში თვით ბინინსპექტორის დახმარებით ბინის გაყიდვის ერთ შემთხვევაზე. ეხლა კი მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ბინის ვაჭრობის ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ბინის მყიდველი შეიძლება მეორე დღესვე იქნეს გამოსახლებული ბინიდან და ვერც გადახდილი ფული დაიბრუნოს. ამ გარემოებას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს პროფორგანოების მხრით და პროფკავშირის ისეთ „ღირსეულ" წევრებს, რომლებიც მსგავსი არაკეთილსინდისიერი საქციელით არიან ცნობილი თავისი ადგილი უნდა უჩვენონ. შევეხოთ თვით ფაქტს.

გასულ წლის დეკემბრის რიცხვებში სოფლიდან ჩამოსულმა სტუდენტებმა: ზაქარეიშვილმა, ძნელაძემ და სხვებმა მაკლერ ვინმე ციციშვილის დახმარებით დაიქირავეს წითელი ჯვრის თანამშრომელ მოქ. ქუთათელაძისაგან ოთახი, რომლის ერთი წლის ქირაც 360 მანეთის რაოდენობით წინდაწინ ჩააბარეს ქუთათელაძეს. რამოდენიმე ხნის შემდეგ ბინის დამქირავებელთათვის ნათელი გახდა, რომ მათი ბინა წითელი ჯვრის საზოგადოების ყოფილა და, რომ რაიმე მიზეზის გამო ქუთათელაძე სამსახურიდან დაითხოვონ ან სხვაგან გადაიყვანონ, მათ მოელით ბინიდან გამოსახლება. დააფიქრა ამ გარემოებამ სტუდენტები, რომელთა მთელი წლის სარჩოდ სოფლიდან ჩამოტანილი 360 მანეთი ასე უსინდისოდ ჩაიჩხრიალა ჯიბეში მოქ. ქუთათელაძემ. ექვსი თვეა ამ საქმეზე აღძრული საჩივარი პროკურატურისა და მილიციას შორის დაუსრულებლად დასეირნობს; ის ეხლა უკვე კარგა მოზრდილ ტომს წარმოადგენს, მხოლოდ შინაარსი მისი კი ისე მოკლე და მარტივია, როგორც ეს ზემოთ არის განმარტებული. საქმეს ამ დღეებში გაარჩევს ინსპექციის საჩივართა ბიურო და სხვისი ბინებით მოვაჭრე საბჭოთა მოსამსახურე ალბათ ჯეროვან სასჯელს მიიღებს.

ზანი.

„კომუნისტი"—მევახშე

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიამ პასუხისგებაში მისცა ივანე ვასილის ძე ფისუნი, პარტიის წევრი 1925 წლიდან. ინჟინერ-ელექტრიკოსი, ზაჰესის უფროსი ელექტრო-ტეხნიკოსი; ფისუნი იყო მუშათა წრიდან გამოსული, მაგრამ მან სრულებით არ გაამართლა მუშათა თვალში მასზე დამყარებული იმედი.

რით ისახელა თავი ჩვენმა „სპეცმა"?

მუშაობის დროს ფისუნი უხეშად ექცეოდა მონტიორებს. ის ხშირად ხმარობდა ასეთ სიტყვებს როგორც მაგალითად, „ვორი", „არმიაშკა" და სხ. მის ირგვლივ ყოველთვის იქმნებოდა ინტრიგების ატმოსფერა მისი თავდაუჭერლობის გამო. მაგრამ მხოლოდ ამით არ იქცევს ყურადღებას ფისუნი.

ზაჰესის ქვე-სადგურის მონტიორები და მექანიკოსები ზედმეტ საათებში ასრულებდნენ სხვადასხვა სამუშაოს ტრამვაისათვის. მონტიორების მიერ შესრულებული ერთი სამუშაოსათვის ფისუნმა მათ მოსთხოვა პროცენტები, გარდა ამისა, რომ მან ტრამვაის ადმინისტრაციისაგან ამ საქმის ტეხნიკური მეთვალყურეობისათვის მიიღო 100 მანეთი. ვინაიდან მუშებმა კარგად იცოდნენ მისი ხასიათი, შეეშინდათ და მართლაც მისცეს მათ მიერ მიღებული საერთო თანხის 5 პროც. სად მიჰქონდა ფისუნს ამგვარი გზით მიღებული და სხვა სამუშაოთაგან დაგროვილი ფული? გამოძიებამ გამოარკვია, რომ ფისუნს ჰქონდა შედარებით დიდი თანხა და ამის საშუალებით ეწეოდა მევახშეობას. ჯერ-ჯერობით დამტკიცებულია, რომ მან თბილისელ ვაჭრებს ასესხა 2.000 მან. მეტი.

ასეთია ჩვენი „სპეცი" ფისუნი.

ცენტრ. საკონტროლო კომისიამ სათანადოთ დასაჯა ფისუნი პარტიის ხაზით—ის გამორიცხულ იქნა კომპარტიის რიგებიდან.

ბ.

ველით პასუხს

მ. და გ. ინსპექციის ფურცელში მოთავსებულ წერილებზე, მიუხედავათ სპეციალური მიმართვების დაგზავნისა, ჯერაც არ მიგვიღია პასუხი შემდეგ დაწესებულებების და პირებისაგან:

რკ. გზ. სამმართველოს საფ. განყოფილება—„ვისთვის ან რაც ადგენენ ხარჯთ აღრიცხვას".

შორაპნის მაზრის პროკურორისაგან—„წატლაკვამ რა ქნა".

კურორტთა სამმართველო—„ქურია-საბერველი, შარაბანი და წყალტუბოს კურორტის დირექტორი".

შრ. სახ. კომისარიატი—„დამები შრ. კომისარიატის ავტომობილში",

ტრამვაის ადგილკომი—„რამ გამოიწვია?".

რკ. გზ. სამმართველო—„რთული ამოცანა".

ცეკავშირი—„ვაჭარიზაცია იყალთოს კოოპერატივში",

ტყ. მრეწველობის ტრესტი—„რაციონალიზაცია და ტყის მრეწველობა".

მუშკოოპი—„კოოპერაცია კერძო ვაჭრის სამსახურში".

სახჩერე—„მუშა-ასოთ-ამწყობს"

მივიღეთ თქვენი წერილი. რედაქ- ცია ახლო მომავალში ადგილობრივ გამოარკვევს საქმის ვითარებას.

რკინის გზის ტექნიკუმის ორმოცდაათი წლის თავი

ტფილისის ინდუსტრიალური ტექნიკუმის 50 წლის არსებობის გამო

თბილისის ინდუსტრიალური ტექნიკუმი დღეს საგანგებოდ აღნიშნავს თავისი არსებობის ორმოცდა-ათი წლის თავს.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ამ სასწავლებელმა მნიშვნელოვანი ცვლილებანი განიცადა, სანამ ის ჩამოაყალიბებდა და მიიღებდა იმ სახეს, რომელიც მას დღეს აქვს. ამნაირად ეს სასწავლებელი ამ ხნის განმავლობაში შეუჩერებლად იზრდებოდა და თანაც იძლეოდა ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლო მუშაკებს ეკონომიური ცხოვრების სხვადასხვა დარგში.

უნდა აღვნიშნოთ აქვე ისიც, რომ ამ სასწავლებლის წიაღიდან გამოვიდნენ მრავალი სახის პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწენი. ამათში პირველი ადგილი უჭირავს საკავშირო ცაკის მდივანს ამხ. აბელ ენუქიძეს, რომელმაც დაამთავრა ეს სასწავლებელი 1897 წელს.

მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ თბილისის ინდუსტრიალური ტექნიკუმის როგორც საშუალო კვალიფიციური სასწავლებლის სრული ჩამოყალიბება მოხდა 1922 წლიდან, ესე იგი საბჭოთა ხელისუფლების ხანაში.

– მეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ჩვენს პირობებში ისეთ სასწავლებელს, როგორიც არის თბილისის ინდუსტრიალური ტექნიკუმი.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ საზრუნავს ის შეადგენს, რომ ხალხის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება გარდაქმნას და განავითაროს სრულიად ახალ სოციალურ საფუძველზე. მაგრამ ასეთი გარდაქმნა თხოულობს დიდ და ხანგრძლივ შრომას. აქ საჭიროა შეუწყვეტელი და თავგამოდებული მუშაობა, როგორც ქალაქში, ისე სოფელში. საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში შეიჭრას თანამედროვე კულტურისა და უმაღლესი ტეხნიკის ძლევამოსილი მიღწევანი და გაუმჯობესებანი. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე თავის ერთ უდიდეს ამოცანად დაისახა ქვეყნის ტეხნიკურად დაწინაურება და კულტურულ - ეკონომიური აღორძინება. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და ელექტროფიკაცია —აი, ის საფუძველი, რომელზედაც უნდა დაეყრდნოს სოციალისტური მეურნეობის განვითარება.

რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყანა როგორც მეტად ჩამორჩენილი, ყველაზე მეტად საჭიროებს ტეხნიკურ და კულტურულ გაუმჯობესებას - წარმატებას. ამისთვის სხვა პირობებთან ერთად საჭიროა აგრეთვე შესაფერი ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილი ტეხნიკური ძალები. აი სწორედ ასეთ ძალებს გვიმზადებს ჩვენი თბილისის ინდუსტრიალ. ტეხნიკუმი. აქ უკვე ასობით იზრდებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მუშისა და გლეხის შვილები, რომლებიც სწავლის დამთავრების შემდეგ იფანტებიან ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში აღმშენებლობითი მუშაობის საწარმოებლად რკინისგზებზე, ფაბრიკა-ქარხნებში, ელექტრო-სადგურებში, წყალსადენებისა და კანალიზაციის გაყვანაში და სხვაგან. ერთი სიტყვით, ისინი იძლევიან ჩვენი მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობისათვის საშუალო სახის კომანდირებს, რაც ასე საჭიროა ჩვენი აღმშენებლობისათვის.

ჩვენი უდიდესი ძალღონე და ნივთიერი საშუალებანი მიმართულია ქვეყნის აღმშენებლობისა და ეკონომიურ - კულტურული წარმატებისაკენ.

საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაბმული ინჟენრები და ტეხნიკოსები— ეს იგივე წითელი არმიაა ეკონომიურ ფრონტზე. ამ არმიის მომზადებაში თბ. ინდუსტ. ტეხნიკუმს საკმარისი სამსახური მიუძღვის და მომავალშიდაც კიდევ უფრო მეტ სამსახურს გაუწევს სოციალისტურ აღმშენებლობას. ამიტომ ის ღირსია ყოველგვარი ხელის შეწყობისა როგორც ხელისუფლების, ისე ფართო საზოგადოების მხრივ, რომ უფრო წარმატებით შეასრულოს თავისი დანიშნულება მშრომელ მასსების საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს თბ. ინდუსტრიალურ ტეხნიკუმს! მხურვალე სალამი ყველა მის მოსწავლეებს, მასწავლებლებს და ხელმძღვანელებს!

გისურვებთ სრულ წარმატებას და გამარჯვებას!

ს. ს. ცაკ-ის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

რკინისგზის ტექნიკუმი

დღეს არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი სრულ შესაძლებლობას იძლევა მრეწველობის განვითარებისა და მტკიცე ეკონომიური ცხოვრების შესაქმნელად. მაგრამ ამასთანავე ყველასათვის ნათელია, რომ მრეწველობა ჩვენში დაბალ საფეხურზე სდგას, ხოლო რევოლიუციამდე ის თითქმის სრულიად არ არსებობდა: ძველი რუსეთის მთავრობა არ აქცევდა სათანადო ყურადღებას განაპირა ქვეყნებში, და განსაკუთრებით საქართველოში, საქარხნო მრეწველობის შექმნა-განვითარებას, ხალხის სათანადო გაწვრთნას და სერიოზულ და ბეჯით სამუშაოსთვის შესაფერის მომზადებას; პირიქით, ასეთ საქმიანობას ის ყოველმხრივ ხელს უშლიდა და აფერხებდა.

ამასთან დაკავშირებით, რასაკვირველია, ძალიან მცირე ყურადღება ექცეოდა სპეციალურ სწავლა-განათლებას. ამით აიხსნება, რომ ჩვენ არ გვყავს საკმაო კონტიგენტი ინჟენრების, ტეხნიკოსების, აგრონომების, ოსტატების და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისა, რომლებზედაც ესეოდენ დიდი მოთხოვნილებაა მიმდინარე დიად აღმშენებლობის ხანაში.

საქართველოში და, რამდენადაც ვიცით, ამ.-კავკასიაში სპეციალური სწავლა-განათლების პირველი კერა ჩაისახა თბილისში 50 წლის წინ, 1878 წელს, რკინის გზის დაბალი ტეხნიკური სასწავლებლის სახით. მე-60 წლებში, როდესაც ახალი რკინის გზების გაყვანა-განვითარება გაძლიერდა, აშკარა შეიქნა ისეთ მცოდნე და მომზადებულ პირთა ნაკლებობა, როგორიცაა მემანქანეები, გზის ოსტატები და სხ. ამგვარი სპეციალისტები.

ამ გარემოებამ საჭირო გახადა სპეციალური სასწავლებლების დაარსება რკინის გზის დაბალი ტეხნიკოსების მოსამზადებლად. მათ შესანახად გადაწყდა საექსპლოატაციო გზის თვითეულ კილომეტრიდან ყოველწლიურად 15 მან. აკრეფა; ამ ანარიცხებმა დაიწყო შემოსვლა ჯერ კერძო საზოგადოებებიდან (მე-60 წლების ბოლოდან), ხოლო 1871 წლიდან აგრეთვე სახაზინო რკინის გზებიდან.

ამნაირად შეიქნა წყარო რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებლების დასაარსებლად და შესანახად.

1-ლ წლებში ამ სასწავლებელთა სახე არ იყო სავსებით ჩამოყალიბებული, ხოლო თანდათან ტეხნიკური მიმართულება ეძლეოდა და სავსებით გარკვეული ტეხნიკური სახე მათ მიეცათ 1886 წლიდან, დებულების შემუშავებასთან დაკავშირებით.

თბილისის ტეხნიკური რკინის გზის სასწავლებლის გახსნა შემდეგ პირობებში მოხდა: ფოთი-თბილისის რკინის გზის საზოგადოებამ 15 მან. სავერსო გადასახადის აკრეფას შეუდგა 1875 წლიდან, მაგრამ კავკასიაში რკინის გზის ქსელის განუვითარებლობის გამო შეგროვილი თანხა საკმარისი არ იყო სასწავლებლის გასახსნელად და შესანახად. ამის გამო ფოთი-თბილისის რკინის გზის ყოფ. ინსპექტორმა ინჟ. ბ. ი. სტატკოვსკიმ სკოლის გახსნის დაჩქარების მიზნით მიმართა რუსეთის ტეხნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების მაშინდელ თავმჯდომარეს ინჟ. მ. ნ. გარსევანოვს, რათა ტეხნიკურ საზოგადოებას გაეერთიანებია საშუალებანი და ქონება თავისი სასწავლო სახელოსნოებისა განზრახულ რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებლის საშუალებებთან. შუამდგომლობის შედეგად გასახსნელ რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებელს გადაეცა ტეხნიკური საზოგადოების სარგებლობაში მყოფი სახაზინო მიწის ნაჭერი და აგრეთვე სასწავლო სახელოსნოების ქონება მთელი ნაშენებით.

ამნაირად ამიერ-კავკასიის რკინის გზის საზოგადოებას საშუალება მიეცა 1878 წლის დასაწყისში შესდგომოდა სასწავლებლის შენობის აგებას და ძველი შენობების შეკეთებას.

წესდება დამტკიცებული იყო 1878 წლის 5 თებერვალს.

სასწავლებელი გაიხსნა მოსამზადებელი კლასით. კლასების მომატებასთან ერთად საშუალებანი საკმარისი არ აღმოჩნდა, მაგრამ მდგომარეობა გამოკეთდა ბაქოს უბნის გახსნასთან დაკავშირებით.

რკინის გზის ტეხნიკური სასწავლებელი იმყოფებოდა გზათა სამინისტროს გამგებლობაში. სასწავლებლის მართველობა იყო მზრუნველ საბჭოს ხელში, რომელიც შესდგებოდა ამ.-კავ. რკინის გზის 3 წარმომადგენლისა და რუსეთის ტეხნიკური საზოგადოების აქაური განყოფილების აგრეთვე 3 წარმომადგენლისაგან. სასწავლებლის უშუალო გამგებლობას ეწეოდა მისი უფროსი.

მოსწავლეთა მიღება სწარმოებდა გამოცდებით.

თბ. ინდუსტრიალური ტექნიკუმის პედაგოგიური პერსონალი

მოსწავლენი სახელოსნოში მუშაობდნენ კვირაში 4-ჯერ 3 ნახ. საათს თვითეული კლასი. ზაფხულში მოსწავლენი ასრულებდნენ პრაქტიკულ მუშაობას სახურო და საამშენებლო ხელოსნებაში, მე-3 კლასში გადასულნი აგრეთვე გეოდეზიურ პრაქტიკას.

არდადეგების დროს იგივე კლასი მუშაობდა 1 ნახ. თვის განმავლობაში ამ.-კავკ. რკინის გზების მთავარ სახელოსნოებში, დაბალი კლასის მოსწავლენი კი ერთი თვის განმავლობაში—სასწავლო სახელოსნოებში. 3-წლიან კურსის დასრულების შემდეგ ისინი იგზავნებოდნენ რკინის გზებზე 2-წლიან სავალდებულო პრაქტიკაზე არჩეულ სპეციალობის მიხედვით. პრაქტიკის წარმატებით დასრულების შემდეგ სასწავლებლის საბჭო აძლევდა მათ სასწავლებლის ატესტატს.

მოსწავლეთა დახმარებას ადგილი ჰქონდა თითქმის სასწავლებლის დაარსებისთანავე, მაგრამ ის განმტკიცდა განსაკუთრებით 1898 წლიდან,. როდესაც სასწავლებლის საერთო საცხოვრებელი მანამდი დაქირავებულ ბინაზე მოთავსებული გადავიდა სასწავლებლის ეზოში აგებულ სპეციალურ ორ-სართულიან სახლში.

რკინის გზის ტეხნიკური სასწავლებელი წარმატებით ღებულობდა მონაწილეობას სხვადასხვა გამოფენებში; მაგალითად, რუსეთის სამხატვრო-სამრეწველო გამოფენაზე ნიჟნი-ნოვგოროდში 1896 წელს; თბილისის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენაზე 1901 წელს, რუსეთის ტეხნიკურ საზოგადოების მიერ მოწყობილ გამოფენებში, აგრეთვე მსოფლიო გამოფენებზე—ჩიკაგოში—1893 წელს, პარიჟში—1900 წელს და სხვ.

თბილისის რკინის გზის ტეხნიკური სასწავლებელი დაამთავრა 1881 წლიდან 1919 წლამდე სულ 945 ტეხნიკოსმა, რომელნიც ცხოვრებაში პრაქტიკულ მუშაობისათვის სავსებით მომზადებული და გამოსადეგი აღმოჩნდენ. ბევრ მათგანს დიდი პასუხსაგები, ხშირად ინჟენრის თანამდებობა უჭირავს. საერთოდ მათ დიდი როლი ითამაშეს განსაკუთრებით ტრანსპორტის დარგში, თუმცაღა ტეხნიკოსთა ნაწილი ჩაბმულია ტეხნიკურ-საამშენებლო მუშაობაში რკინის გზის გარეშეც.

რკინის გზის ეტხნიკური სასწავლებლის საფუძველზე აღმოცენდა ეხლანდელი ინდუსტრიალური ტეხნიკუმი. 1918 წელს გადაკეთებულ სასწავლებელს დაერქვა თბილისის საშუალო ტეხნიკური სასწავლებელი (მექანიური დარგით) და გზათა უწყებიდან გადავიდა განათლების სამინისტროს გამგებლობაში. 1919 წელს გახსნილი იქნა საამშენებლო განყოფილება და არსებულ სასწავლებელს დაერქვა პოლიტეხნიკური სასწავლებელი. 1921 წ. დამატებით გახსნილ იქნა ელექტროტეხნიკური განყოფილება. 1922 წელს მას ერქვა „მეორე ტეხნიკუმი", ხოლო 1923 წლიდან ის ატარებს „თბილისის ინდუსტრიალური ტეხნიკუმის" სახელწოდებას. ამჟამად სამივე განყოფილებანი—მექანიური, საამშენებლო და ელექტროტექნიკური—სრულად დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს.

სამივე აღნიშნულ განყოფილებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ტეხნიკურად და ეკონომიურად ჩამორჩენილ ჩვენი ქვეყნისათვის და მათი სათანადო მოწყობის შემდეგ დიდი როლი შეუძლიათ ითამაშონ ჩვენი ქვეყნის წინსვლელობის საქმეში.

ტეხნიკუმის არსებობის განმავლობაში გამოშვებულია 348 ტეხნიკოსი,. აქედან 182 მექანიკოსი, 102 მშენებელი და 69 ელექტროტეხნიკოსი; წელს უშვებთ 65 ტეხნიკოსს, აქედან 21 მექანიკოსს, 26 მშენებელს, 18 ელექტრო-ტეხნიკოსს, კურსდამთავრებულნი გაფანტული არიან მრავალ ტეხნიკურ დაწესებულებებში, რკინის გზაზე, ს. მ. უ. ს.-ში, ქალაქად და სოფლად ჩაბმული არიან პრაქტიკულ საქმიანობაში, და მათ თავისი წვლილი შეაქვთ ქვეყნის დაწინაურების საქმეში.

ლტოლვა სპეციალურ სასწავლებლებისადმი ყოველწლიურად იზრდება, მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენ შევძელით მთხოვნელთა მხოლოდ ერთი მეხუთედის მიღება (მთხოვნელთა რიცხვი 500-მდე იყო), რაიც ამტკიცებს ასეთი სასწავლებლის ცხოველმყოფელობას და საჭიროებას. აუცილებელია მხოლოდ ტეხნიკუმს მიექცეს სათანადო ყურადღება, მიეცეს საშუალება, რომ მან შესძლოს ცხოვრების და ქვეყნის მოთხოვნილებანი პირნათლად შეასრულოს.

სპეციალურ სასწავლებელში, როგორც დღეს სავსებით გამორკვეულია, თეორიულ ნაწილზე არა ნაკლები ყურადღება პრაქტიკულ მომზადებას უნდა მიექცეს. ამისთვის კი საჭიროა სათანადო სახელოსნოების, ლაბორატორიების და კაბინეტების მოწყობა. ამ მხრივ დაბალ ტეხნიკურ სასწავლებლის მოწყობილობა ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე ტეხნიკის მოთხოვნილებას, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მექანიზაცია სრულიად არ იყო გატარებული და მოსწავლეთ ფეხებით და საერთოდ კუნთებით უხდებოდათ მუშაობა. არ არსებობდა ელექტროსადგური, ტრანსმისია, ძრავები და მანქანები, იყო მხოლოდ ფეხით მომუშავე ჩარხები, დაზგები და გირავები.

უკანასკნელ წლების განმავლობაში მიუხედავად მასიური ხელმოკლეობისა, ბევრი რამ გაკეთდა.

შეძენილია მრავალი ელექტროტეხნიკური ხელსაწყო, ზოგიერთი რამ ჩვენივე სახელოსნოებში დამზადებული.

სასწავლებლის ზრდასთან ერთად საჭირო ხდებოდა სხვა დამხმარე ნაწილების გაფართოებაც. შევსებულია საიარაღო განყოფილება, რამოდენიმედ ფიზიკური, ქიმიური და გეოდეზიური კაბინეტი, საგრძნობლად გაფართოვებულია ბიბლიოთეკა, უკანასკნელზე საჭიროა ცოტა შეჩერება.

წინედ ტეხნიკურ სასწავლებელში წიგნები შერჩეული იყო მხოლოდ რკინის გზის დარგის. სასწავლებლის ტიპის გართულების და ახალ განყოფილებათა გახსნის გამო საჭირო შეიქნა ბიბლიოთეკისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა. წინედ ბიბლიოთეკაში სულ იყო 1641 სახელწოდების წიგნი—3054 ტომი, ამჟამად უკვე 3.265 სახელწოდების წიგნი გვაქვს, 4.450 ტომად.

ამნაირად, უკანასკნელ წლებში სასწავლებლის მოწყობილობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ეხლა უნდა აღვნიშნოთ, რომ ტეხნიკუმში პრაქტიკული მუშაობის საქმე დღითი-დღე უმჯობესდება. ჩვენს სასწავლო პროგრამას გარკვეული პრაქტიკული მიდრეკილება აქვს: კითდება მხოლოდ ისეთი საგნები, რომელნიც ცხოვრებაში გამოყენებას პოულობენ. ზაფხულობით მე-3-დან მე-4 კურსზე გადასვლისას მოსწავლენი გადიან გეოდეზიურ პრაქტიკას და იგზავნებიან საზაფხულო პრაქტიკაზე სხვადასხვა ტეხნიკურ და საამშენებლო დარგში, ხოლო კურსდამთავრებულნი იგზავნებიან სათანადო სპეციალობის სტაჟის გასავლელად როგორც საქართველოში, ისე ამიერ-კავკასიის დანარჩენ რესპუბლიკებში და რუსეთშიაც.

ტეხნიკუმში დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე ექსკურსიებს.

უკანასკნელ წლებში ყურადღება მიექცა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამზადებას. სამწუხაროდ, ჩვენში სასოფლო-სამეურნეო მანქანები ჯერ კიდევ სათანადოდ გავრცელებული არ არიან, და ბევრი მათგანი უცხოეთიდან შემოდის. ხშირად ისინი ვერ ეგუებიან ჩვენს პირობებს და საჭიროებას. მანქანის ტიპები ადგილობრივ უნდა შემუშავდეს და შეეფარდოს ცხოვრების და მეურნეობის მოთხოვნილებას. ჩვენ განზრახვა გვაქვს სპეციალისტების დახმარებით ვაწარმოოთ ცდები ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ტიპების გამოსამუშავებლად და დასამზადებლად. ტეხნიკუმში დამზადებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები დიდ გავრცელებას პოულობენ მოსახლეობაში, მაგრამ ჯერ-ჯერობით სამწუხაროდ, საქმის დაყენება ფართო მასშტაბით ვერ ხერხდება უმთავრესად სათანადო თანხების უქონლობის გამო.

რაც შეეხება პედაგოგიურ პერსონალს, 35 მასწავლებელ-ხელმძღვანელთაგან 27 უმაღლესი სწავლითაა, რომელთაგან უმრავლესობა ინჟენერებია დიდი პრაქტიკული სტაჟით; სახელოსნოების და ლაბორატორიების ხელმძღვანელნი და მათი თანაშემწენი დიდი სტაჟით და გამოცდილებით არიან აღჭურვილნი.

მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა ცუდ მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფება. ტეხნიკუმი მათ ვერავითარ დახმარებას ვერ უწევს, არ არსებობს არც ინტერნატი, არც სტიპენდიები. მიუხედავად ამისა ნახევრად მშიერ-მწყურვალი მოსწავლეობა უმეტეს შემთხვევაში მაინც აკმაყოფილებს იმ დიდ მოთხოვნილებას, რომელსაც ტეხნიკუმი მათ უყენებს. მეცადინეობის საქმე და მიღებული შედეგები — თანდათან უმჯობესდება.

ტეხნიკუმის გადაკეთების შემდეგ კურსები დაამთავრა: 1921 წელში — 18 კაცმა, 1922 წელში — 35 კაცმა; 1923 წელში — 41 კაცმა; 1924 — 40 კაცმა. 1925 წ. — 48 კაცმა, 1926 წ.— 40 კაცმა, 1927 წელში— 65 კაცმა.

ამნაირად, გადაკეთებული ტეხნიკუმი სულ დაამთავრა 340 ტეხნიკოსმა, რომელთა შორის უმუშევრები არ არიან.

როგორია ტეხნიკუმის მართვა-გამგეობა? ტეხნიკუმის სათავეში სდგას საბჭო, რომელშიაც შედიან თეორიული და პრაქტიკული საგნების მასწავლებელნი და ხელმძღვანელნი, ტეხნიკუმთან არსებული დამხმარე კომიტეტის (მოსწავლეთა მშობელთაგან) წარმომადგენელი, რკინის-გზის, ს.მ.უ.ს-ის, მელითონეთა კავშირის, განათლების მუშაკთა კავშირის და სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტეხნიკური ფაკულტეტის თითო წარმომადგენელი.

ტეხნიკუმის საბჭო იხილავს და არჩევს სასწავლო და ადმინისტრატიულ-სამეურნეო მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს.



თბილისის ინდუსტრია ლური ტექნიკუმი

ტეხნიკუმის სასწავლო ნაწილს ხელმძღვანელობს სასწავლო ბიურო, რომელშიაც შედიან გამგე, მისი მოადგილე და საგნობრივ. კომისიის თავმჯდომარენი. ბიურო იხილავს სასწავლო გეგმით შედგენილ პროგრამებს, არკვევს სწავლების მეთოდებს და პრაქტიკულ საშუალებებს და უდგენს საბჭოს თავის მოსაზრებებს როგორც მეთოდური, ისე საერთო სასწავლო ხასიათის საკითხებზე.

საბჭოს დადგენილებათა სისრულეში მოსაყვანად და მიმდინარე ადმინისტრატიულ-სამეურნეო საკითხების მოსაგვარებლად არსებობს **პრეზიდიუმი** ტეხნიკუმის გამგის, მისი მოადგილის, საბჭოს მდივნის, დამხმარე კომიტეტის, განათლების მუშაკთა კავშირის და მოსწავლეთა წარმომადგენლის შემადგენლობით.

პრეზიდიუმთან ერთად ეწყობა საწარმოო ხასიათის თათბირი სახელოსნოების ხელმძღვანელთა და მუშების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

მიმდინარე სასწავლო წელს დაარსდა მოსწავლეთა მშობელთაგან შემდგარი **დამხმარე** კომიტეტი, რომელიც მეტად ენერგიულ ზომებს ღებულობდა მატერიალური საშუალებების გამოსაძებნად ღარიბ მსმენელთა დახმარების მიზნით. მის მიერ მოწყობილ საღამოდან შემოსული თანხებით მოწყობილ იქნა უფროსი კურსის მოსწავლეთა ექსკურსია ბაქოში; ეს კომიტეტი ტეხნიკუმის ადმინისტრაციასთან ერთად ღებულობდა მონაწილეობას სხვადასხვა საკითხების მოგვარებაში.

ეხლა შევეხოთ ტეხნიკუმში მასიურ-საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-კულტურულ მუშაობას. ტეხნიკუმს ამ დარგშიც აქვს მიღწევები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სასწავლებელს მეტად მნიშვნელოვანი რევოლიუციონური სტაჟი აქვს. ჯერ კიდევ 1894 — 1897 წლებში აქ დაარსდა თვითგანვითარების წრე, სადაც ეცნობოდნენ რევოლიუციონურ და სოციალისტურ ლიტერატურას. ამ სასწავლებლიდანაა გამოსული **ამხ. აბელ ენუქიძე**, რომლის სახელი ამჟამად ტეხნიკუმს დაერქვა, და მრავალი სხვა ცნობილი რევოლიუციონერი.

ტეხნიკუმში 1918 წელს ჩაისახა ახ. კომკავშირის არალეგალური უჯრედი, მაგრამ საქართველოში მენშევიკების ბატონობა მას გასაქანს არ აძლევდა, მიუხედავად ამისა უჯრედის მოღვაწეობა მაინც შეუმჩნეველი არ რჩებოდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უჯრედი უნდა გამოცოცხლებულიყო. მაგრამ მას პირველ ხანებში პარტიული ხელმძღვანელობა აკლდა და ანტიპროლეტარული ორგანიზაციები, მაგალითად ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია და სხვა ამ უჯრედის მოღვაწეობას ჩრდილავდა, უჯრედის გავლენა მოსწავლე ახალგაზრდობაზე ნაკლები იყო.

1924—25 სამოსწავლო წლიდან მეტი ყურადღება მიექცა ტეხნიკუმის პოლიტიკურ ცხოვრებას, გაძლიერდა პარტიული ხელმძღვანელობა და მოწაფეობაში გაიზარდა კომუნისტური ელემენტები. ამრიგად 1924—25 სასწ. წელს სასწავლებელში ირიცხებოდა 28 კომკავშირელი; 1925—26 სასწ. წელს—48; 1926—27 სასწ. წელს—65, ხოლო მიმდინარე სამოსწავლო წლის დასაწყისში კი 90 კომკავშირელი. კომკავშირის წევრთა რიცხობრივ ზრდასთან ერთად იზრდებოდა იგი თვისობრივადაც. მაგალითად 1926—27 სასწ. წელს ზედმეტად პარტიულ ორგანიზაციების მიერ ტეხნიკუმში პარტიული მუშაობა ცნობილ იქნა როგორც სამაგალითო, რისთვისაც უჯრედს მადლობა გამოეცხადა.

ტეხნიკუმში ჩატარებულ იქნა კამპანიები და მოხსენებები: 1) ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის აღსანიშნავად, 2) საქართველოს გასაბჭოების შვიდი წლის თავის აღსანიშნავად, 3) პარიზის კომუნის მნიშვნელობის და რემედასის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად, 4) ლენინის გარდაცვალების 4 წლის თავის აღსანიშნავად, 5) მოწაფეთა თვითმმართველობის მნიშვნელობა.ამოცანებზე, რის შემდეგ ჩატარებულ იქნა მოწაფეთა თვითმმართველობის არჩევნები. წაკითხული იქნა მოხსენებები:: 1) მე-15 პარტყრილობის შედეგებზე, 2) ა. ლ. კ. კ-ას 1-ლ ყრილობის შედეგებზე; 3) თბილისის პარტგანათლების შედეგებზე, 4) „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია. როგორც ანტიპროლეტარული იდეოლოგიის მატარებელი"; 5) „მარქსიზმის დედა აზრი"; 6) „ლენინიზმი, როგორც მარქსიზმი პროლეტარული რევოლიუციის ხანაში". სისტემატიურად იკითხებოდა მოხსენებები მიმდინარე მომენტზე. ტეხნიკუმის მოსწავლენი მთელი თავის შემადგენლობით მონაწილეობას ღებულობდნენ ალლუმებზე.

ტეხნიკუმში არსებობს კედლის გაზეთი „მომავალი ტეხნიკოსი"-ს სახელწოდებით, რომელიც გამოდის თვეში ერთხელ და ყავს გამოყოფილი სარედაქციო კოლეგია. გაზეთის ირგვლივ შემოკრებილია 25 კორესპონდენტი.

ტეხნიკუმის მოსწავლე ახალგაზრდობა დაინტერესებულია არა მარტო თავის სპეციალობის შესწავლით, არამედ დიდად ინტერესებს აგრეთვე პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები. ამ მიზნით მათ აქვთ პატარა ბიბლიოთეკა 530 ცალი წიგნით, რომელიც შეძენილია უმთავრესად თვით მოწაფეების საშუალებით. ამ წიგნებიდან 89 პროც. პოლიტიკურ-ეკონომიურ ხასიათისაა, ხოლო 11 პროც. ლიტერატურული ხასიათის.

ტეხნიკუმში არსებობს წრეები: მიმდინარე პოლიტიკის ორი, ლიტერატურული, ფიზკულტურის, მუსიკალური, მომღერალთა, დრამატიული და მხატვართა ჯგუფი. ამ წრეებში ჩაბმულია 270 მოსწავლე და სწარმოებს ინტენსიური მუშაობა.

აგრეთვე არსებობს თავდაცვა-ავიაქიმის (სამხედრო და სასროლო სექციებით) და რემედასის უჯრედი, სადაც ირიცხება 118 წევრი.

დაბოლოს საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, ის, რაც აბრკოლებს სასწავლებლის ნორმალურ განვითარებას: ეს გახლავთ სათანადო ბინის უქონლობა; ამ შენობებში წინედ მოთავსებული იყო დაბალი სამ-კლასიანი ტეხნიკური სასწავლებელი. ეხლა მოთავსებულია 3 სპეციალური განყოფილება 12 კურსით და, რა გასაკვირია, თუ ის შენობის დიდ სივიწროვეს განიცდის. მეცადინეობა სწარმოებს ორ წყებად, 6-6 კურსი თვითეულ წყებაში. მეცადინეობის პირობები არა ჰიგიენურია; ერთ კურსზე, მაგალითად, ქვის იატაკია და სხვ. არ გვყოფნის სამხაზველოები,—ხშირად ერთ სამხაზველოში—2-3 კურსი იყრის თავს. გეოდეზიური კაბინეტი ამბულატორიის მცირე ოთახშია მოთავსებული; არ გვაქვს ოთახი ქიმიაში პრაქტიკული მუშაობის საწარმოებლად; არ მოგვეპოვება სახატავი დარბაზი და სხვ.

უარყოფითი გავლენას ახდენს მუშაობის ნაყოფიერებაზე.

2. საღამოს მეცადინეობის წარმოებაც უარყოფით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. დამტკიცებულია, რომ საღამოს მეცადინეობა ვერ იძლევა სასურველ ნაყოფს. საჭიროა მეცადინეობა სწარმოებდა ყველა კურსებზე—თეორიული დღით, ხოლო პრაქტიკული—საღამოობით.

3. სპეციალისტ-ინჟენერთა დიდ უმრავლესობას ძირითადი სამსახური სხვა დაწესებულებებში აქვთ, რის გამო მთელ ძალ-ღონეს და ენერგიას სასწავლებელს ვერ ანდომებენ. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სასწავლებელს ყავდეს თავისი ძირითადი შტატი სპეციალისტ მასწავლებლებისა, რომელთაც ძირითადი სამსახური აქ ექნებათ. ეს უმთავრესად დამოკიდებულია სათანადო ჯამაგირის გაღების საკითხთან და აუცილებელია ეს საკითხი მოგვარდეს ისე, როგორც ამას სასწავლებლის და ქვეყნის ინტერესები მოითხოვს.

4. სასწავლებლის მოწყობა ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის; მას აქვს ჩამოსასხმელი განყოფილება, ხოლო სამჭედლო, სადურგლო და ელექტროტეხნიკური ნაწილი გაფართოვებას მოითხოვს. შემდეგ, ტეხნიკა დღითი-დღე ვითარდება,—შეუძლებელია სახელოსნოები და ლაბორატორიები ერთ წერტილზე გაიყინოს. სასწავლებელს უნდა მიეცეს საშუალება აუცილებელ განყოფილებათა მოსაწყობად და ახალი ჩარხების, აპარატების და სხვა საჭირო მოწყობილობათა შესაძენად.

5. სპეციალურ სასწავლებელში უაღრესი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული მხარის განვითარებას და სათანადო დონეზე დაყენებას. სასწავლებელს საშუალება უნდა ჰქონდეს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში პრაქტიკული მუშაობა ინტენსიურად აწარმოოს, არ უნდა გრძნობდეს ნაკლებობას მასალებში, იარაღებში და სხვ. მას საშუალება უნდა მიეცეს აგრეთვე წესიერად მოაწყოს საზაფხულო პრაქტიკული მუშაობა გეოდეზიაში, საამშენებლო დარგში და სხვ.

დღეს უფრო შეგნებული აქვს სპეციალური სწავლა-განათლების უაღრესი საჭიროება. ცხოვრება მოითხოვს სპეციალური სასწავლებლების გახსნას და ისინი იხსნებიან კიდეც ჰუმანიტარულ სკოლების ნაცვლად. რევოლიუციამ ქვეყნის წინაშე დააყენა სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანები—ამოცანები სახალხო მეურნეობის აღდგენის, მისი რეკონსტრუქციის, სოციალისტური აღმშენებლობის. დაწინაურებული ტეხნიკის გარეშე შეუძლებელია სოციალიზმის დამყარება, რადგან ის ვერ ეგუება ჩამორჩენილ ტეხნიკას.., ჩვენ უნდა დავეწიოთ და მალე წინ გავუსწროთ დასავლეთ ევროპის ტეხნიკას, ამისათვის ტემპი ჩვენი ტეხნიკური დაწინაურებისა მეტად ჩქარი უნდა იყოს. ეს კი მოითხოვს სპეციალურ სასწავლებლებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა, პარტია, პროფორგანიზაციები განსაკუთრებული ყურადღებით შეაფასებს ამ სასწავლებლის მუშაობას და მის მიერ დასახულ მიზნებს, ხელს შეუწყობს მათი განხორციელებაში, სასწავლებლის სასურველად მოწყობის საშუალებას მისცემს და თავისი ყურადღებით კიდევ უფრო გაამხნევებს სასწავლებლის ყველა თანამშრომლებს და შთაუნერგავს მათ თავდადებულ მუშაობის ხალისს საბჭოთა რესპუბლიკის დასაწინაურებლად და მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

გასული 50 წლის განმავლობაში ამ სასწავლებელმა ქვეყანას მისცა მთელი არმია ტეხნიკოსებისა, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს ქვეყნის აღმშენებლობაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალი 50 წელი, კიდევ უფრო მეტს და რიგიანად მომზადებულ სპეციალისტებს გამოუშვებს და მით კიდევ უფრო მეტ როლს ითამაშებს სახალხო მეურნეობის განმტკიცების და მიმდინარე დიადი სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში.

ინჟ. ვ. კაკაბაძე.
შ. ჩხაიძე.

ძველი ტექნიკოსის მოგონება

1884 - 5 წელს ოზურგეთიდან თბილისში ჩამოვედი. 18 წლის ახალგაზრდამ, გამოუცდელმა მივადექი სამასწავლებლო ინსტიტუტს. იქ მქონდა თხოვნა და დოკუმენტები გამოგზავნილი. ინსტიტუტში გამოცდებზე პირველ დღესვე ჩამჭრეს. აქედან წავედი რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებელში, რომლის 50 წლის არსებობას დღეს ვდღესასწაულობთ. აქ ბედმა გამიღიმა, მიმიღეს.

თბილისის ცხოვრებამ დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე, სასწავლებელში პირველადვე მოვხვდი პატარა წრეში. ამ წრეს ხელმძღვანელობდენ მაშინდელი მოწაფენი დათიკო გოცირიძე, დიმიტრი ქვლივიძე, ბაჯიოღლი, ანუ ქუთაისელი იტალიელი, როგორც მაშინ მას ვეძახდით—სოლომონ ყაზბეგი, გენო მჭედლიშვილი და სხვანი.

ამათ ჰქონდათ პატარა ყუთი-სამკითხველო. პირველად ამ სამკითხველოდან მომცეს წასაკითხად ორი პატარა წიგნაკი. ამ წიგნებმა გამიტაცა. მთელი სამკითხველოს წიგნები გადავიკითხე. შემდეგ რაღაცა გრძელი, ძალზე დაჭმუჭნილი და დაბეჭდილი ქაღალდი მომცეს და გამაფრთხილეს: წაიკითხე, მაგრამ არავის აჩვენოო.

ჩემ ყოფას მალე შევეჩვიე, პროკლამაციებიც აღარ მაშინებდა. თვით გავხდი ამ სამკითხველოს გამგე. ყუთში თავზე რომ ნებადართული წიგნები მეწყო, დაბლა ნებადაურთველი წიგნაკები და პროკლამაციები ეღაგა.

როცა შემატყვეს ამხანაგებმა, რომ უკვე მოვინათლე რევოლიუციონური აზრებით, წამიყვანეს ერთ არალეგალურ კრებაზე. იმ დროს ამ სასწავლებლის პანსიონი ელისაბედის ქუჩაზე იყო. სადღაც იმავე ქუჩაზე 20-მდე ახალგაზრდებს მოეყარათ თავი.

ამრიგად მეც ჩავერიე მაშინდელ „გრძელთმიანებში"—მაშინ პარტიობა არ ყოფილა. თუ კი რომელიმე პროკლამაცია ჩაგვივარდებოდა ხელში, იმას ვკითხულობდით, მას ვასლებდით.

1886 წელს სემინარიელმა ლალიაშვილმა მოკლა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი. ამ გარემოებამ დაგვაახლოვა ტეხნიკები სემინარიელებს. რევოლიუციონური სულისკვეთება გაიზარდა. ჩვენი სამკითხველოც გაიზარდა და უფრო დიდი ყუთის ყიდვა გახდა საჭირო.

რკინისგზის ტეხნიკები უკვე ბევრი არიან რევოლიუციის სულისკვეთებით გაჟღენთილნი. გვქონდა სკოლაში გაფიცვებიც და პატარა გამოსვლებიც.

1887 წ. სასწავლებელი დავასრულე. რვა თვის შემდეგ განჯაში გადამიყვანეს მემანქანის თანაშემწედ და სასწავლებლის ცხოვრებას ჩამოვშორდი. ჩამოვშორდი, მაგრამ ვიცოდი, მესმოდა, რომ სასწავლებელი მრავლად ამზადებდა რევოლიუციისათვის თავდადებულ მებრძოლებს. 1894-5-ში აქ უკვე ჩამოყალიბდა მარქსისტული წრე ამხ. აბელ ენუქიძის, კიასოვის და სხვების თაოსნობით

1905 წელს რკინის გზის ტეხნიკუმი მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა საერთო გაფიცვებში.

ერთი სიტყვით დღევანდელ იუბილიარს აქვს საყურადღებო წარსული. დღეს ჩვენი ყოფილი სასწავლებელი გაზრდილა, გადიდებულია.

50 წლის თავზე შევხვდით ძველი ამხანაგები ერთი მეორეს. გავიცანით ერთმანეთი. გავეცანით ტეხნიკუმის მიღწევებს.

ამ სასწავლებლიდან ჩვენ დღეს ბევრს მოველით. ჩვენ გვესაჭიროება ნამდვილი სპეცები.

დეე დღევანდელი დღესასწაული იყოს ამ ტეხნიკუმის კიდევ მეტი წარმატება-განვითარებისათვის, ხოლო ძველებმაც მოვიყაროთ თავი ახლად გაფურჩქვნილ ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის ირგვლივ და ვეცადოთ ამ ნორჩი სასწავლებლის სასურველ ნიადაგზე დაყენებას.

ს. დოლიძე.

მუშათა ცხოვრება

დავა უნდა შეწყდეს
(აღმასკომის საყურადღებოდ)

კარგა ხანია დავა სწარმოებს თბილისის აღმასკომის და უნივერსიტეტის გამგეობის შორის, უნივერსიტეტის ეზოს ერთი ნაწილის შესახებ, რომელიც განზრახულია გადასცენ ზოოლოგიურ პარკს, იმ დროს, როდესაც იგი უნივერსიტეტისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ყოფ. ქართული გიმნაზიას, აღნიშნული მიწის ფერდობზე, უნივერსიტეტის მარცხნით, გაშენებული ჰქონდა ვენახი ბაღით. უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ ვენახი და ბაღი გადაშენდა ხოლო ამ ადგილის შესახებ დღემდე არავის დავა არ ჰქონია. დღეს კი უნივერსიტეტის გამგეობას უხდება იმის მტკიცება, რაც დიდი ხანია უდავო და დამტკიცებული საქმედაა მიჩნეული.

უნივერსიტეტის გამგეობამ კარგა ხანია აღნიშნული ადგილი შემოაკავა და დაგეგმა წიგნთსაცავ-ბიბლიოთეკის ასაშენებლად. ბიბლიოთეკის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა უკვე დამტკიცებულია და ამ მოკლე ხანში შეუდგებიან მის აგებას.ამავე ადგილზე განზრახულია აიგოს სხვადასხვა სასწავლო ინსტიტუტები. ისე, რომ ეს მიწა უნივერსიტეტის აკადემიურ მუშაობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული და მისი ჩამორთმევა უნივერსიტეტიდან დიდათ დააბრკოლებს უნივერსიტეტის კულტურულ მშენებლობას.

რაც შეეხება ზოოლოგიურ ბაღს, უნივერსიტეტი თანახმაა დაუთმოს აღნიშნული ადგილის ფერდობი, მდინარე ვერამდე. თვით მოედანი კი უნივერსიტეტის უდაო საკუთრებად უნდა ჩაითვალოს.

აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველომ უნდა შესწყვიტოს ეს დავა, რომელიც დიდი ხანია გრძელდება. და აღნიშნული მიწა მიაკუთვნოს უნივერსიტეტს. ამით ის ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის გაფართოებას და ზოოლოგიური ბაღსაც დააკმაყოფილებს.

მეთვალყურე.

—:—

მეტი ყურადღება კედლის გაზეთს
(სად. თბილისი).

სად. თბილისის ადმინისტრაცია, კედლის გაზეთში მოთავსებულ შენიშვნებს ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევს, საერთოდ წარმოების ხელმძღვანელი, როგორც ყოველდღიურ, ისე კედლის გაზეთებში მოთავსებულ შენიშვნებს განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს და ყოველგვარ ზომებს ღებულობდეს შენიშვნაში აღნიშნულ ნაკლულოვანების გამოსასწორებლად. მაგრამ სად. თბილისის ადმინისტრაცია, რატომღაც ნაკლებ ყურადღებას აქცევს მუშკორთა შენიშვნებს და არავითარ ზომებს არ ღებულობს შენიშვნებში აღნიშნული ამა თუ იმ ნაკლის გამოსასწორებლად.

შეიძლება ამ უყურადღებობას ჰქონდეს თავისი მიზეზები, შეიძლება დაუშვათ ისიც, რომ ზოგიერთისათვის გაურკვეველი იყოს ის თუ რას ემსახურება კედლის გაზეთი. მაგრამ არც ერთი და არც მეორე მიზეზი არ არის მხედველობაში მისაღები. ადმინისტრაცია დაინტერესებული უნდა იყოს თვით დაწესებულებაში არსებული ნაკლის გამოსწორებაში. სად. თბილისის ადმინისტრაცია კი არამც თუ კედლის გაზეთის მნიშვნელობაში, არამედ არსებულ ნაკლის გამოსწორებაშიც კი არ არის დაინტერესებული.

საჭიროა სადგურის ადმინისტრაციამ და პროფორგანიზაციამ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ადგილობრივ კედლის გაზეთში მოთავსებულ წერილებს და მიიღონ ზომები ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად.

ის. გოგიბერიძე.

კულტურულად ჩამორჩნით. ამიერ-კავკ. რკ. გზის შენობების საამშენებლო სამუშაოებზე მომუშავე მუშებში, არავითარი კულტურული მუშაობა არ სწარმოებს. მუშები კულტურულად ძალიან ჩამორჩნენ. ვინ მიაქცევს ამას ყურადღებას?

—:—

დაუდევრობის შედეგი
(ქუთაისი)

გასულ წელს, ამიერ-კავკასიის საშემოსავლო ნაწილის უფროსმა, მოახდინა რკინის გზაზე რევიზორების შტატის შემცირება, მაგრამ ეს შემცირება ვერ ჩატარდა წესიერად: სად. ქუთაისის რევიზორი მოქ. რატიანი, სამსახურიდან დაითხოვეს ნოემბერში. რამოდენიმე ხნის შემდეგ კი იგი დანიშნეს სად. ქუთაისის კანტორის მოხელეთ შტატ ზევით. რატიანი არ დათანხმდა ადმინისტრაციის ასეთ ლმობიერებას და მოითხოვა გაცდენილი დროის ხელფასი. ამრიგად ექსპლოატაციის დარგის 1 განყოფილებამ გაცდენილი დროის გასასვლელი ჯილდოს 330 მან. გარდა, სასამართლოს დადგენილებით მისცა კიდევ 194 მანეთი ისე, რომ ადმინისტრაციის დაუდევრობით რკინის გზამ, ტყვილა მოსიარულეს, რომელიც რკ. გზისათვის არავითარ ღირებულებას არ ქმნის, მისცა 504 მანეთი.

საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოარკვიოს ეს საქმე და ადმინისტრაცია მისცეს პასუხისგებაში.

ეკალეარიდე.

—:—

როგორ ესმის თვითკრიტიკა

ამას წინად სად. ნავთლუღის რკინის გზის კლუბში შესდგა ამავე კლუბის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგში სამი საკითხი იყო: ანგარიში კლუბის მუშაობაზე, კლუბის გამგეობის გადარჩევა და სარევიზიო კომისიის მოხსენება. კლუბის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა კლუბის ყოფილმა გამგემ ამხ. დემეტრაშვილმა და ახალმა გამგემ ამხ. ვასაძემ, მომხსენებლებმა აღნიშნეს, როგორც მიღწევები, ისე ნაკლიც კლუბის მუშაობაში. შემდეგ მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ანთიძემ. თავის მოხსენებაში მან მარტო დადებით მხარეებზე ილაპარაკა. მაგრამ კამათში გამოსულ ამხანაგებმა ბევრი რამ სთქვეს სარევიზიო კომისიის უმოქმედობის შესახებ. მთელი წლის განმავლობაში სარევიზიო კომისიას მხოლოდ სამჯერ გაუკეთებია რევიზია. ფულის ანგარიშები და საერთოთ კლუბის ფინანსიური ანგარიშები კი უნდა განხილულიყო მუდამ თვე.

მოხსენებების შემდეგ კლუბის წევრებმა დაადგინეს კლუბის გამგეობის მუშაობა ცნობილ იქნას დამაკმაყოფილებლად და შეიტანეს წინადადებები კლუბის მუშაობის გასაცხოველებლად,. ხოლო სარევიზიო კომისიის მუშაობა კი სცნეს სუსტად. ეს დადგენილება შეურაცყოფად მიიღო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ანთიძემ და გაბრაზებული მივარდა ადგილკომის მდივანს ამხ. ს. თოდაძეს და დაუწყო ლანძღვა-გინება იმისათვის, რომ უკანასკნელმა გაბედა და გამოააშკარავა სარევიზიო კომისიის სუსტი მუშაობა. ანთიძე ამით არ დაკმაყოფილდა. მან მეორე დღესაც რამოდენიმე ამხანაგების თანდასწრებით, კიდევ მიაყენა შეურაცყოფა ამხ. თოდაძეს და რიგიანად გამოლანძღა საქმიან კრიტიკისათვის.

ასე გაუგია სად. ნავთლუღის კლუბის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ანთიძეს ჩვენი ხელისუფლების და პარტიის ლოზუნგი, თვითკრიტიკის და ფართე მასსების კონტროლის შესახებ.

ლაშაური.

—:—

რა გვიპასუხეს

გაზ. „კომუნისტი"-ს მე-115-ე ნომერში მოთავსებულ შენიშვნის შესახებ, სათაურით „უდისციპლინობა თბ. საყუდში"—ა.-კ. რკინისგზის გამგეობა გაცნობებთ, რომ სამექანიკო განყ. მე-4 უბანში მართლაც ჰქონდა ადგილი სუსტი ხელმძღვანელობას, რისთვისაც ადმინისტრატიული შემადგენლობა გადახალისებულ და შეცვლილ იქნა. რაც შეეხება შრომის დისციპლინის დარღვევას, ამ მიმართულებით მიღებულია გადამჭრელი ზომები, რამიაც საჭიროა პროფორგანოს და ყველა დაინტერესებული ორგანიზაციების დახმარება. ა.-კ. რკინისგზის გამგეობა იმედოვნებს, რომ ახალი ადმინისტრაცია გამოასწორებს უბნის მუშაობას.

მთავარი კანტორის უფროსის მაგ. შუკუა.

დაეხმარეთ ბავშვებს. მალაკნის ქუჩა № 29 სახლში სცხოვრობენ მაისურაძის ბავშვები, რომლებსაც დედა არა ჰყავთ და მამა კი დაპატიმრებულია. ბავშვები მშიერ-მწყურვალი, უპატრონოთ დაიარებიან ქუჩაში. სათანადო ორგანომ დახმარება უნდა აღმოუჩინოს მაისურაძის ბავშვებს.

მეთვალყურე.

რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პლენუმი

პირველი სხდომა

23 ივნისს ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის შენობაში გაიხსნა ა.-კ. საგზაო კომიტეტის მე-6 პლენუმი. პლენუმის გახსნის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ვ. სხაშვილმა აღნიშნა პლენუმის მოწვევის დაგვიანების მიზეზები.

ამხ. საბაშვილის სიტყვის შემდეგ პლენუმმა მიიღო დღის წესრიგი და რეგლამენტი და გადავიდა უშუალოდ მოხსენებების მოსმენაზე.

ხელფასის რეფორმის შედეგები

მომხსენებელი — რკინისგზელთა პროფკავშირის სატარიფო-საეკონომიო განყოფილების გამგე ამხ. ნ. უსტიაშვილი პლენუმს აცნობს იმ წესს, რითაც ხელმძღვანელობდენ რკინისგზელთა ხელფასის რეფორმის დროს. რეფორმის ჩასატარებლად რკ. გზელთა პროფკავშირის ცეკამ გამოსცა დირექტივა აპრილის შუა რიცხვებში. ამიერ-კავკასიაში ხელფასის რეფორმის ჩასატარებლად დაწესებული იქნა ორი ვადა: 1-ლი მაისიდან რეფორმა განხორციელებული უნდა ყოფილიყო მუდმივი ჯამაგირის მქონე მუშა-მოსამსახურეების მიმართ, ხოლო 1-ლი ივნისიდან უნდა გავრცელებულიყო ყველა ნარდათ მომუშავეზე. ხელფასის რეფორმის მიზანი არ ყოფილა მარტო ხელფასის გადიდება, არამედ რეფორმა მიზნად ისახავდა აგრეთვე ხელფასის გაცემის საკითხის მოგვარებას, ერთგვარი სისტემის შეტანას ამ საკითხში და ხელფასის გათანაბრებას მონათესავე დარგებში მომუშავეთათვის.

რეფორმის ჩასატარებლად დაწყებულ მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ ზოგიერთ დარგებში საჭიროა ხელფასის არსებული ნორმების დატოვება. ასეთი დარგების მომუშავეებია: წყალსაქაჩების მემანქანე-მუშები, ელექტრო-მემანქანეები, ნავთსადენის მუშები, კავშირგაბმულობის მუშა-მოსამსახურეთა ზოგიერთი კატეგორიები, სამასალო და წევის დარგის ზოგიერთი ჯგუფები და სხვა.

ნარდათ მომუშავეთათვის ხელფასის ნორმათ დაწესებულია არა გამომუშავების რაოდენობა, არამედ გამომუშავებული პროდუქციის ღირებულება.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

ამ.-კავკასიის იუსტიციის სახალხო კომისართა მესამე თათბირი

(სასამართლოს ორგანოების რეორგანიზაციის შედეგები)

თათბირის მესამე სხდომაზე მოსმენილი იქნა რესპუბლიკანური იუსტიციის სახ. კომისარიატის წარმომადგენელთა მოხსენებები სასამართლო ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ.

ამხ. ფულმბეკოვი (აზერბეიჯანი) თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ წინედ აზერბეიჯანში მიღებული იყო სასამართლო ორგანოების იგივე სტრუქტურა, როგორიც რუსეთში იყო შემოღებული სამხედრო კომუნიზმის პერიოდის შემდეგ: ძირითადი უჯრედი—სახალხო სასამართლო, შემდეგი საფეხურის უჯრედი—საოლქო სასამართლო და უზენაესი სასამართლო.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ეს სისტემა არ შეეფერებოდა აზერბეიჯანის სინამდვილეს, ვინაიდან აზერბეიჯანის ადმინისტრატიულად დანაწილება არ იყო შეფარდებული ამ სისტემასთან. არსებობდა ორი საოლქო სასამართლო: ერთი ბაქოში და მეორე განჯაში. სასამართლოები მაზრებში სესიაზე გადიოდენ წელიწადში ორჯერ. ხშირი შემთხვევა იყო, რომ საქმეები მთლიანად ვერ ირჩეოდა თვითეულ სესიის დროს, გრძელდებოდა წლობით და მეტი ხნითაც. ეს სისტემა ითხოვდა დიდ ხარჯებს, როგორც თვით სასამართლოს, აგრეთვე მოსახლეობის მხრივაც. ამ სისტემის დროს პროკურატურის ზედამხედველობა შეზღუდული იყო, ვინაიდან პროკურატურა იძულებული იყო საოლქო სასამართლოსთან ყოფილიყო და პერიფერია უყურადღებოთ დატოვებოდა. ასევე განუხორციელებელი რჩებოდა იურიდიული დახმარების აღმოჩენა მოსახლეობისათვის. ვინაიდან დამცველთა კოლეგიებიც საოლქო სასამართლოს ვერ დაშორდებოდენ.

რეორგანიზაციის შემდეგ სასამართლო უფრო დაუახლოვდა სოფელს, თუ წინეთ სესია მაზრებში წელიწადში მხოლოდ ორჯერ გადიოდა, ახლა მაზრიდან სესია ხშირად გადის თემებში და სოფლებში. გაცილებით შემცირდა საქმის წარმოების ხარჯი, დაჩქარდა საქმეების გარჩევა, გაფართოვდა პროკურატურის ზედამხედველობა. მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენის საქმე და სხვა.

ყველა ამ ზომებმა საგრძნობლად აამაღლა სასამართლოს ავტორიტეტი და სასამართლომ მოიპოვა უფრო მეტი გავლენა და მნიშვნელობა.

ამხ. ვარძიელი (საქართველო) თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ რეორგანიზაციის გატარებამდე იყო ერთგვარი შიში, რომ იურიდიულ ცენტრს მოწყვეტილი სამაზრო სასამართლო ვერ შესძლებს ზოგიერთი რთული საკითხების დამოუკიდებლად გადაჭრას და რომ სამაზრო სასამართლო მოექცევა სამაზრო ხელისუფლების გავლენის ქვეშ; ფიქრობდენ, რომ ვერ შევძლებთ სამაზრო სასამართლოებისათვის სათანადო კვალიფიკაციის მქონე მუშაკთა კადრის გამონახვას, რომ რეორგანიზაცია გამოიწვევს დიდ ხარჯებს სადგომების მოწყობის მხრივ და ჩვენი მატერიალური რესურსები არ იკმარებს ამ საქმისათვის და სხვ.

მაგრამ—ამბობს მომხსენებელი,—ერთი წლის პრაქტიკამ ჩვენ დაგვანახვა, რომ ეს შიში სრულიად უსაფუძვლო იყო. სამაზრო სასამართლოებმა [illegible] რად დაყენება, [illegible] ტიც, რასაც მათგან მოველოდით და ძველი დაწყებული საქმეებიდან განთავისუფლდა სასამართლო. ადგილობრივი ხელისუფლება არავითარ დაბრკოლებებს არ უქმნის სასამართლოს. ჩვენი სამაზრო სასამართლოები სავსებით დაკმაყოფილებული არიან მომზადებული მუშაკებით. ხარჯები რეორგანიზაციის წყალობით არამც თუ არ გაიზარდა, არამედ პირიქით—მიმდინარე წლის განმავლობაში გააკეთა 80 ათასი მანეთი ეკონომია. არავითარი ნიშანი არ არის იმისი, რომ უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგია მოწყდა პერიფერიას და ხალხს. უმეტეს შემთხვევაში საკასაციო საჩივარები ადგილებიდან იგზავნებოდა ფოსტით. მომხსენებლის აზრით ჩატარებული რეორგანიზაცია არ არის საბოლოოთ დამთავრებული საქმე და ახლო მომავალში საჭირო იქნება სამაზრო სასამართლოების გადაკეთება სახალხო სასამართლოებათ, ასე რომ იარსებებს სასამართლოს ორი საფეხური: სახალხო სასამართლო და უზენაესი სასამართლო. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია დამცველთა კოლეგიის საკითხის განხილვა. მას საჭიროდ მიაჩნია ინდივიდუალური დაცვის ლიკვიდაცია და გადასვლა კოლექტიურ დაცვაზე, როდესაც ბრალდებულს დამრიგებელი იქნება კოლექტივზე და არა პიროვნებაზე. იგი საჭიროდ სცნობს შეიქმნას ერთიანი დამცველთა კოლეგია, რომელსაც ადგილებზე ექნება თავისი ფილიალები.

ამხ. აზრაფიანი (სომხეთი) მოხსენებიდან ირკვევა, რომ სომხეთში შემოღებულია სახალხო სასამართლოები და უზენაესი სასამართლო. უზენაეს სასამართლოს ჯერ-ჯერობით დაქვემდებარებული აქვს ზოგიერთი საქმე, რომელიც ახლო მომავალში უნდა გადავიდეს სახ. სასამართლოებს. სასამართლო აღმასრულებლის სიმცირის გამო ძალიან იგვიანებს განაჩენის აღსრულება. საგამომძიებლო აპარატი ექვემდებარება პროკურატურას. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია არსებულ დამცველთა კოლეგიის გადაკეთება საბჭოთა საზოგადოებრივ დაცვის ორგანოდ და სახალხო მსაჯულების მომზადება მუშა-მოსამსახურეთა წრიდან. სასამართლოს ეს ახალი მუშაკები შემდეგში სამუშაოდ უნდა გაიგზავნოს, როგორც პროკურატურაში, აგრეთვე დამცველთა კოლეგიაში და სასამართლოში.

მოხსენებების რეზოლიუციის შემუშავება დაევალა წინა სხდომაზე არჩეულ კომისიას. გუშინ დილით მუშაობდნენ კომისიები.

გუშინ, საღამოს შესდგა უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც განხილული და დამტკიცებული იქნა კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლუციები. რეზოლიუციები გასაგზავნად წარედგინება ა.-კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

რეზოლიუციის დამტკიცების შემდეგ თათბირი დაიხურა.

დუშეთის მაზრის შეერთება თბილისის მაზრასთან

დუშეთის მაზრის თბილისის მაზრასთან შეერთების საკითხის შესასწავლად საქ. ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად თბილისის აღმასკომთან ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით დაარსებულ იქნა ცალკე კომისია.

კომისიაში წევრებათ შედიან: ამხ. სუჯიაშვილი, ბაქრაძე, მათიკაშვილი, მგალობლიშვილი, გავაშელი და აკოფოვი.

კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე მიზანშეწონილად სცნო დუშეთის მაზრის თბილისის მაზრასთან შეერთება და დაადგინა:

ვინაიდან დუშეთის მაზრა თავის გეოგრაფიული და ეკონომიური პირობების გამო, ყველაზე უფრო დაკავშირებულია თბილისთან, დუშეთის მაზრა მთლიანად შემოერთებული იქნეს თბილისის მაზრასთან.

კომისიამ გამოყო ქვეკომისია ამხ. გავაშელის, სუჯიაშვილის და აკოფოვის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა 2 კვირის განმავლობაში შეიმუშაოს და წარუდგინოს კომისიას სქემა დუშეთის მაზრის შემოერთებისა თბილისის მაზრასთან.

გემები ორპირში
რიონ-პორტი

1.

ჰიპოკრატე — ძველი ბერძენი,
ასე სწერდა ამ ქვეყანაზე,
(სჯობდა რომ სულაც არ დაეწერა):
— „ქვეყანა. რომელსაც ჩაუდის ფაზისს მდინარე

არის ჭაობიანი, ცხელი და ნოტიო.
შემოსილია გარშემო ტყით.
ყოველდღე მოდის დიდი წვიმები,
ამ ჭაობებში მცხოვრები ხალხი
წყალში აშენებს წნელისგან ფაცხებს.
გარედ გამოდის მხოლოდ მაშინ,
თუ ბაზარში მოუხდა წასვლა.
ხმარობენ ხისგან გაკეთებულ ნავს
და ამ ნავებით ირგვლივ უვლიან
წყალში ჩაყრილ თავიანთ მამულს.
სვამენ წვიმის წყალს თბილსა და მდორეს
და სიცხისაგან სულ აყროლებულს.
აქ არ მწიფდება არასდროს ხილი.
წყალს ზევით არის რაღაცა ნისლი,
ჰაერს რომ ალპობს და მუდამ სწამლავს,
ხალხია ტანით თუმცა მაღალი,
მაგრამ იმდენად არის მსუქანი.
რომ აღარ უჩანთ ძარღვის სახსარი.
ყვითელი, მწვანე გადაკრავს ფერი,
თითქოს ხიყვითლით არის ავადო".

2.

ამხანაგებო,
მეზობლებო,
სახლის კაცებო!..
მინდა შორიდან
მოგესალმოთ
ძმა-ამხანაგი.
მაინც თქვენი ვარ,
თქვენი მიწის,
თქვენი ორპირის,
თუმცა საგრძნობი
არ მიმიძღვის
თქვენთან ამაგი.
ვიცი კითხულობთ
ყველა „კომუნისტ"-ს.
და ეს წერილი
წასაკითხათ
სახლში მოგივათ.
ვიცი გაარჩევთ
მართალ სიტყვას,
ძმა-კაცურ სალამს.
ამიტომ არი,
რომ უბრალო
ლექსით მოვდივარ.
ამიტომ არი,
რომ სიხარულს
გული ვერ მალავს.
ამხანაგებო,
მეზობლებო,
სახლის კაცებო!..
ჩემი სალამი
და აღტაცება...

3.

ჩვენი ბავშობის ოცნება ახდა:
ვხედავთ ორპირში ორთქლმავალ გემებს.
ახლოს გაივლის ეზო და სახლთან
და საბჭოების მზეს მიგვაგებს.
ჩვენი დამქცევი იყო რიონი,
გვემუქრებოდა ყოველდღე აყრას
და მალარიის ცივი მორიელი
ახლაც გვაყენებს საშინელ ზაფრას.
— ვინ დაგვიწყევლა უმური მხარე,
და საწამლავად მოგვეცა ეს ფშანი;
აქ ადამიანს რა გაახარებს,
რომ იყოს მართლა გარდაქმნილი.
რა იყო წინად ამის წამალი —
ნაკურთხი წყალი და აიაზმა!
ამიტომ იყო სოფელი მალე
საფლავის ქვებით რომ დაიხაზმა.
ბევრი ყოფილა აქ შეცხადება,
ბევრის უდროოდ ატირდა დედა.
ვეღარ უშველეს ლოცვით ხატებმა,
დაივსო კუთხე და გადაშენდა.
მე ეხლაც ვხედავ დაკონკილ საბნებს
მზისგან რომ ადის ოფლი ოშხივრად.
გულად ვაჟკაცსაც შიში დააბნევს
და თავის ბედის გახდის მომჩივრად.
თვალწინ მიდგება თავგზაკრული
ფხალის ნეშოში ბალღი და ქალი
და ცხელებისგან პირგამეხრული
მესმის საწყლების ცივი კანკალი...
ძველ დროს ხალხისთვის ვინ მოიცლიდა
რამე ეწამლა, ეცა ნუგეში!..
პირიქით ლუკმას პირში აცლიდა,
სურდათ დაელპოთ ამ მყრალ გუბეში.

4.

ახალ ცხოვრების
და ოქტომბრის
მაცოცხლებელი
ტრიალებს ქარი,
თავის ბედს ხალხი
თვითონვე მართავს,
გუშინ უმწეო
და შესაბრალი,
ბედნიერების
დამდგარა კართან.
ვერ გაგვიბედავს რიონი აყრას,
ხედავთ გემების გადმოშლილ აფრას,
ძველი სიზმარი უკვალოდ გაქრა,
ვისაც სჯეროდა, ღმერთმა შეარგოს.
დღეს სხვა გემების გამოჩნდა აფრა,
და იაზონის არა გვსურს არგოს.
ახალ ეპოქის უდიდეს ეპოსს
აღარ სჭირდება უკვე მედეა.
პოეტს სხვა ცეცხლი გულს მოედება,
თუ თავის-თავის მომიდეა.
ახალ სიმღერებს გულში აგვინთებს
ბედნიერების სხვა დაპირება
და ზღაპრად იქცა ოქროს ტრირემა.
დღეს აზრი აქვს საგნებს და ნივთებს
სად იყო წინა ის ოქროს სილა
ანდა სად ება ის ოქროს ვერძი?..
ალბად ქვეყანა სულ გამოცვლილა
და შეუცვლია მიწასაც ღერძი,
ოქროს ლოდინი ეხლა ტყვილია,
დღეს ოქროდ მარტო შრომა ფასდება,
ჩვენს სიღარიბეს ის თუ გახვედება,
ახალ ცხოვრების აზრიც ეს არი
ხალხს არ წაერთვას ლუკმა და სარჩო,
და თუ ამ დღეებს შევესწრებით,
მიზეზი არი—ლენინის საბჭო.

5.

მე თუ ვერ ვაქებ ინდუსტრიის ქარს,
მიტომ რომ ფეხი ამ ფშანში ჩამრჩა.
სხვა კაცი იმას უფრო მოიხმარს,
ამ ახალ კაცის მე ვარ ქამანჩა.
ალბად სადღაცა ზის უსახელო,
იქნებ ნიფხავი ჯერ არც კი ეცვას;
მაგრამ გახსნილი აქვს მას საყელო,
ღია თვალებით უყურებს ზეცას.
მის მაგიერად რამდენი მკლავი
შრომობს, ირჯება და ოფლს იწურავს;
ხუთკუთხიანი მისი ვარსკვლავი
სამშობლო ცაზე სხვაგვარად ხტურავს;
ეცვას პერანგი დღეს ნარმიანი
— ის მაინც სხვაა ადამიანი.
ოქტომბრის ქარი ზუზუნით ზრდიდა,
არ მოვარდნილა უეცრად ცოდნა.
და გიგანტურს ვხედავთ შენობას,
— მაგრამ, ჯერ ტყისა და ხარაჩოებს
ნუღარ დავაჩენთ ჩვენც უჩვენობას,
გზა ნათელი აქვს ამ დიდ საბჭოებს.
გამოიშვება ეს საქართველო
ფოლადის რკინის ახალ ჯავშანში,
გატანილია იმისი ლელო,
არ დაიხრჩობა ჩვენსავით ფშანში.
ახალ ცხოვრების ამ შენებას
ძმური სალამი ჩემი გვიანი,
ახალ ცხოვრების მშვენიერებას
შვენის ახალი ადამიანი...

6.

სდგას აბრეშუმის და ტყის სახერხი,
მალე ქაღალდის ქარხანას ველით.
დიდ საყვირები გრიალებს მეხი,
გამოვა გემი რიონის ხვრელით.
მალე დადგება დამბების ქსელი
და რკინის ხიდი გამოცვლის ბორანს,
მალე იმ გზაზე, დღეს რომ ლაფს ვზილავთ,
მატარებელიც, ვხედავთ, მიგორავს.
და იმ ადგილას, სადაც ჯერ გუშინ
არ ეგდო ტყუილად ერთი აგური,
ციებ-ცხელების გამომპალ ღრუში
კლიმატიური ჩნდება სადგური.
გადაშრებიან ასე ფშანები,
ველარსად ვნახავთ დაგუბულ რუებს
და მოტორების რკინის ლაფშები
მუხაგარასაც გადააყრუებს.
მაშინ გახდება მართლა სახინო
ეს იმერეთის კუთხე პატარა;
მგონი რომ ბედმა გადაგვარჩინოს,
მგონი ჩვენ ცაზე მზე გამოდგარა.
და მე სიხარულმ დამრჩა პირველი
როცა ორპირში გემი მოვიდა,
ვერ დავინახე ტარასს სპრინკველი.
ხავსმოდებული ჩემი ქოხიდან.
ლექსს ვერ ვუნახე საჭირო სტილი,
ასე უბრალოდ გრძნობა ამიტანს.
სჯობს გამოტეხა და გულახდილი
ვკოცნი ამ გემის პირველ კაპიტანს.
დღეს ჩემი გული ქალადიდია,
გულში სხვა გული გემად დაცურავს.
დღეს ძველი ქვეყნის პანაშვიდია,
მიწა ქალამნად—ცა ქუდად მხურავს.
ჩვენი ბავშობის ოცნება ახდა,
ვხედავთ ორპირში ორთქლმავალ გემებს,
ახლოს გაივლის ეზო და სახლთან
და საბჭოების მზეს მიგვაგებს.

ტ. ტაბიძე.

მაისი 1928 წ. თბილისი.

ქრონიკა

დღეს ამუშავდება ხონის აბრეშუმის ქარხანა

დღეს მოხდება ხონში ახლად აგებული აბრეშუმის სახვევი ქარხნის ამუშავება. ქარხნის მოწყობილობათა მისაღებათ და ქარხნის ამუშავებაზე დასასწრებათ ახალმშენებათა სამმართველომ მიავლინა ინ. ვიწაძე.

ქარხნის აგება დაწყებული იყო გასულ საბიუჯეტო წელში. ქარხანაში დადგმულია ახალი იტალიური სახვევი მანქანები.

ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს პლენუმი

ორშაბათს, 25 ივნისს, დილის 10 საათზე განათლების კომისარიატში გაიხსნება ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მესამე პლენუმი, რომელზედაც განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1) საქართველოს და ავტონომიურ რესპუბლიკების განათლების კომისარიატების ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის შესახებ; 2) ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრის განათლების განყოფილებათა მოხსენებები ამავე საკითხებზე; 3) მიმდინარე საკითხები. პლენუმზე მოწვეული არიან ავტონომიურ რესპუბლიკების განათლების კომისარიატის წარმომადგენლები, ბორჩალოს, ახალციხის, ახალქალაქის და ბათომის განათლების განყოფილებების გამგეები, ყველა საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციების და მცირე ეროვნებათა წარმომადგენლები.

ბეკონის ქარხნის მოწყობა სენაკის მაზრაში

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა სენაკის მაზრაში მიავლინა ზოოტეხნიკოსი პროფ. ჯანდიერი და აგრონომი ხოფერია.

პროფ. ჯანდიერს დავალებული აქვს ადგილობრივ გამოიკვლიოს და შეისწავლოს ბეკონის ქარხნის და ჯიშიან ღორების მომშენებელ სადგურების მოწყობის საკითხები სენაკის მაზრაში.

ამას გარდა პროფ. ჯანდიერი და აგრონომი ხოფერია გამოიკვლევენ სენაკის მაზრის სასოფლო მეურნეობის გადახალისებს და ხელსაყრელ მეურნეობათა დაწყების საქმეს.

ღვინის ახალი სარდაფი

სახალხო მამულების ტრესტის ცნობით სიღნაღში დაიწყო ღვინის ახალი სარდაფის აგება. სიღნაღის მაზრის ღვინოები დღემდე მუშავდებოდა კოდანახის და ველისციხის მარნებში, მაგრამ ეს მარნები თავიანთი მცირე მოცულობის გამო ვერ აკმაყოფილებდნენ მოთხოვნილებას. ღვინის ახალი სარდაფი გადაამუშავებს და დაიტევს 100.000 ვედრო ღვინოს, რაც სავსებით დააკმაყოფილებს მევენახეობის დღევანდელ საჭიროებას მაზრაში.

ლუმელების გაწმენდის ნიხრი

ლუმელების გასაწმენდათ დაწესებულია შემდეგი ნიხრი: კერძო პირთათვის თითო ლუმელის გასაწმენდათ—30 კ.; საბჭოთა სახლებისათვის—25 კ. და სამხედრო დაწესებულებებისთვის—20 კ.

თბ. აღმასკომში

◆ საციებელი სარდაფები. თბ. აღმასკომმა დაადგინა ქალ. სასაკლაოსთან მოაწყოს ახალი საციებელი სარდაფები.

◆ ექსკურსიები. საადგილ-მამულო განყოფილებამ გადასწყვიტა მოაწყოს მაზრიდან ჩამოსულ გლეხების ექსკურსია ქალაქში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების დასათვალიერებლად.

მიწსახკომში

◆ აბრეშუმის პარკის მოსავალი. მიწსახკომში მიღებული ცნობებით აღმოსავლეთ საქართველოში აბრეშუმის პარკის მოსავალი კარგია.

◆ თათბირი. დღეს ზუგდიდში გაიხსნება თათბირი ჩაის მეურნეობის შესახებ.

◆ გლეხთა ცენტრალურ სახლში დღეს ამხ. ბიბილაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია“.

ექსკურსიები

◆ კოჯორში. დღეს შესდგება მკერავთა და ხეზე მომუშავეთა ექსკურსია კოჯორში.

◆ კრება. ხვალ, საღამოს 7 საათზე განათლების მუშაკთა სახლში შესდგება შორეულ ექსკურსიებში მონაწილეთა საერთო კრება.

სახალხო ჯანმრთელობა

◆ საექიმო პუნქტი. ჯანმრთელობის ცნობით შორაპნის აღმასკომი მოლითში საექიმო პუნქტისათვის აგებს ახალ შენობას, რისთვისაც გადადებულია 15.000 მან.

◆ ახალი საავადმყოფო. თელავ-სიღნაღის მაზრების გაერთიანების გამო, გადაწყვეტილია გურჯაანში ახალ დიდ საავადმყოფოს აგება.

სხვადასხვა

◆ ფასები ჩაიზე. მთავრობის დადგენილებით ნედლ ჩაიზე დაწესებული იქნა შემდეგი ფასები: 1-ლ ხარისხის კილოგრამ ჩაიზე—45 კაპ., მე-2 ხარისხის—37 კაპ.

◆ „ქართველი ერის ისტორია“. რედაქციამ მიიღო პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, I წიგნი, სილ. თავართქილაძის გამოცემა. წიგნი შეიცავს 376 გვერდს და ღირს 3 მან. 50 კაპ. ვარაყიანი ყდით — 4 მან. 50 კაპ.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

ვახტანგ მჭედლიშვილის მოსაგონარი საღამო

ორშაბათს, 25 ივნისს, ხელოვანთა სასახლეში საღამოს 8 საათზე შესდგება მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორის და ქართული დრამატიულ სტუდიის დამაარსებლის ვახტანგ მჭედლიშვილის მოსაგონარი საღამო.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: მოსკოვის დრამატიულ და კომპ. საზოგადოებას წარმომადგენელი გოლდენვეიზერი, დამსახ. მსახიობი შ. დადიანი, რეჟისორი კ. მარჯანიშვილი, ა. ფალავა. ალ. წუწუნავა და სათეატრო მუზეუმის გამგე დ. არსენიშვილი. მჭედლიშვილის სტუდიის ყოფილი მოწაფენი წაიკითხავენ მოგონებებს განსვენებულზე.

სამხატვრო აკადემიაში

ორშაბათს, 25 ივნისს, სამხატვრო აკადემიის კლუბში სასწავლო წლის დამთავრების გამო შესდგება პროფესორთა და სტუდენტთა საზეიმო სხდომა. სხდომაზე წაკითხული იქნება მოხსენება: „სამოსწავლო წლის დასასრული და მომავალი მუშაობის პერსპექტივები“. სხდომის შემდეგ გაიმართება დიდი კონცერტი.

სხდომაზე დასწრება შეუძლიათ გარეშე პირთაც.

პროლეტარულ მწერალთა შორის

◆ კომკავშირელ მწერალთა წრეში. დღეს, საღამოს 6 საათზე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციის ბინაზე შესდგება კომკავშირელ მწერალთა წრის კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს დ. რონდელი თემაზე: „კულტურული რევოლიუცია და კომკავშირული მწერლობის ამოცანები“.

◆ ხელოვნების სასახლეში. ორშაბათს, 25 ივნისს, საღამოს 6 საათზე შესდგება პროლეტ. მწერალთა ასოციაციის შემოქმედებითი საღამო. რომელზედაც ვ. სამსონიძე წაიკითხავს თავის ახალ პიესას.

—:—

◆ სიმფონიური კონცერტი. დღეს მედსანშრომის მუშაკთა კლუბში გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

◆ წითელ-არმიელთა კლუბში დღეს ბაქოს ახალგაზრდა მუშათა თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნება „მალვა“.

◆ ბოშური სიმღერების საღამო. ხვალ რუსთაველის თეატრში გაიმართება ბოშურ სიმღერების ცნობილ შემსრულებლის ტატიანა ბუკალცევას კონცერტი.

◆ კონსერვატორიაში დღეს გაიმართება კონსერვატორიის ახლად კურსდამთავრებულთა აქტი-საღამო.

◆ „მოუდრეკელნი“. ახლო ხანში ქართულ ენაზე გამოვა ა. ბარბიუსის წიგნი: „მოუდრეკელნი“.

ქართული ენის მასწავლებელთა კონფერენცია

22 ივნისს, თბილისის 1-ლ საშუალო-საწვრთნელ შრომის სკოლაში გაიხსნა საქართველოს გან. სახ. კომისარიატის მიერ მოწვეული, მე-2 საფეხურის შრ. სკოლების ქართ. ენის მასწავლებელთა კონფერენცია. კონფერენციას ესწრებიან, როგორც დელეგატები საქართველოს ყველა კუთხიდან და ქ. თბილისიდან, ისე ამ საკითხით დაინტერესებული პირები—არადელეგატები—(პროფესორები, სპეციალისტები), რომელთაც სკოლის დარბაზი ძლივს იტევს. კონფერენციის მიზანია,—გამონახოს საშუალებები იმ ტკივილების შესამსუბუქებლად, რომელსაც დღესდღეობით განიცდის ქართული ენის სწავლების საკითხი ჩვენს სკოლებში.

კონფერენცია გახსნა ამხ. გ. გოგუაძემ. პრეზიდიუმის არჩევისა და რეგლამენტის მიღების შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. გოგუაძე, თემაზე: „ლიტერატურისა და ენის სწავლების მიზნები და მეთოდები“. ენის მნიშვნელობის შესახებ მოკლე წინასიტყვაობის შემდეგ, მომხსენებელი ეხება მეთოდებს, რომლითაც მასწავლებელი უნდა უდგებოდეს ამ საგნის სწავლებას. ის არკვევს, თუ როგორი კავშირი უნდა არსებობდეს ლიტერატურასა და საზოგადოებათ-მცოდნეობას შორის; ამ საკითხში მომხსენებელი საშუალო ხაზს იცავს: არც საზოგადოებათ-მცოდნეობამ უნდა ჩაყლაპოს ლიტერატურა, და არც ლიტერატურამ უნდა დატოვოს სოც. ურთიერთობის საკითხები უყურადღებოდ. თანადროულობის დაცვა ლიტერატურის სწავლების დროს მან აუცილებელ საჭიროებად აღიარა. დასასრულ, მომხსენებელი შეეხო ქართ. ენის მდგომარეობას და სთქვა, რომ ჯერ-ჯერობით არსებობს ჩვენში ყველასათვის სავალდებულო ნორმები, რაც, არევ-დარევას იწვევს საერთოდ, და მასწავლებელს თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს, ამიტომ ის საჭიროდ აღიარებს ენის სავალდებულო ნორმების შემუშავებას დაჩქარებით.

მოხსენების შემდეგ იყო საქმიანი შეკითხვები, რომლებსაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი, დასაბუთებული პასუხი გასცა.

სიცხიანის გამო კამათი მოხსენების ირგვლივ გადაიდვა მორიგ სხდომისთვის.

საერთოდ, კონფერენცია საქმიან ხასიათს ატარებს.

ი. თოდუა.

ქუთაისი

(ტელეფონით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამხ. ა. ენუქიძე ქუთაისის სამაზრო აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე

23 ივნისს, გაიხსნა ქუთაისის სამაზრო აღმასკომის გაფართოებული პლენუმი. პლენუმი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ე. ლევამიჩავამ. პლენუმს ესწრებიან ყველა თემაღმასკომების თავმჯდომარენი. დილის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა საფინანსოს გამგე ამხ. პაპავა. ამხ. პაპავამ მოხსენება გააკეთა ექვსწლიანი ბიუჯეტის და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. პაპავას მოხსენების გარშემო. საღამოს 7 საათზე პლენუმის სხდომას დაესწრო რაჭიდან ჩამოსული საკავშირო ცაკის მდივანი ამხ. ენუქიძე, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდა პლენუმი. კამათში მონაწილეობა მიიღო კალანდაძემ, ბედიამ, ნადარეიშვილმა, სოხაძემ, ჯაფარიძემ, ნუცუბიძემ, პურდელაშვილმა, გეგელაშვილმა, ლორთქიფანიძემ, ქველაიამ, ყორყოლიანმა, ჯანელიძემ, კვერნაძემ და ხანებლიძემ.

სხდომის დასასრულ პლენუმს მოკლე სიტყვით მიმართა ამხ. ენუქიძემ.

სათეატრო სეზონი ქუთაის-ბათომში

საბოლოოდ გამოირკვა, რომ წელს ქუთაისში სათეატრო სეზონს უხელმძღვანელებს ცნობილი რეჟისორი კ. მარჯანიშვილი.

მარჯანიშვილი კვირაში სამ წარმოდგენას დადგამს ქუთაისში, ხოლო სამ წარმოდგენას—ბათომში, სადაც განსაკუთრებით პრემიერები წავა. დას ქუთაისის სამაზრო აღმასკომი აძლევს დახმარების სახით 45 ათას მანეთს, ბათომი—20 ათას მანეთს და წარმოდგენების შემოსავალს, ხოლო დანარჩენ მატერიალურ პასუხისმგებლობას, რამდენადაც ეს საჭირო იქნება, კისრულობს განათლების სახალხო კომისარიატი.

· საფუძვლიანად იქნება გადაკეთებული თეატრის სცენა და დამზადებული იქნება ახალი დეკორაციები. ქუთაისში ამ დღეებში მოელიან მარჯანიშვილს, რომელიც დასთან ერთად წინასწარ მუშაობას ჩაატარებს გელათის აგარაკზე.

მდგომარეობა სვირის რაიონში

სვირის რაიონში მოგზაურობიდან დაბრუნდა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კ. ლევამიჩავა, რომელიც ხსენებული რაიონის გამოსაკვლევად იყო გამგზავრებული. ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ლევამიჩავამ შემდეგი განაცხადა სვირის რაიონის შესახებ:

— „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია საკმაოდ განმტკიცებულია. გლეხობას შეუგნია, როგორც სესხის, ისე გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღის მნიშვნელობა. შაბიამნით და გოგირდით, რაც ადგილობრივ გლეხობის უმთავრეს საჭიროებას წარმოადგენს, რაიონი სავსებით დაკმაყოფილებულია და იაფ ფასებშიც; თუ კერძო ბაზარზე ფუთი შაბიამანი 28 მან. ფასობს, საკრედიტო ამხანაგობებში იგი 10 მანეთად დაურიგეს გლეხობას.

ადგილობრივ სამეურნეო კოოპერაციაში 869 მეურნეა გაერთიანებული, აქედან 49 პროცენტი ღარიბი, 36 საშუალო და 15 პროცენტიც შეძლებული.

სამეურნეო კოოპერაციის მუშაობაში ზოგჯერ დიდ ნაკლოვანებას ჰქონია ადგილი, რომელთა შორის აღსანიშნავია: 1) შეძლებულ გლეხობისათვის მიუციათ სესხათ 835 მანეთი, რომელიც დღემდეც დაუფარავია; 2) საკრედიტო ამხანაგობის მეშვეობით ჩამოყალიბებულა ჯგუფი 18 კაცისაგან, რომელიც შემდეგ „სამანქანო ამხანაგობათ“ გარდაქმნილა და სამისო დახმარებაც მიუღია, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრიდან. მიუციათ მათთვის „ფორდზონი“ და სხვა სამეურნეო იარაღები ნისიათ, რომელიც სავსებით დღემდე არაა გადახდილი. ამ 18-ს მომატებია კიდევ 30 და გამხდარან 48. მათი საპაიო თანხა შეადგენს 50, ხოლო საწევრო 16 მანეთს. ღარიბები არ მიუკარებიათ. ან საიდან შეეძლო ამ უკანასკნელთ საპაიო და საწევრო 66 მანეთის გადახდა? ეს საქმე გადაგზავნილია „სოფლის კავშირში“ და დღემდე იქიდან პასუხი არაა. 3) ჩამოყალიბებულია მევენახეთა ამხანაგობა „მეურნე“ ცალკე გამგეობით, რომელსაც მეთაურობდნენ ვინმე ა. კაპანაძე და გ. გამყრელიძე, რომელთაც ჯერ კიდევ წარსულ წელს გაუფლანგავთ 1.800 მანეთად ღირებული 900 ვედრო ღვინო, ეს საქმე სასამართლოშიც ყოფილა, მაგრამ დღემდე ამ უკანასკნელს არავითარი ზომები არ მიუღია.

სამომხმარებლო კოოპერაცია მუშაობას აქ საერთოდ კარგად აწარმოებს, მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ მისი მესვეურები ზედმეტად „გადაყოლილნი“ არიან მოგებას.

სოფლებში გლეხობასთან საუბრებმა დამარწმუნა: საბჭოებისადმი ნდობა მტკიცეა, სექციები მეტწილად გეგმიანად მუშაობენ, მათ სხდომებზე მრავლად ესწრებიან საბჭოს არა წევრი გლეხებიც.

აღმშენებლობის დარგში დიდ ინიციატივას იჩენს სვირის თემი, რომელსაც 10 ვერსზე გაუყვანია გზატკეცილი, სოფლისათვის აუგია ახალი შენობა და სხვ. ყვირილაზე აშენებს კაპიტალურ ხიდს, რომელსაც რესპ. მნიშვნ. აქვს, თუ მხედველობაში მივიღებთ, იმ გარემოებას, რომ იგი აერთიანებს ორ მაზრას; ქუთაისს-შორაპნისას და შემდეგ ძველი ორპირის გზატკეცილს სვირ-ობჩა-ბაღდათის საშუალებით აერთიანებს აბასთუმან-ზეკარის გზატკეცილთან.

ვის, როდის, არ ვიცით რატომ მთელი თემის საყოფი ადგილობრივ მნიშვნელობის ტყე მიუცია მხოლოდ ორი სოფლისათვის: სვირისა და ობჩისათვის.

მიწის დიდი სივიწროვეა. მეურნეობის უმთავრესი წყაროა მევენახეობა და სიმინდი. ორივე ამ კულტურის მოსავალი წელს საშუალოზე უკეთესი იქნება, თუ ვენახები არ დასეტყვა. აღსანიშნავია, რომ ამ რაიონის ახლო, სულ 6—7 ვერსის დაშორებით იმყოფება მიწათმოქმედების აგზამის სადედე სადგური, რომლის არსებობაც არ იციან გლეხებმა. სადგურს არავითარი ცოცხალი კავშირი გლეხობასთან არა აქვს“.

კრედიტები ადგილობრივ მრეწველობას

ეკონომიურმა საბჭომ გადასწყვიტა ადგილობრივ მნიშვნელობის წარმოებებს გაუწიოს სისტემატიური დახმარება გრძელვადიანი კრედიტების მიწოდებით. ეს კრედიტები მოხმარდება ადგილობრივ მრეწველობის გაფართოებას.

იმის გამოსარკვევად, თუ რომელ მაზრას რამდენი კრედიტი ესაჭიროება, მრეწველობის გასაფართოებლად დაარსებულია სპეციალური კომისია.

კომისიის მიერ შემუშავებულ გეგმით ეკონომიურმა საბჭომ თელავის სამაზრო აღმასკომს უკვე გადასცა 15.000 მანეთი ხე-ტყის ჩამოცურების საქმის მოსაწყობად. ამავე საქმისათვის ახალქალაქის აღმასკომს გადაეცა 10.000 მანეთი.

სენაკის კომუნალურ ტრესტს ადგილობრივ კირის ქარხნის შესაკეთებლად მიეცა 2.600 მან., იმავე ტრესტს თავის წარმოებების გადასაყვანად აბაშის ჰიდრო-ელსადგურის ენერგიაზე მიეცა 8.000 მანეთი.

აგურის ქარხნების მუშაობის გასაფართოებლად და სხვა წარმოებათა საჭიროებისათვის სამტრედიის აღმასკომს მიეცა 10.000 მანეთი მიზნობრივი სესხის სახით.

სიღნაღის აღმასკომს გადაეცა 25.000 მანეთი ადგილობრივ თამბაქოს წარმოების გასაფართოებლად.

ამას გარდა სამაზრო აღმასკომებს და ადგილობრივ ტრესტებს გაუნაწილდა 312.000 მანეთი მიმდინარე წლის მესამე კვარტალის კრედიტების ანგარიშში.

სპორტი

ველო — მარულა

მოტო-ველო სპორტის განვითარება თბილისში, საქმის სწორად დაყენების გამო, უკანასკნელ ხანებში სწრაფი ნაბიჯებით მიდის წინ.

ველო-სპორტის განვითარებას თბილისში აქამდე საგრძნობლად აფერხებდა სიცხე. მაგრამ ეხლა გამონახულია გამოსავალი ამ მდგომარეობიდან; პირველად მთელს საბჭოთა კავშირში თბილისში შემოღებული იქნა ღამის მარულა.

პირველი ასეთი, მარულა გაიმართა 22 ივნისს. ველოდრომი გაჩირაღდნებული იყო 4.000 სანთლის სინათლით. ელექტრონის სინათლე არ ჩამოუვარდებოდა დღის სინათლეს. ასეთ პირობებში გათამაშებული იქნა საქართველოს სტაერთა 1928 წლის პირველობა, რომელიც გაუთამაშებელი დარჩა სრულიად საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაულზე.

პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას იღებდენ ტატიანიანი, ფირსოვი, წვერიანოვი, სესლავინი, სტეპანოვი, ნესტეროვი, მიკირტუმოვი და ლისკუტიანი. შეჯიბრების შედეგები განსახილველად გადაეცა მსაჯთა კოლეგიას.

სტაერთა შეჯიბრებასთან ერთად გაიმართა სპრინტერთა ცილობაც, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ქალებმაც. ქალთა ველო-სპორტი მხოლოდ ეხლახან იქნა აღდგენილი თბილისში. ამჟამად ველო-საზოგადოებაში ჩაწერილია 15-დე სპორტსმენი ქალი.

ქალთა ცილობაში მონაწილეობა მიიღეს პეჩიკინამ, კოჟანამ და კალინინამ. გამარჯვებული გამოვიდა კოჟანი, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ არ დაამტკიცა ეს შეჯიბრება, რადგან კოჟანმა სწორად არ აუარა გვერდი თავის მეტოქეებს.

დასასრულ, გაიმართა საჩვენებელი ცილობა ფანრებით. მარულას დიდძალი ხალხი დაესწრო.

ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაული

აზერბეიჯანის ფიზკულტუროსნების ჩამოსვლა

გუშინ, თბილისში ჩამოვიდნენ ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის დღესასწაულზე მონაწილე აზერბეიჯანის ფიზკულტუროსნები რიცხვით 253 კაცი. სადგურზე სტუმრებს შეხვდნენ სომხეთის და საქართველოს ფიზკულტუროსნები და დაწესებულება-ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

სადგურიდან ფიზკულტუროსნები გაემართნენ ამიერ-კავკასიის ქვეითი ჯარის მეთაურთა სკოლაში, სადაც დაბინავდნენ.

რეპეტიცია

გუშინ, საღამოს 5 საათზე ლენინის სახ. სტადიონზე შესდგა ფიზკულტუროსნების მასიური რეპეტიცია თავისუფალ ვარჯიშში და პირამიდაში. რეპეტიციაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ფიზკულტუროსნებმა რიცხვით 750 კაცმა და აგრეთვე ამიერ-კავკასიის ქვეითი ჯარის მეთაურთა სკოლის კურსანტებმა, რიცხვით 300 კაცამდე.

დღესასწაულის გახსნა

გუშინ, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგა ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის დღესასწაულის საზეიმო გახსნა, რომელსაც დაესწრნენ ა. კ. მთავრობისა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

აღლუმი

დღეს, დილის 10 საათზე ფიზკულტუროსნები თავს იყრიან ამიერ-კავკასიის ქვეითი ჯარის მეთაურთა სკოლის ეზოში, სადაც დაეწყობიან კოლონებათ და პლეხანოვის პროსპექტის და კარლ მარქსის მოედნის გავლით გაემართებიან თავისუფლების მოედნისაკენ. იქ შეუერთდებიან დაწესებულება ორგანიზაციათა კოლონებს და რუსთაველის პროსპექტის, ელბაქიძის დაღმართის და პლეხანოვის პროსპექტის გავლით დაბრუნდებიან ამიერ-კავკასიის ქვეითი ჯარის მეთაურთა სკოლის ეზოში.

სასამართლო

მთავარი ინჟენერი, თუ მთავარი გამფლანგველი

გაგაცნობთ ერთ დიდ „სპეცს“ მთავარ ინჟენერს გიორგი ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილს.

ანდრონიკაშვილი უბრალო, ხელწამოსაკრავი სპეცი როდია.

ჯერ იყო 1927 წლის იანვრამდე ამიერ-კავკასიის გზათა სამმართველოს სალიანდაგო განყოფილების ინჟენერი გახლდათ.

რა გააკეთა ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს, დაწვრილებით არ ვიცით. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ რაკი დაწინაურდა, ალბად, რამეს აკეთებდა შინაურულად.

მართალია, 5.000 მანეთი დარჩა „ნისიათ“ ანდრონიკაშვილზე სალიანდაგო განყოფილებიდან გადაყვანის შემდეგ, მაგრამ ამას ოდნავადაც არ დაუმცირებია მისი კარიერა.

სანამ რკინის გზის სალიანდაგო განყოფილების ბუჰჰალტერია ანდრონიკაშვილის დავალიანებას მოსძებნიდა, უკანასკნელი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ახალშენებათა კომიტეტის მთავარი ინჟენერი გახდა.

—რა ვუყოთ ამ ხუთი ათას მანეთს?—ეკითხებიან რკინის გზიდან გამთავარინჟენერებულ ანდრონიკაშვილს.

— ითვლებოდეს ჩემზე საქვეანგარიშო თანხების ანგარიშში. არ დავაგვიანებ გასტუმრებას.—უპასუხებს ანდრონიკაშვილი.

საერთოდ, ანდრონიკაშვილი საქვეანგარიშო თანხებში იყო ჩამწყვარი.

რისი იმედი ჰქონდა ანდრონიკაშვილს? საიდან აპირებდა 5.000 მანეთის გადახდას?

საქვეანგარიშო თანხებიდან. განა ცოტა თანხა ბრუნავდა მის ხელში?

ახალშენებათა კომიტეტის მადლიანი სალარო მუდამ ღია იყო მთავარ ინჟენერის „წამოწყებათა“ დასაგვირგვინებლად. გარდა ამისა სხვადასხვა დაწესებულებებიდან შემოსული თანხებიც მის ხელში იყო მეტ წილად.

ანდრონიკაშვილს თავისუფლად შეეძლო ერთი საქვეანგარიშო თანხა, რომელსაც გაფლანგვის სუნი უდის—დაეფარა მეორე საქვეანგარიშო თანხით, ე. ი. ძველი გაფლანგვა დაეფარა ახალი გაფლანგვით.

ამიტომაც იყო, რომ რკინის გზის სალიანდაგო განყოფილებას პირობა მისცა ადრე დაებრუნებინა.

მიუხედავად ასეთი დაპირებისა, ანდრონიკაშვილმა მაინც ვერ გაიმეტა ფული, სანამ გაფლანგულად არ ჩაუთვალეს და დაპატიმრების არ შეეშინდა.

დაფარა (!) დანაკლისი ინჟენერმა. მაგრამ არ იკითხავთ რომელი თანხით? რასაკვირველია, სალაროდან მიღებულ საქვეანგარიშო თანხით.

ეს ძველი გაფლანგვა დაიფარა ახალი გაფლანგვით, მაგრამ ახალი გაფლანგვა ხომ დაძველდება და უნდა დაიფაროს, საჭიროა წყაროების გამოძებნა.

ანდრონიკაშვილმა სატყეო ტრესტიდან მიიღო სალაროში შესატანად 3.500 მანეთი. მიიღო და გაჩუმდა. შეინახა საიდუმლოდ. არავისთვის გაუმხელია, არც სალარო „დატვირთა“ ზედმეტად.

სატყეო ტრესტთან ანგარიშის გასწორების დროს ახალშენებათა კომიტეტი იძულებული გახდა აენაზღაურებინა სალაროდან ეს 3.500 მანეთი ტრესტისათვის.

ეს თანხაც ანდრონიკაშვილმა დაიწერა თავის თავზე, როგორც საქვეანგარიშო (!).

იხარდა ჯეჯილივით გიორგი ანდრონიკაშვილის „საქვეანგარიშო“ დავალიანება. და როცა თოთხმეტი ათას მანეთს გადასცილდა, ანდრონიკაშვილი აღარავის უნახავს ახალშენებათა კომიტეტში.

მთავარი ინჟენერი შეემატა ბოროტ გამფლანგველთა კალოს გამასწორებელ სახლში.

საქმის გამოძიება დამთავრდა. ანდრონიკაშვილის გასამართლება დაიწყება თბილისის სამაზრო სასამართლოში 9 ივლისს.

გერ.

შემთხვევები

ოთხფეხი საქონლის მოპარვა

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ გამოარკვია, რომ ვასილ ივანეს ძე ჭამელაშვილი 1926 წლიდან სისტემატიურად იპარავდა თბილისის მაზრაში მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს. გასულ წელს ჭამელაშვილმა თავის გარშემო შემოიკრიბა „ძმა-ბიჭების“ ჯგუფი და მათთან ერთად აწარმოებდა საქონლის ქურდობას.

ამ დღეებში სისხლის სამართლის მილიციამ ლიკვიდაცია უყო ქურდების ამ ბანდას და ორგანიზაციის უმეტესი ნაწილი დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდენ ვასილ ჭამელაშვილი (ქურდების მთავარი ორგანიზატორი), ანტონ ივანეს ძე ბიბილაური, ალი მამედ-ხასან ოღლი, ნოვრუზ მალარა-ოღლი და მისო გიორგის ძე კოზოლაშვილი.

გატაცებული საქონლის ნაწილი აღმოჩენილია და ჩაბარდა გლეხებს.

ავტომანქანის დაჯახება მოტოციკლეტზე

გუშინწინ, საღამოს ავტომანქანა (№ 311) ბაქოს ქუჩის და პლეხანოვის პროსპექტის კუთხეში დაეჯახა მოტოციკლეტს, რომელსაც მართავდა ვასილ პეტიკოვი. დაჯახების დროს სერიოზულად დაზიანდა მოტოციკლეტი და მძიმედ დაშავდა პეტიკოვი. დაშავებულს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში.

დაჯახების ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ პროკურატურის და სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები. გამოძიება გრძელდება.

უბედური შემთხვევა მტკვარზე

გუშინ, დილით, ვერის ბაღის მახლობლად მტკვარმა გაიტაცა სამი მობანავე. წყალზე დახმარების პუნქტის თანამშრომლებმა დიდის ვაივაგლახით ორი მათგანი დახრჩობას გადაარჩინეს. მოქ. მიშა მებუკე კი დაიხრჩო. გვამი ჯერ-ჯერობით ნაპოვნი არ არის.

დაჭრა აბანოში

გუშინწინ, ღამის 11 საათზე, აბანოში (ფეიერვერკის ქ.) მუშანიკ აკოპიანცმა დანით მუცელში დასჭრა აბრამ სარქისოვი (მცხ. ტროიცკის ქ. № 9). სარქისოვი გაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში. აკოფიანცის ქალი დაპატიმრებულია.

სახლის დანგრევა

გუშინ, დილით, აბანოს ქ. № 5 დაინგრა აღმასკომის ორსართულიანი სახლი, ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

ჯიბგირის დაპატიმრება

ამ რამდენიმე დღის წინედ პროფ. ი. თიკანაძეს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს ოქროსნივთები. სისხლის სამართ. სამძებრო მილიციის მიერ მიღებული ცნობებით გამოირკვა, რომ აღნიშნული ნივთები მოუპარავს ჯიბგირ დანიელ ეფიმის ძე ლარიჩკინს. ლარიჩკინი დააპატიმრეს. გაჩხრეკისას ლარიჩკინს აღმოაჩნდა ყალბი პირადობის მოწმობა—ვასილ ნიკოლოზის ძე ივანოვის სახელზე.

ლარიჩკინის თითების ანაბეჭდების საშუალებით გამოირკვა, რომ იგი ჯიბგირობას ეწეოდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში და ამ მიზნით ერთი ხანია თბილისსაც ესტუმრა.

ლარიჩკინი გამოტყდა დანაშაულში.

„გასტროლიორები“

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა „ცნობილი“ ჯიბგირები: პატა ლუკასის ძე შკოტკინი და მიხეილ მარტიროსის ძე ედიგაროვი.

ხსენებული პირები ეწეოდენ ჯიბგირობას უმთავრესად ტრამვაის ვაგონებში.

გაჩხრეკისას ჯიბგირებს აღმოაჩნდათ დასაძინებელი წამალი.

როგორც ირკვევა, ჯიბგირები მოქალაქეს ჯერ აძინებდნენ წამლის და ძილის შემდეგ კი ფულის ამოცლის მიზნით ჯიბეს აჭრიდენ.

ცხენის ქურდი

მილიციამ დააპატიმრა ალავერდი ისმაილ-ოღლი, რომელიც ყარაიაში სისტემატიურად იპარავდა ცხენებს.

რეციდივისტების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მამედ მუსა-ოღლი, ბაშლამ ბაირამ-ოღლი, რომლებმაც ამას წინად ყარაიაში გაქურდეს მძინარე გლეხები. ს.ს. მილიციის ცნობით, ხსენებულ პირებს აქვთ ქურდობისა და ჯიბგირობის რამოდენიმე რეგისტრაცია.

ყალბი ობლიგაციები

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ პასუხისგებაში მისცა გრიგოლ ამბარის ძე ბაიანცი, რომელიც ავრცელებდა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ყალბ ობლიგაციებს.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

ქუთაისში ჩატარებულ მოგებათა ტირაჟის ოფიციალური ცხრილი

სერია № 51.—50 მანეთიანი მოგებანი

000.022	008.308	017.915	028.264	035.978	042.492	053.359	062.945	071.719	080.367
000.038	008.602	018.991	028.284	036.119	043.069	053.786	063.021	072.030	080.503
000.182	009.108	019.820	028.324	036.150	043.147	053.919	063.489	072.236	080.654
000.277	009.202	019.845	028.383	036.347	043.323	054.240	063.523	072.413	081.073
000.301	009.512	019.906	029.250	036.356	043.675	054.249	063.579	072.527	081.077
000.337	010.067	020.016	029.355	036.506	043.896	054.449	063.739	072.608	081.310
000.592	010.369	020.656	029.522	036.579	043.925	054.666	063.823	072.680	081.565
000.893	010.680	020.957	029.596	036.683	043.993	055.100	063.883	072.728	081.571
001.115	010.704	021.233	029.652	036.710	044.226	055.176	064.079	073.414	082.052
001.307	010.716	022.152	029.860	036.720	044.505	055.507	064.189	073.658	082.491
000.022	008.308	017.915	028.264	035.978	001.638	010.849	022.161	029.986	037.645
001.647	010.947	022.405	030.452	037.788	044.641	055.557	064.495	073.812	082.685
002.328	011.202	022.581	030.508	037.997	044.702	056.350	064.720	074.165	082.705
002.419	011.408	022.643	030.640	038.051	044.741	056.367	064.944	074.188	083.517
002.419	011.408	022.643	030.640	038.050	044.961	056.556	065.107	074.201	083.643
002.508	011.964	023.385	030.666	038.267	002.508	011.964	023.385	030.666	038.265
002.514	012.997	023.684	030857	038.382	045.242	056.817	065.244	074.277	084.369
002.642	013.021	023.734	031.062	038.542	045.267	057.005	065.582	074.626	084.406
002.842	013.148	023.746	031.487	038.750	045.708	057.065	065.671	075.109	084.534
003.028	013.458	024.014	031.559	038.840	046.772	057.190	065.681	075.342	084.825
003.474	013.520	024.044	031.885	039.014	047.016	057.663	066.805	075.739	084.891
004.256	013.880	024.228	032.618	039.168	047.172	057.693	066.943	075.901	085.374
004.479	013.898	024.647	033.353	039.200	047.479	057.923	066.981	076.262	085.795
004.484	014.483	024.800	033.557	039.284	047.589	058.008	066.982	076.273	085.905
004.494	014.634	024.946	033.777	039.387	047.687	058.114	066.999	076.423	086.207
004.998	014.694	025.034	033.956	039.787	047.770	058.756	067.119	076.910	086.331
005.459	015.216	025.574	034.223	040.082	047.865	059.190	067.192	077.677	086.535
005.721	015.612	026.298	034.353	040.513	050.232	059.559	067.226	077.932	086.600
005.762	015.925	026.466	034.357	040.549	050.806	059.736	067.311	078.090	086.915
005.763	016.093	026.539	034.885	041.198	050.911	059.768	067.444	078.830	087.021
005.906	016.170	026.647	034.928	041.341	051.218	059.988	068.032	078.853	087.657
006.867	016.185	026.725	034.955	041.526	051.226	060.144	068.261	078.996	087.910
006.944	016.196	026.916	034.966	041.843	051.391	060.300	068.901	079.809	088.639
007.269	016.243	027.459	035.025	042.014	051.635	060.335	069.282	080.017	088.750
007.698	016.778	027.752	035.375	042.035	051.746	061.254	069.386	080.053	088.836
007.783	017.090	027.911	035.580	042.046	052.287	061.609	069.770	080.114	088.929
008.171	017.677	028.048	035.942	042.083	052.524	061.688	070.433	080.249	089.533
					052.714	061.837	070.668	080.299	089.552

(გაგრძელება იქნება)

რკინისგზებზე

საალრიცხვო დარგის მუშაკთა გაერთიანება

ამ დღეებში შესდგა თბილისის კვანძის საალრიცხვო დარგის მუშაკთა გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო 200 კაცი. კრებაზე ჩამოყალიბდა საალრიცხვო დარგის მუშაკთა გაერთიანება.

კრებაზე გამოაქვეყნეს ამხ. სერგო ორჯონიკიძის წერილი, რომელშიაც ამხ. სერგო აღნიშნავს საალრიცხვო მუშაკთა გაერთიანების დიდ მნიშვნელობას ჩვენი აპარატის გაუმჯობესების საქმეში.

ფინანსიური მდგომარეობა

უკანასკნელ ხანებში ამიერ-კავკ. რკ. გზ. ტრანსპორტის მდგომარეობა ძლიერ გაუარესდა. ამის გამო მოსკოვში გაემგზავრა ამხ. პოზდეევი, რომელსაც განზრახვა აქვს გამოითხოვოს ამიერ-კავკ. რკინის გზებისათვის 15 მილიონი მანეთი. ამ თანხიდან 10 მილიონი მანეთი მოხმარდება რკ. გზის ექსპლოატაციის და 5 მილიონი მასალების შეძენას.

ბიბლიოგრაფია

ული ბიბლიოთეკა

„სოფლის კომუნისტი“ № 5

ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის ყოველთვიური ორგანო

გაზ. „ახალი სოფელი“-ს გამოცემა. გვ. 56. ფასი 20 კაპ.

ჟურნალის ეს ნომერი გამოვიდა განახლებული რედაქციით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი წერილები: ამხ. ფ. მახარაძის—„სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხი“, ამხ. ს. მამულიასი—„მასსების კულტურის და პარტგანათლების საკითხები“, ამხ. ვლ. ორჯონიკიძის—საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტი და სხვა.

ამხ. ფ. მახარაძე თავის პირველ წერილში ეხება მეტად მნიშვნელოვან საკითხს—სოციალისტურ საფუძველზე სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის შესახებ და აშუქებს მეურნეობის კოლექტიურ სისტემის თეორიულ საფუძველს. ავტორის დებულება ასეთია: ერთი მხრივ სახელმწიფოს ხელშია მრეწველობა, ტრანსპორტი, მიწა, საგარეო ვაჭრობა, საკრედიტო სისტემა, თითქმის მთელი საშინაო ვაჭრობა და ამავე დროს არსებობს სოფლად წვრილი, დაქსაქსული, სტიქიური ხასიათის მეურნეობა, რაც ბუნებრივად ეწინააღმდეგება ქვეყნის სოციალისტურ სამეურნეო სისტემას. ამ ორის სისტემის შორის არის წინააღმდეგობა, რომელიც ერთ ერთმა უსათუოდ უნდა დასძლიოს. და აი ჩვენ ვხედავთ სოფლის მეურნეობა გადადის მეურნეობის კოლექტიურ ფორმაზე; ასეთი კოლექტივების დაარსება, ზევიდან ყურადღების შედეგი არ არის, ისინი თავისთავად „სტიქიურად“ წარმოიშვენ ამ რამოდენიმე წლის წინეთ, მხოლოდ ამჟამად მათდამი გაძლიერებული ყურადღება დააჩქარებს ამ პროცესს. ავტორი იხსენიებს პირველ ყოფილ საზოგადოების კომუნებს და არჩევს ჩვენში დაარსებული გაერთიანებულ მეურნეობათა სახეებს.

პირველი წერილი საინტერესოა, როგორც აღძრულ საკითხის, ისე მისი დამუშავების მხრივ. შემდეგს წერილში ავტორი გვპირდება ჩვენში არსებულ კოლმეურნეობათა მდგომარეობის გარკვევას.

ამხ. ს. მამულია მასების კულტურის საკითხთან დაკავშირებით ეხება სამს საკითხს: კულტურის საკითხი ფართო მასსისათვის, პარტგანათლების მდგომარეობა ამჟამად და ღონისძიებანი მის გასაუმჯობესებლად, საგულისხმოა ავტორის აზრი: „ცუდი პრაქტიკული მომუშავეა ის—ვინც მთელს თავის დროს პრაქტიკულ საქმიანობას მოანდომებს... არაფრად არ ვარგა ის კომუნისტი... რომელიც არ ზრუნავს თეორიულ.. მომზადებაზე... ის რამდენიმე ხნის შემდეგ გადაიქცევა ზედმეტ ბარგად პარტიაში და პარტია იძულებული იქნება განთავისუფლოს თავი მისგან“. წერილი შედარებით ვრცელია. დიდი ნაწილი მოცემულია თეზისებში, რომლის დამუშავება სოფლად მომუშავე ამხანაგებს გაუძნელდებათ.

კარგად არის დაწერილი ამხ. ვლ. ორჯონიკიძის წერილი საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ. წერილში საფუძვლიანად არის გაშუქებული ბიუჯეტის შენების საფუძვლები და მისი თანხების მოძრაობა. წერილში არაფერი არ არის იმის შესახებ, თუ საერთოდ საქართველოში როგორ მიმდინარეობდა ადგილობრივი ბიუჯეტზე გადასვლა, არის თუ არა ის სავსებით გატარებული, ან რამდენი პროცენტია დარჩენილი.

კარგია ამხ. გ. ჯავახიძის წერილი. კომკავშირის მორიგი ამოცანები სოფლად. პარტიულ აღმშენებლობაში მოთავსებული სამი პატარა წერილი შესაფერისია ამ განყოფილებისათვის, მაგრამ ეს მასალა მაინც ცოტაა. საერთაშორისო მიმოხილვის სახით მოცემულია უკანასკნელი ამბების ინფორმაცია.

აღსანიშნავია ადგილობრივი ცხოვრება, ჟურნალის 10 გვერდზე მოთავსებულია სხვადასხვა სახის საინფორმაციო მასალები, ამ ნომერში ეს განყოფილება უფრო დასრულებულად არის წარმოდგენილი, მაგრამ იგი მაინც ცოტაა. საერთოდ ჟურნალის ეს განყოფილება არ იძლევა სრულს სურათს ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ მუშაობისას. არის ზოგიერთი მაზრები (შორაპანი, სიღნაღი, სენაკი, ქუთაისი), რომელთა საქმიანობა უფრო შუქდება ჟურნალში, მაგრამ არიან მთელი რიგი მაზრებისა (ოზურგეთი, ბათომი, თბილისი, ფოთი, რაჭა, სვანეთი, თელავი; გორი); რომელთა შესახებ ნაკლებად იწერება.

საჭიროა ამას მიექცეს შესაფერი ყურადღება, რათა ჟურნალმა განახორციელოს პირველ ნომერში დასახული ამოცანები: „საჭიროა, რომ „სოფლის კომუნისტში“ იბეჭდებოდეს მასალები არა მარტო სოფლის კომუნისტების საყურადღებოდ, არამედ თვით სოფლის კომუნისტებიც უნდა იღებდენ რაც შეიძლება ახლო მონაწილეობას. აქ იმათ უნდა გააცნონ თავიანთი მდგომარეობა პარტიას“ (ამხ. ფ. მახარაძის სარედაქციო წერილი: „სოფლის კომუნისტი“ და სოფლად მუშაობა“. „ს. კ. № 1.1925 წ.“).

საბიბლიოგრაფიო განყოფილება მდიდარია, მაგრამ ვრცელია, შეიძლებოდა საინტერესო წიგნაკების უფრო მოკლე დახასიათება.

ჟურნალში წარმოდგენილი ყველა მასალები ორიგინალურია, ჟურნალი გარეგნულადაც განახლებულია.

ამ ორგანოს სამი წლის სისტემატიური გამოსვლა აუცილებელ სახელმძღვანელოდ ხდის მას ადგილობრივ მუშაკთათვის. ხოლო საჭიროა სოფლად მომუშავე ამხანაგებმა ჟურნალში უფრო ცხოველი მონაწილეობა მიიღონ, ადგილობრივი პრაქტიკა მტკივნეული საკითხების ჟურნალის ფურცლებზე გაშუქებით.

ჯ. მ—ძე.

რადიო-გადაცემა

კვირა, 24 ივნისი

დღეს, 24 ივნისს, თბილისის 4 კ. ლოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

დილით: სასოფლო-სამეურნეო კრედიტის გამოყენება — მოხსენება ქართულ ენაზე.

ახალგაზრდობის კლასიურად აღზრდისათვის — მოხსენება ქართულ ენაზე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და ქალების მონაწილეობა მასში — ქართულ ენაზე.

გლეხთა რადიო-გაზეთი — ქართულ ენაზე.

რადიო-გადაცემა დაიწყება დილის 10 საათიდან.

საღამოთი: რადიო-კვანძის რადიო-გაზეთი—რუსულ და ქართულ ენებზე.

სვანეთის გეოგრაფიული მიმოხილვა—ქართულ ენაზე.

საუბარი აგრონომიაზე—ქართულ ენაზე.

მოხსენება ტრიპერზე — რუსულ ენაზე.

ორშაბათი, 25 ივნისი.

ბურჟუაზიული პრესა და მშრომელთა პრესა—ქართულ ენაზე.

ნათესების მდგომარეობა საქართველოში — ქართულ ენაზე.

ლენინი და კოოპერაცია—მოხსენება სომხურ ენაზე.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები — რუსულ და ქართულ ენებზე.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

ვის ჩამოერთვა სახლები

ბუაჩიძეს და შარაშანიძეს (ანტონოვის ქ. № 26), ნატალია ტერ-ნერსესოვს (ანტონოვის ქ. № 18), დარჩიაშვილს და ჩილაშვილს (საეკლესიო ქ. № 12), ნინა კენჭიაშვილს და მელანია ბილანიშვილს (ანტონოვის ქ № 14-12), მიხეილ ედიბერიძეს (ანტონოვის ქ. № 10), ალ. გრიგორიანცს (კარგარეთელის ქ. № 9), ტერ-გაბრიელიანს (საბჭოთა ქ. № 9), ოგანეზოვს და ნერსესოვს (ტურგენევის ქ. № 5), მელიქ—ნუბაროვს (კაჩუბეის ქ. № 5), გეურქ აღაბაბოვს (ნარიყალის ქ. № 9), მ. ტატიევს (ბაქოს ქ. № 7), ა. უშვერიძეს (ბაქოს ქ. № 12), ეკატერინე გასენკოს (ანტონოვის ქ. № 19), დანდუროვს და ლოხტიანცს (საეკლესიო ქ. № 16), ალინინბერგს (ბაქოს ქ. № 13), გარეგინ ტერ-დავიდიანცს (კალინინის ქ. №36-ა), მიხეილ ლაზარევს კალინინის ქ. № 14), თამარა ორბელიანს (კალინინის ქ. № 66 — 4), სათენიკ აკოპოვას (პლატონის ქ. № 3), ნიკოლოზ მზარეულიშვილს (კლარა ცეტკინის ქ. № 5), ვ. კობიევას (სანაპირო ქ. № 21), ქრისტ. მეცუგოვს (ნეკრასოვის ქ. № 7), სერგო ალიხანოვს (პლატონის ქ. № 1), ჩილინგაროვს და აბროიანცს (პლეხანოვის ქ. № 69), ბენკიანს (სანაპირო ქ. № 12), მარიამ ცვეტოვას (ბარნოვის ქ. № 37), ფონდეროგ ოლეოლეკს (სანაპირო ქ. № 7), მაშადი აბდულევს (რიყის ქ. № 87), ტერ-ავეტიკოვს (ვასერის ქ. № 15), ნინა დილმელაშვილს, ეკატერინე ხუციშვილს (ჩინგალის შესახვევი № 1), კარმაევს (ქუთაისის ქ. № 4), ალექსანდრე სარქისოვს (დიდუბის ქ. № 25), ძმ. მინასარიანებს (კლარა ცეტკინის ქ. № 3), კილიტჩევს (კრილოვის ქ. № 9), ელენა ბოლდიროვას (პლეხანოვის პრ. № 153), ვერა შაფრანოვას (პლატონის ქ. № 5), თედო მეჩიტოვს (მალიქოვის ქ. № 7), რევაზოვს (პლეხანოვის ქ. № 151), მაკრინე ოდიშარიას (მელიქოვის ქ. № 14), ტერტეროვს (აზირის ქ. № 9), არაქელოვებს (მელიქოვის ქ. № 12), ანა ხანაგოვას (ლენინგრადის და კამოს ქ. № 12—61), ბაღდან მხიტაროვს (ანტონოვის ქ. № 20) ტერ-არუტინოვს და შუბლაძეს (ანტონოვის ქ. № 24), ვარდო გორელაშვილს და სიმონ მიქელაშვილს (დესიმონოვის მოედ. № 9), კუჩკულიანცს (25 თებერვლის ქ. № 13), კამალოვას (ტეხნიკური ქ. № 2), კ. გეკელერს (რიყის ქ. № 42), ლამბაშიძეს და მჭედლიძეს (პასტერის ქ. № 15), შევარცოვს (პანასევიჩის ქ. № 26), შერვაშიძეს (ბაქოს ქ. № 14), შაუმიანს და ბაირამოვს (რიყის ქ. № 14), ედიშერაშვილს და შავგულიძეს (მოსკოვის ქ. № 11), მოგილევსკაიას (გურამიშვილის ქ. № 19), ანა თუმმალიშვილს (განჩარის ქ. № 24), ს. ტაგიევს (კრილოვის ქ. № 3), ნიკოლოზ მჭედლიძეს (არაგვის შესახვევი № 7), მიხ. ნიკიტენკოს (არაგვის ქ. № 14), კაცაძეს და ჰაციანს (ფოთის ქ. № 30), ელ. ზელინსკაიას (სუპ-კარაპეტის აღმართი № 10—12), ა. ძნელაძეს (პანასევიჩის ქ. № 24), ზ. საბატელოვას (ეთერის ქ. № 2), პეტრე კაზარიშვილს (არაგვის შესახვევი № 3), დეკაბრელოვიჩ-შარკოვსკაის (კამოს ქ. № 73), მარიამ ბაქრაძეს (განჩარის ქ. № 33), ს. ურუშაძეს (გურამიშვილის ქ. № 32), მარიამ დავითაშვილს და ცინცაბაძეს (მოსკოვის ქ. № 9), ნატალია ტერ-ნიკოღოსოვას (ბელინსკის ქ. № 41).

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 24 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ: კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ნიკოლოზ ცხვარაძე; რაშიდ გუსეინოვი; გიორგი ძნელაშვილი; იოსებ კრუგლოვი; გრიგოლ სვანიძე; ალექსი მესტიაშვილი და ს. არუთინოვი. გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: გრიგოლ კოტეტიშვილი; ლიდია კუტირლოვა; გიორგი ბერიძე, ვლადიმერ სანოვიჩი; ანნა ტერ-აკოპოვა, კლარა ხოგულოვა; მალვა გაბისონია. რუბენ ვარტიკოვი; თამარ კვანტალიანი; ბიქტორ კილაძე; გარეგინ აირაპეტიანი; ხინო კალატოზიშვილი; სირანუშ გევორქოვა, ნინო კარაბეკოვა; ლიუბა ლავროვა; ალექსი ვაბიჩენკო; მარიამ სმირნოვა; ლიუბა აგარონოვა; ნადეჟდა ილინა; გიორგი საფაროვი; დავით არაბიძე; კონსტანტინე შავდია; ვერა ოდიაშვილი; გიორგი ზადოლიანი; ვარლამ კედია; მიხეილ მამაცაშვილი, კონსტანტინე მუჯირი; ვალენტინა ჩუჟინოვა; ანნა, ლოსანოვა; ანნა ზაზრიევა; ნიორა ძე ჩიხლაძისა; თამარ ანდრეევა; ბერტ კუზნეცოვა; მელიქ ეგიაზაროვი; ელისაბედ ანთაძე და ევგენი მეტონიძე. სექციას ესაჭიროება ფიზკულტურის საკითხების მცოდნე ექიმი მაზრაში გასაგზავნად.

პარტიული კალენდარი

ორშაბათს, 25 ივნისს, დღის 12 საათზე ამხ. მამულიას კაბინეტში მოწვეულია სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ასრიბეკოვი, დ. კანდელაკი, ჩანკვეტაძე, ფირალოვი, დ. ცხაკაია, რუსაძე (მუშფაკი), ზისლუცკი (რუსული მუშფაკი), სურხატიანი (სომხ. მუშფაკი) და აღნიშნულ მუშფაკების ბიურო-კოლექტივის მდივნები.

—:—

სამშაბათს, 26 ივნისს, დილის 9 საათზე ც. კ. საგ.-საპრ. განყ. გამგის ამხ. მამულიას კაბინეტში შესდგება კომისიის სხდომა, რომელზედაც მოწვეულია შემდეგი ამხანაგები: გ. სტურუა, დ. კანდელაკი, ავაქოვი, ვ. ბერია, ა. კვირიკაძე.

დასწრება სავალდებულოა.

სამშაბათს, ა. წ. 26 ივნ სს, საღამოს 6 საათზე
(განათლების მუშაკთა სახლში კალოუბანის ქ. №), შესდგება
განათლების დარგში მომუშავე
ყველა კომუნისტების და კომკავშირელების და კომკავშირის სასკოლო უჯრედების მდივანთა
საერთო საქალაქო კრების მეორე სხდომა

სავალდებულოა კომპარტიის და კომკავშირის ყველა წევრ პედაგოგების, კომკავშირის სასკოლო უჯრედების მდივნების, განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის განათლებ. ს სახ. კომისარიატის, თბილისის პოლიტგანის, თბილისის განათლების განყოფილების კომუნისტ-მუშაკების და კომპარტიის და კომკავშირის თბილისის კომიტეტების და რაიკომების აგიტპროპგანყოფილებათა გამგეების დასწრება.

თბილისის კომიტეტის მდივანი ასრიბეკოვი.

ბათომიდან სტამბოლამდე

(მგზავრის შთაბეჭდილებანი)

12 აპრილი. საღამოს 6 საათზე ფრანგული გემი „კარამანი“ გავიდა ბათომიდან. მშვენიერი საღამოა. ზღვა თითქოს სთვლემს; მოდუნებულია და მორბილებულია ბრძოლის შემდეგ. მზე გადახრილია და ზღვის სივრცე წითელ სარკეთ გამოიყურება. ბათომის და ჩაქვის მიდამოები ოდნავ დაბურულია. ზევიდან აკაშკაშებული ბრილიანტებივით ბრწყინავენ აჭარის მშვენიერი მთები და თავის ჩრდილს ზღვაში მედიდურად აგდებდენ. შორიდან, ცის კიდურებიდან გამოიყურება კავკასიის ქედი, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან მოილტვის სამხრეთისაკენ და შეუმჩნევლად უერთდება ზღვის ნაპირებს. მზის ბურთი აალისფრათ შეღებილი სწრაფად ზღვის ძირში მიდის. გემი უკვე გავიდა გაშლილ ზღვაზე, უკანასკნელად გადახსნა ბათომის მიდამოებს და მანქანებმა ჭმენას მოუმატეს. ბათომის შუქურამ გაანათა. თანდათან ღამდება, მაგრამ აჭარისტანის ნაპირების სილამაზისათვის თვალი ვერ მოგვიშორებია. მოვემგზავრებით მე და ჩემი თანამგზავრი ამხანაგი ოსმალეთში, ვნახავთ სტამბოლს, ანგორას, ჩვენთვის უცნობ და უცხო ქვეყანას. ერთნაირ ცნობის მოყვარეობას' განვიცდით, მაგრამ რაღაც ნაღვლიანად ვართ. გემზე ბევრი ხალხია, ყველა თავის ენაზე ლაპარაკობს, ყველანი უცხოა ჩვენთვის. საბჭოთა კავშირის მიწა დავტოვეთ. მხოლოდ შორიდან ვუყურებთ მას. ნახევრამდის ცის გულში მიბჯენილი ლამაზი ქვეყანა, ზურმუხტის ფერი ცავ. წავიდეთ წინ და ვნახოთ იქაური ბუნება.

გემზე ჩვენს გარდა კიდევ ერთი აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის პასპორტით. ეს მოქალაქე „ცენტროსოიუზის“ წარმომადგენელია ლონდონში. თბილისში გამოუვლია მოსკოვიდან „საქართველოს ჩაი“-ში და მიემგზავრება ინდოეთში, ცეილონზე, იავაზე და ჩაის სხვა ქვეყნებში. გავიცანით ორი დღის შემდეგ. დანარჩენები უცხოელები არიან. სხვათა შორის, გემზე არიან 120-მდე სპარსელები. მოემგზავრებიან მექაში სალოცავად: ცოლებით, სამოვრებით, ქათმებით, ერბოთი, კვერცხებით და სხვა ხარახურით. მუდმივ ჩაის სვამენ, რაღაცას ხარშავენ, ჭრაკავენ, სულ ყბებს ამუშავებენ, თავისუფალ დროს ლოცულობენ. აი აგერ ერთმა სპარსელმა (როგორც ეტყობა მაღალი წოდების პირია — ყველა პატივცემით ეკიდება) ლოცვის წინ რაღაც ჯიბიდან ამოიღო, ნოხზე დასდო და დააცქერდა. კომპასი აღმოჩნდა. თურმე ნუ იტყვი, ზუსტი მეცნიერება აქაც საჭირო ყოფილა — მის გასაგებად, თუ სად არის აღმოსავლეთი. შემდეგ დაიჩოქა მუხლებზე, აღაპყრო ხელები ზევით, ტუჩები აამაცუნდენ და მოლოცვილი პირქვე დაემხო. ლოცვის დროს ზოგიერთები სტირიან. ერთ-ერთი იწყებს რაღაც გრძელ საგალობელის თქმას, დანარჩენები კი ყურს უგდებენ. ხედავ—მგალობელი თანდათან აღტყინებაში შედის. მსმენელები იწყებენ ტირილს. სტირიან გულამომჯდარი, ზლუქუნით, ცრემლებით, ცხვირისა და თვალების ფშვნეტით, თავჩაკიდებული და გულის ტკივილით სავსენი. შემდეგ სხვამ დაიწყო გალობა და ახლა პირველმა იწყო ტირილი. მორჩენ თუ არა ლოცვას, საჩქაროდ დააწყობენ, მიირთმენ ისევ ფეხები და ჩაის მიუჯდენ. ცოლები მთელ ამ ცერემონიაში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ, არც ლოცვის და არც საჭმელის კეთებით თავს არ იწუხებენ. სხედან ერთ ალაგას და მზამზარეულზე არიან.

საღამოობით ჩვენს გემზე დიდი დროს ტარება არის. ვახშმისათვის ქალები მოიკაზმებიან ხოლმე შესაფერისი ტუალეტებით, მამაკაცებიც აგრეთვე იცვლიან დღიურ ტანსაცმელს. ნავახშმევს გრამაფონის ხმაზე ჩაღლება ფოქსტროტი და ჩარლსტონი, ჩარლსტონი და ფოქსტროტი. კაპიტანი მხიარული კაცია. საღამოს ის ხსნის ხოლმე. თუ კარგი და თბილი საღამოა, ცეკვა კაიუტ-კომპანიიდან გარედ გადადის — დერეფანზე. უცქერით მე და ჩემი ამხანაგი მოცეკვავე ხალხს, ანატოლიის ნაპირებს, დაბლა სართულში მყოფთ, გემის დაბალ მოსამსახურეებს. რომელნიც სულგანაბული აკეთებენ თავის საქმეებს, და შედარებების ბევრნაირ ფიქრებს გვეღვიძებენ თავში.

ჩვენი კაიუტა კარგია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს: გვერდით სამანქანო განყოფილება არის და სულ რახარუხი მოისმის. მანქანების ხმაურობა რომ არ იყოს, სრულიად ვეღარც შევამჩნევდით, რომ გემზე ვართ. ჩვენი უზარმაზარი „კარამანი“ სრულიად არ იმჩნევს ტალღებს. მიზმორავს მძიმედ და ზანტად. არ იწუხებს თავს, რომ ღამე ქარი ამოვარდა და აბობოქრებულმა ზღვამ ფეხქვეშ ვეებერთელა ტალღები შეუგორა. დილის ხუთ საათზე ტრაპიზონის ნავთსადგურში შევედით. სინამდვილეში აქ არავითარი ნავთსადგური არ არის. გემი მოშორებით ჩერდება ნაპირიდან. ყოფ. მეფის ხელისუფლებას 1916-17 წლებში დაეწყია ნავთსადგურის კეთება, ნაპირიდან კარგი მოზრდილი ჯებირი გამოუყვანია, მაგრამ ვერ დაუმთავრებია. მას შემდეგ ზღვას ეს ჯებირი იქა-აქ გაურღვევია და ეხლა ასეთ მდგომარეობაშია. ზღვიდან ტრაპიზონი ლამაზია. ქალაქი გაშლილია ფერდობზე და ზევიდან მაღალი მთა ადგია. მცენარეულობა ქალაქში ბლომად მოსჩანს და მწვანე ფონზე თეთრი ქალაქი, განსაკუთრებით თეთრი სახლები ლამაზ შთაბეჭდილებას ახდენს.

ჩვენს კონსულს ვთხოვეთ ნაპირზე გადაყვანა, რომ დაგვეთვალიერებინა ქალაქი. ამხ. ეტინგოფმა მაშინვე გამოგვიგზავნა ნავი და ის თვითონ სიამოვნებით შეგვხვდა. ტრაპიზონს არა უშავს, ლამაზი ქალაქია. თითო-ოროლა სწორი ქუჩები, მაგრამ ძალიან მტვერიანი. ქუჩები ღარიბია მცენარეებით. ზღვიდან რომ ხეები დავინახეთ, ისინი ეზოებში აღმოჩნდნენ. აქა იქ კარგი სახლები გამოიყურებიან. ფანჯრებს გარედან ბადეები აქვთ ხშირად გაკეთებული ისე, რომ შიგ ვერაფერს ხედავთ. ეს იმისთვის, რომ ცნობის მოყვარე გამვლელებმა ქალებს ჭვრეტა არ დაუწყონ. სამაგიეროდ იქიდან ყველაფერი იხედება ქუჩაში.

პარასკევი დღეა. მუსულმანები უქმობენ. სავაჭროები დაკეტილია, მაგრამ ქალაქის მოედანზე ბაზრობაა. საქონელი ბევრი არაფერი. ავტომობილები, ავტომობილები და... რია. ავტომობილები, ავტომობილები და... ეტლები არ მოსჩანან. ავტომობილები შედარებით იაფია. შოფერები წინად მეეტლეები იყვნენო, მაგრამ ავტომობილის ყოფნა უფრო ხელსაყრელიაო, როგორც გავს. ავტომობილები ოსმალეთის ქალაქებში ძალიან გავრცელებულია, სხვა ქალაქებშიც — კერასუნდსა, სამსუნსა, ორდუსა და ინებოლიშიც ბევრი დავინახეთ.

საკონსულოში ჩაით გაგვიმასპინძლდა. მოიკითხეს ამხანაგები, ახალი ამბები, საერთო ნაცნობები და სხვა. თუმცა ფოსტა საბჭოთა კავშირიდან დიდი ხანია არ მიუღიათ, მაგრამ ჩვენს ქვეყანას მოწყვეტილნი მაინც არ არიან. რადიოს საშუალებით ყოველ საღამოს უსმენენ თბილისს, მოსკოვს, ლონდონს და სხვა დიდ ქალაქებს. მიუხედავად ამისა, ყველა ცოცხალი კაცის დანახვას საბჭოთა კავშირიდან სიამოვნებით ეგებებიან. წავედით ქალაქს გარედ, სასაფლაოზე. მთელი ქალაქი იქით მიეშურება. ეს ყოფილა აქ საუკეთესო გასართობი ადგილი. ღალავან შიგნით ბევრი ხალხია, თითქოს მთელი ქალაქი აქ წამოსულა. ქალები, კაცები, დიდები და პატარები. ყველანი აქ არიან. ყოველ ფეხის გადადგმაზე სხედან ჯგუფ-ჯგუფად. მამაკაცები და გრამაფონი უდგათ. როგორც გავს, გრამაფონი აქ პატივცემულია. თბილისში გრამაფონს სალდათის ბაზარზე თუ გაიგონებს კაცი, თორემ სხვაგან არსად. ქალები, შავად ჩაცმული, პირახდილები ცალკე სხედან, ინტერესით გვაყოლებენ თვალს. გაზაფხული აქ ლამაზი სცოდნია. იითი და სხვა ყვავილებით მოფენილია მინდვრები. ყვავილებს ჩვენ თანამგზავრ ნორვეგიელ ქალისათვის ვკრებთ. რომ კაცმა თქვას, მე და ჩემი ამხანაგი ამ ქალის ვალს ასე ადვილად ვერ გადვიხდით. უმისოდ გემზე ჩვენ [illegible] ვიყავით. გემზე რუსულის მცოდნე არავინ არის, მოსამსახურეებმა მხოლოდ თავისი ენა იციან. მუნჯურად ლაპარაკი ვცადეთ, მაგრამ ბევრი არაფერი გამოვიდა. ეს მამაცხონებული ქალი 7 ენაზე ლაპარაკობს: ინგლისურად ინგლისელებთან და ამერიკელებთან, ფრანგებთან ფრანგულად, ნემეცურად (გემზე ორი გერმანელი პროფესორია შუა აზიიდან მომავალი). ნორვეგიულად, რუსულად, პოლონურად და რა ვიცი კიდევ. ქართული ლაპარაკი არ იცის, მაგრამ იმდენი აქვს ნასწავლი, რომ გრძნობები გამოხატოს: გენაცვალე, მოდი ჩემთან ბიჭო, კაცო და სხვა ასეთები. როგორც სჩანს, ჩვენ ყმაწვილებს ამ ქალთან სულ სანტიმენტალურ თემებზე ჰქონიათ ლაპარაკი. მღერის მრავალჟამიერს, თავს ჩემოს, მხოლოდ შენ ერთის და ჩილას. ამ ქალაქის გაცნობის შემდეგ მე და ჩემი ამხანაგი გემზე თავს არხეინად ვგრძნობთ. აღარ ვშიშობთ, რომ უსადილოდ ან უვახშმოდ დავრჩებით. ვიცით—როდის უნდა დავჯდეთ და როდის უნდა ავდგეთ, როდის გავიცინოთ და როდის მოვიწყინოთ, ერთი სიტყვით, თავი ქუდში გვაქვს, აღარაფერის გვეშინია.

რაც მოვასწარით საღამოს ხუთ საათამდე, დავათვალიერეთ. კლდეებზედაც ავფოფხდით და გამოქვაბულში ვნახეთ ძველი მონასტრის ნაშთები, ბერძნების დროის. ნახატები კარგად შენახულა. ეტყობა, ხალხი სალოცავად დადის სანთლების ნამწვავები ბევრია მიყრილი ხატის თაროზე. ტრაპიზონს მაღლიდან დავცქერით. კარგად მოსჩანს ქალაქის მიდამოები და შორეული ადგილები ტიტველი მთები და დახნული მინდვრები ლურჯ ზღვაში მომხიბვლელია. დავეშვით ძირს და ისევ ხალხში გავერიეთ. სურათის გადაღება განვიზრახეთ, მაგრამ ისე მოხერხებულად გვინდოდა მოგვეწყო ეს საქმე, რომ სურათში მათ შეუმჩნევლად თურქი ქალებიც გამოსულიყო. თითო-ოროლას გამოკლებით ყველანი პირახდილები არიან, შავგვრემანები და ხშელები, მსხვილი ფეხებით. სქელი ქალები და მოსული ვაჟკაცები განსაკუთრებით ლამაზები არიან, ლიპებიანი, როგორც აქ ეძახიან. ქალები მიჰყვნენ ჩვენ განზრახვას. სურათის გადაღების დროს ყველამ თავი გაისწორა და ვისაც პირი ახდილი არ ჰქონდა, იმათაც ახადეს.

ამხანაგებს გამოვემშვიდობეთ და გემზე გამოვეშურეთ. გემი კიდევ იტვირთებოდა. მის გაუმაძღარ მუცელში მთელი დღე იგზავნებოდა თამბაქო, ნედლი ტყავეულობა, კვერცხები და სოფლის სხვა ნაწარმოებნი. ასევე მეორდებოდა სხვა ნავთსადგურებშიაც. გემს გაჰქონდა მხოლოდ ნედლეულობა. მართლაც, ოსმალეთი უაღრესად სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. არც ერთ ქალაქში ქარხნის მილი არ დაგვინახავს. საყვირის ხმა მხოლოდ ჩვენი გემიდან მოისმოდა.

საღამოს 8 საათზე „კარამანი“ მოიხსნა, ჩვეულებრივად დაიბღავლა და ხვნეშით ცხვირი სტამბოლისაკენ მოაბრუნა. გავიარეთ კერასუნდე, სამსუნი, ორდუ, ინებოლი. ნავთსადგურები არსად არ არის. გემი ნაპირად მოშორებით ჩერდება, აქაც იგივე სურათია. შორიდან მოსჩანს კიდევ უფრო თეთრი ქალაქები, ვიდრე ტრაპიზონი. გემი მთელი დღე იტვირთება ჩვეულებრივად ნედლეულობით. საღამოობით გემზე ქალაქებიდან სტუმრად მოდიოდენ ევროპიელები. მოდიოდენ დროს გასატარებლად, ფოქსტროტისათვის, როგორც მაგ. კლუბში. როგორც ეტყობა, ზღვის ნაპირად მდებარე ქალაქებში ძალიან მოწყენილობა არის, სიწყნარეა მომაბეზრებელი. ამიტომ ვისაც საშუალება აქვს და ნაცნობობა ხელს უწყობს, მიეშურებიან მოსულ გემებზე.

ანატოლიის ნაპირები ძალიან ერთფეროვანია. არსად დავინახავს ტყეებს. მთა-გორიანი ადგილები, კლდოვანი და უმცენარო. თვალი ისვენებს ცოტათი ახლად ამწვანებულ მინდვრებზე და რიგრიგად ჩამწკრივებულ ნათესებზე. ბოსფორისა და ინებოლის შუა, შორის, სადაც დაკარგულში მოსჩანს მთის გრეხილი, რომლის კალთები ზღვაში იმწყოვრად ეშვება, მაგრამ ისიც ტიტველია თითქმის.

მაგარი ქარი ჰქრის. გემის დერეფანზე გაჩერება საძნელოა; უზარმაზარი ტალღები გემის გვერდებში თავგამეტებით ეხეთქება, მაგრამ „კარამანი“ შეუჩერებლივ მიდის წინ, ფრთხილად სჭრის ზღვას და მძიმედ ირწევა. რომ მოუმატოს, არ ვიცი რა იქნება, მაგრამ ასეთი ღელვა ცოტათი სასიამოვნოც არის. ზღვის ღორებს ამ აბობოქრებულ ზღვაში მარულა გაუმართავთ. გემს გარშემო დასტრიალებენ ჭირისუფლებივით. ზოგიერთები გემის ცხვირთან მოსულან და ზურგზე დაწოლილი მიგვიძღვიან წინ, თითქოს თეთრი მუცელით გზას გვინათებდენ. ეტყობათ, კარგ გუნებაზე არიან.

აბობოქრებულ ზღვას მზეზე ლაპლაპი გააქვს. სხივებს ტალღები სარკესავით იქით-აქეთ პრჭყალავენ თავის. მარცხენა მხრიდან ხმელეთს უახლოვდებით. გემები და იალქნიანები ხშირად გვხვდებიან იქით-აქეთ მომავალი. ამდენხანს კი არც ერთი არ შეგვხვედრია. თურმე ბოსფორში შევდივართ, უკვე მის ყელში ვართ და ამით აიხსნება გემების სიმრავლე. სადილი მივატოვეთ და ყველანი გარედ გავედით, რომ უფრო კარგად და მკაფიოდ დაგვეთვალიერებინა ეს ყველა ხალხებისათვის და ყოველ დროში საოცნებო ბოსფორი. მართლაც, რომ ვიწრო შუკა ყოფილა. მომაგონდა პავლე მილიუკოვის და როდზიანკოს პროგრამული სიტყვები იმპერიალისტური ომის წინა დღეებში სახელმწიფო სათათბიროში, რომ ეს სრუტე—ბოსფორი, როგორც ჰაერი ადამიანს, ისე სჭირდება რუსეთს! რომ ეს გასაღები შენ საკუთარ სახლში შემოსასვლელი ოთახისა. და განა მარტო ძველი რუსეთი ოცნებობდა ბოსფორზე. ინგლისმა განა ცოტა „ოფლი დაღვარა“ დარდანელისათვის. ვისაც სრუტე იმას უნდა ჰქონდეს, ვისაც ეხლა აქვს. მარჯვნივ ევროპა, მარცხნივ აზია. შუაში პატარა ზოლი, გამაერთიანებელი შავი და ხმელთა-შუა ზღვისა. რაღაც 1 კილომეტრი და ალაგ-ალაგ კიდევ ნაკლები მანძილი ჰყოფს ამ ორ ხმელეთს. სხვა არა იყოს რა, ეს სრუტე რომ რომელიმე დიდი იმპერიალისტურ სახელმწიფოს ხელში იყოს, ალბად ნაპირებიდან საათში იქ ვიქნებოდით, მაგრამ უკაცრავად, მოვი-სათებოდა, ყველა გამვლელს პატარა თევზებივით ნაპირზე ამოათრევდა. გვითხრეს, რომ ზღვის დენა სტამბოლისაკენ არის და ერთ საათში იქ ვიქნებით. მაგრამ უკაცრავად. მოვიდა კონტროლი, სანიტარული ექიმები და დაინახეს თუ არა სპარსელები—გემი კარანტინის ქვეშ გამოაცხადეს. მოაბრუნეს ჩვენი გემი უკან და გაგვაჩერეს ლაზარეთის მახლობლად. 3—4 დღე იქნებით აქ გაჩერებული, სანამ ყველა სპარსელებს ლაზარეთში არ შეამოწმებენო. კარგი ნუგეშია. სტამბოლი ცხვირის წინ გვაქვს, ხელის მისაწდომზე და ოთხი დღე შორიდან უყურეთ. ვერ ვართ კარგ გუნებაზე. სტამბოლში ჩვენს კონსულს წერილი გაუგზავნეთ, ვსთხოვეთ, რომ როგორმე მოეხერხებინა ჩვენი დახსნა, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე ყოფილა. ახალი კანონით, ოსმალეთში თუ გინდ ერთი ავადმყოფიც არ იყოს, თუ გემი ეჭვის ქვეშ არის, კარანტინს ვერ აიცილებს. რადიო დაბეჭდეს და წერილის გაგზავნა აგვიკრძალეს: სულ ერთია არაფერი გამოვა და ტყვილა უბრალოდ შეაწუხებთ თავსაც და სხვასაცო. ბოსფორში ორი დღე-ღამე დავყავით. ბოსფორი უკვე შესახედავად გვეპარებოდა. ჩვენს ახლოს იქავე, ევროპის ნაპირზე „ბეიუკდერეში“ ჩვენი წარმომადგენლობის და სტამბოლის საკონსულოს საზაფხულო აგარაკებია. ჩვენები ცხოვრობენ იქ, მაგრამ რით გინდა, რომ შეეტყობინო. სპარსელები შეამოწმეს და გახსნეს ლაზარეთში სუყველანი გამოუკლებლივ, გადმოსხეს ისევ გემზე და ჩვენც გზა დაგვილოცეს.

არ იცი, რომელ მხარეს უყურო. ორივე ერთნაირად ლამაზი და მომხიბვლელია. ორივე ნაპირს მთები ახლავს გაშენებული ბაღებით, მინდვრებით, ამწვანებული წიწვიანი და სამხრეთის მცენარეებით. მაგრამ მარცხენა ნაპირი აზია, რაღაც უფრო ლამაზად გამოიყურება. ჩვენი გემი ეხლა უფრო ფრთხილად და თავდაჭერით მიდის სრუტეში. გემები, კატერები. იალქნიანები და ნავები ბუზივით ირევიან ერთმანეთს საყვირით სალამს აძლევენ და გვერდს უვლიან. გასაჭანი არსად აქვთ. ორივე ნაპირზე, ეტყობა, მშვენიერი გზატკეცილებია. ავტომობილები წამწამ აჭრიან. მარჯვენა ნაპირზე ტრამვაიც დავინახეთ. უახლოვდებით სტამბოლს. პირველად თვალში აიასოფია გვხვდება, მაღლიდან გადამდგარი ბოსფორსა და მარმარილოს ზღვის გაშლილ ჰორიზონტზე თავისი 4 მაღალი მინარეთით. მარცხნივ, აიასოფიის პირდაპირ სრუტეს მეორე ნაპირზე მოსჩანს სკუტარი—ნაწილი სტამბოლისა აზიურ ნაპირზე. ბოსფორის ორივე ნაპირი მთლიანად მოფენილია მშვენიერი აგარაკებით. ზაფხულობით სტამბოლის მთელი ბურჟუაზია აქეთ მოეშურება საცხოვრებლად. მიმოსვლა ქალაქთან კარგად არის მოწყობილი. ყოველ ხუთ წუთში სპეციალური გემები მიდი-მოდიან და მოაგარაკენი არავითარ უხერხულობას არ გრძნობენ. სტამბოლში ისე შედიხარ, რომ ვერც ატყობთ—სად თავდება აგარაკები და სად იწყება ქალაქი; ქალაქი და აგარაკები გაერთიანებულია.

გემი ზონზინით მიადგა ნაპირს. თანამგზავრებს გამოვეთხოვეთ და ბაგაჟი მუშებს მივეცით. ერთი მატროსთაგანი გემზე განსაკუთრებული ყურადღებით გვეკიდებოდა—დამშვიდობების ჟამს ჩუმად გვითხრა, რომ კომუნისტი ვარო. ალბად კარგი ხანია უნდოდა ეს ეთქვა, მაგრამ უკეთესი დრო ვერ შეარჩია. საბაჟოში ბაგაჟი არ გაუსინჯავთ, ზრდილობიანად შეგვხვდნენ და გაგვიშვეს.

ა. კ.

სტამბოლი.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები დიმიტრი და ელენე მგალობლიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს, რომ ა. წ. 22 ივნისს გარდაიცვალა პოლიტექნიკურ ფაკულტეტის სტუდენტი

დათა მგალობლიშვილი

გამოსვენება 24 ივნისს, ალექსანდროვის საავადმყოფოდან 10 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 2842

ქ. თელავის სტუდენტები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 22 ივნისს, გარდაიცვალა დაუვიწყარი მეგობარი, ტ. ს. უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკ. 1-ლი კურსის სტუდენტი

დათა მგალობლიშვილი

გამოსვენება დღეს, 24 ივნისს, დილ. 10 საათზე, ყოფილ ალექსანდროვის საავადმყოფოდან. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2835

დამწუხრებულნი: დედა თებრონე, დები: აგრაფინა და მარო, ძმები, აქვსენტი და ვალოდია აუწყებენ საზოგადოებას, რომ 21 ივნისს, უდროოდ გარდაიცვალა მათი საყვარელი

სერგო სიმონის-ძე ნინუა

გამოსვენება დღეს გერმანელების საავადმყოფოდან დილის 11 საათზე, დასაფლავება ვერის ახალ სასაფლაოზე. 2838

ბიძა ივანე დავითის-ძე პაპავა შვილებით: ლიდია, ქსენია, ივდითი, ელენე და ალექსანდრე, რძალი გოგოცა და სიძე ნესტორ გეგია აუწყებენ საზოგადოებას, რომ 21 ივნისს, უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი დეიდაშვილი

სერგო სიმონის-ძე ნინუა

გამოსვენება დღეს, გერმანელების საავადმყოფოდან დილის 11 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2838

დამწუხრებულნი და ლუბა, სიძე ვლადიმერ და დისწული მედეა მოსეშვილები აუწყებენ საზოგადოებას, რომ 21 ივნისს, უდროოდ გარდაიცვალა მათი საყვარელი

სერგო სიმონის-ძე ნინუა

გამოსვენება დღეს გერმანელების საავადმყოფოდან დილის 11 საათზე, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2838

---

22 ივნისს გარდაიცვალა

ნიკო ბაადურის-ძე ჩერქეზიშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას გულდამწვარი მეუღლე ივლიტა ალექსანდრეს ასული, შვილი კონსტანტინე, შვილისშვილები—კოლია ალექსანდრეს ძე და კირა ალექსანდრეს ასული ჩერქეზიშვილები, ქალი ნინა კალანდარიშვილი ქმრით კონსტანტინეთი და ცოლისძმა რაჟდენ ჯანდიერი. გამოსვენება ახალ ვერის სასაფლაოზე, კალანდაძის ქუჩა № 5. 24 ივნისს, 4 ნახ. საათზე. 2833

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი მშობლები: ელენე აქვსენტის ასული და დიმიტრი თეიმურაზის ძე ჩოჩუა პატარა თეიმურაზით აცნობებენ ნათესავთ, რომ შაბათს, ივნისის 23-ს, ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი შვილი

ნათელა ჩოჩუა

დაკრძალვის დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული. (შ)

გულდამწვარი შვილები ოლღა აბაზაძისა კოსტა, იოსები, დათიკო და შალვა, რძლები, ელისაბედი, ეკატერინე და ნატალია, შვილისშვილები, ელენე, დავით, შუშანიკა, აჩიკო და კოტიკო აუწყებენ საზოგადოებას, თავის საყვარელი დედის, დედამთილის და ბებიას

პოლიშკა როსტომის ასული გუნცაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 26 ივნისს, 4 ნახ. საათზე ალექსანდროვის ქ. № 29. სამოქ. პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. 2832

გრანდიოზული ფილმი

ორშაბათიდან 25 ივნისიდან კინო-ეთერში და მინიონში

ეკატერინე მეორ[illegible]ს ეპოქიდან „ბულატ ბატირ"

დადგმა—ი. ტარიჩის. მთავარი ოპერატორი—გ. გიბერი.

სურათი ყველგან დიდი წარმატებით მიდიოდა.

გაუქმებულია ყოველგვარი კონტრამარკები. ნ. 1309

საქართველოს სახკინმრეწვის გამოშვება

მალე კინო-თეატრებში აპოლო--სოლეი--მინიონ

მხატვრული სურათი

ორფეხნი (გრიგალი)

დადგმა ივ. პერესტიანის

ოპერატორი ა. დ. დიღმელოვი

მთავარ როლებში: მარიამ და ალექსანდრე შირაი, მ. იაკობინი, ი. კრუჩინინი

თვალყური ადევნეთ დადგმას

ნ. 1309

კერძო ფირმების მიერ გამოშვებულ მდარე ღირსების გაზიან (შუშხუნა) ღვინოებთან საბრძოლველად, მსხვილ მომხმარებელ კოოპერატივების მოთხოვნით „საქართველოს ღვინო"-მ გამოუშვა

შუშხუნა (игристое) ღვინო ანკარა

დამზადებული ბაღდადის რაიონის საუკეთესო ხარისხის ღვინოებიდან.

ანკარა განირჩევა თავის მშვენიერი გემოთი, სურნელებით და სიაფით.

ფასი 1-10 კაპ.

იყიდება „მუშკოოპი"-ს, „ზაკტპო"-ს და „ზაკვოენპო"-ს ყველა მაღაზიებში.

პროვინციელ კოოპერატივებმა დაკვეთა გამოგზავნონ უშუალოდ თბილისში, გოგოლის ქ. № 63. მათ საქონელი დაეგზავნებათ 15 პროც. დათმობით.

ნ. 335 „საქართველოს ღვინო".

ФАБР. МАРКА
Утвержд. В.С.Н.Х. СССР за № 2561

АКЦИОНЕРНОЕ ОБЩЕСТВО „МУЗЫКА"

Харьков, пл. Р. Люксембург № 10

Производство и продажа музыкальных инструментов

ГАРМОНИИ

2-х, 3-х рядные, венские и хроматические. НАРОДНО-СТРУННЫЕ и ДУХОВЫЕ музыкалнные инструменты в громадном выборе. Требуйте прейскурант № 3, высылается за 3 восьмикопеечные марки

1—13

		[illegible]
განთიადი (ნაძალადევში)	მსოფლიო ფილმი პარიზელი ქალი თეატრში არის ვენტილიაცია	ნიღაბი ახდილია ბელვედერის ჩრდილები
საზაფხულო ეთერი	ბედნიერების ძიებაში პროგრამის გარდა „გაზაფხულის დღის გახსნა"	გრანდიოზული ფილმი ბულატ ბატირ
საზაფხულო დარბაზი	მხატვრული ფილმი ცოლი პროგრამის გარდა „გაზაფხულის დღის გახსნა"	შეთქმული მადსალიუნა
საზაფხულო პალასი	საუკეთესო სურათი თავზე ხელაღებული 1 და 2 სერია ერთად ჩარლზ ხეტჩისონის მონაწილეობით	მეორე კვირა 1 და 2 სერია თავზე ხელაღებული
აპოლო	მაბულ (სისხლის მორევი) პროგრამის გარდა „გაზაფხულის დღის გახსნა"	ჩარლზ რეის მონაწ. დარტყმა
სოლეი	ჩარლზ რეი სურათში დარტყმა	უკანასკნელად თბილისში ვარიეტე
მინიონი	უკანასკნელი დღე მშვიდობით ახალგაზრდობავ	გრანდიოზული ფილმი ბულატ ბატირ
პროლეტარი ავლაბარი	უკანასკნელი 5 და 6 სერია საიდუმლოებათა კუნძული	აელიტა

[illegible] მალე ორფეხნი (გრიგალი) 0—21

საზაფხულო კინო

დარბაზი

ხვალ ორშაბათიდან 25 ივნისიდან

გრანდიოზული ფილმი

„ЗАГОВОРЩИК МАДСАЛЮНА"

მთავარ როლებში: გრეტა რიგარდ აგე რანე

ნ. 1304

მედსანშრომის საზაფხულო ბაღი (ყოფ. სტელა)

დღეს, 24 ივნისს,

დიდი სიმფონიური კონცერტი

მ. ი. ჩერნიახოვსკის ხელმძღვ. კამერულ თეატრის მომღერალ ქალის ე. ზაქის მონაწ. სტრავინსკი (პირველად თბილისში „პეტრუშკა")" ნაპრავნიკი, მუსორგსკი. რიმსკი-კორსაკოვი (ორკესტრის შემადგენლობა გადიდებულია) დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს ვერ შეუშლის

სამშაბათს, 26 ივნისს, კონცერტი მუშათა ახალ კლუბში ნ. 1306

სააქციო საზოგადოება „ხლებოპროდუქტ"-ის ამიერკავკასიის საოლქო კანტორა კანტორის შენობაში ქ. თბილისში, შუა ბაზარი № 27, შუადღის 12 საათზე ნიშნავს

საჯარო ვაჭრობას

1928 წლის 28 ივნისს—საზოგადოების დიდუბის საწყობის ეზოში ქვაფენილის დაგების სამუშაოთა შესრულებაზე და 1928 წლის 3 ივლისს—ქალაქში ტვირთების გადატანაზე.

აღნიშნულ სამუშაოთა შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების კანტორაში ყოველდღე დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. ნ. 1299 3—3

იყიდება

გიორგი გოგელიასეული სახლი

ქალ. ოზურგეთში, ალმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში, თბილისი, რუსთაველის პრ. № 34. და სამტრედიაში ლასა გოგელიასთან.

0—15 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

დაკარგა: პირადობის მოწმობა თამარ ბიწაძეს სახელზე, ჩ. გ. 2834

დაკარგა: სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი ფორმა № 4 № 12648 ნიკოლოზ დანელიას სახელზე, ჩ. გ. 2830

დაკარგა: განათლების კავშირის წიგნაკი № 19111 ლიდა (ლიუდმილა) შენგელიას სახელზე, ჩ. გ. 2831

დაკარგა: მეტრიკული ამონაწერი თამარ იასონის ასულის გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 2839

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ●●● ●●● ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 2—15

იყიდება

ექვსი ახალი სადურგლო დაზგა და სადალაქო სავარძლები

მისამართი: პლეხანოვის პრ. № 120 ლუარსაბ ცხვარაძე

დაკარგა: მეტრიკული ამონაწერი ციალა ხადურიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2836

დაკარგა: წყალდიდობისაგან დაზარალებულობის მოწმობა № 972 ვასილ დრობიშევის სახელზე ჩ. გ. 2840

დაკარგა: პირადობის მოწმობა გაცემული ქუთაისის რკინის გზის საყუდის მიერ ნიკოლოზ ესტატესძე შენგელიას სახელზე, ჩ. გ. 2841

დაკარგა: სასურსათო ბილეთი № 0860709 გაცემული ა/კ. რკ. გზ. სამმართველოს მიერ, დიმიტრი ჯაკობიას სახელზე, ჩ. გ. 2846

დაკარგა: მატრიკული წიგნაკი № 846 გაცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ქეთევან თეთრაძის სახელზე, ჩ. გ. 2846

დაკარგა: რკინის გზის კავშირის წიგნაკი № 10986 და „ზაკტპოს" საწევრო წიგნაკი № 42440, შალვა იორდანესძე მესხიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2845

Издательство „ЗАРЯ ВОСТОКА".

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 2-ое ПОЛУГОДИЕ 1928 г.

ЗАРЯ ВОСТОКА

НА БОЛЬШУЮ ЕЖЕДНЕВНУЮ КРАЕВУЮ ГАЗЕТУ

ЗАРЯ ВОСТОКА

Орган Закавказского Краевого Комитета ВКП (б) и Закавказского Центрального Исполнительн. Комитета Советов Рабочих, Крестьянских и Матросских Депутатов.

УСЛОВИЯ ПОДПИСКИ:

ОБЩАЯ (Для учр. и частн. граждан)	ЛЬГОТНАЯ (Для рабочих и служащих)
На 6 мес.—7 р.	На 6 мес.—5 р. 50 к.
„ 3 „ —3 р. 60 к.	„ 3 „ —2 р. 85 к.
„ 1 „ —1 р. 25 к.	„ 1 „ —1 р. — к.

На ежемесячный журнал политики, экономики и культуры

Большевик Закавказья

(орган Заккрайкома ВКП (б)

Подписная цена:

На 1 мес. — р. 40 к.
На 3 мес. 1 р. 15 к.
На 6 мес. 2 р. 20 к.

НА РУКОВОДЯЩИЙ ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ДВУХНЕДЕЛЬНИК

БОЛЬШЕВИСТСКАЯ СМЕНА

(ОРГАН ЗАККРАЙКОМА ВЛКСМ).

ПОДПИСНАЯ ЦЕНА:

На 6 мес.—2 р. 20 к.
„ 3 „ —1 р. 15 к.
„ 1 „ — 40 к.

На литературный ежемесячник

НА РУБЕЖЕ ВОСТОКА

(Орган Закавказской Ассоциации Пролетарских Писателей).

На 1 мес. — р. 75 к.
„ 3 „ 2 р. 10 к.
„ 6 „ 4 р. — к.

ЗАКАЗЫ и ДЕНЬГИ на все ИЗДАНИЯ

направляйте в главную контору Издательства „ЗАРЯ ВОСТОКА": Тифлис, пр. Руставели, № 8, во все экспедиции Издательства, контрагентам Издательства, в железнодорожные киоски „К-ва Печати" и во все почтово-телеграфные предприятия ЗСФСР.

კინო **სოლეი**

ხვალ ორშაბათიდან

უკანასკნელად თბილისში

მსოფლიო ფილმი

ვარიეტე

ნ. 1309

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი

დარეჯან ე. თაყაიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე.

მისამართი: ვარციხის ქ. (ყოფ. სემიონოვის) № 16. 21—1

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

თმის მკურნალობა

საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნ. გ. კონტოროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

„ზაკგოსტორგ"

(ა.-კ. სახვაჭრობის საპაიო ამხანაგობა) აცხადებს, რომ ა. წ. 27 ივნისს, შუადღის 12 საათზე „ზაკგოსტორგ"-ის შენობაში ქალ. თბილისში მუზეუმის ქ. № 2 ოთახი № 28 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

გორის, ახალციხის, ოზურგეთის და ზუგდიდის მაზრებში ხილის საწყობების აგების იჯარით გასაცემად.

ყველამ, ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა შეიტანოს „ზაკგოსტორგ"-ის სალაროში საწინდარი ხუთასი (500) მანეთის რაოდენობით თვითეულ შენობაზე, თუ ისინი კანონის მიერ არ არიან განთავისუფლებულნი ამ ვალდებულებისგან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება იქავე სამუშაო საათებში. 1310

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირატელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუსილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები.

ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

თბილისის სააქციო სავაჭრო საზოგადოება „თბილისის ვაჭრობა"-ს

დასკვნითი ბალანსი

1927 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის

აქტივი

1. ქონება	12.635	76	12.635	76
2. პაიები და აქციები	275.372	—	275.372	—
3. ნაღდი საშუალებანი				
ა) სალარო	13.199	29		
ბ) მიმდინარე ანგარიშები	8.574	44	21.773	73
4. პროცენტიანი და ფასიანი ქაღალდები	5.116	40	5.116	40
5. საკუთარი საქონელი				
ა) საქონელი საწყობებში	623.527	58		
ბ) „ გზაში	21.086	27		
გ) „ გადაცემული საკომისიოდ	427.095	56		
დ) „ მაღაზიებში	181.815	79	1.253.525	20
6. თამასუქები და სამისაღებო საბუთები				
ა) თამასუქები პორთფელში	47.081	47		
ბ) „ დახურდავებული	176.805	04		
გ) „ საინკასოთ	6.157	29		
დ) „ პროტესტქმნილი	15.733	86		
ე) ფასდადებ. და დოკ. ინკასოზე	15.341	25	261.118	91
7. ანგარიშ-ვალდებული პირები	6.860	23	6.860	23
8. დებიტორები				
ა) მყიდველები	147.516	56		
ბ) ავანსები მომწოდებლებს	121.648	44		
გ) სხვადასხვა პირები და დაწესებულებები	87.767	16		
დ) დანარჩენი დებიტორები	2.980	93	359.913	09
9. დაუმთავრებელი ოპერაციები				
ა) დაუმთავრებელი დამზადებანი	176.018	92	176.018	92
მომავალ წლების ხარჯები	32.445	83	32.445	83
ბალანსი. . . .			2.404.780	07

პასივი

1. კაპიტალი				
ა) ძირითადი კაპიტალი	500.000	—	500.000	—
2. ფონდები				
ა) ქონების ამორტიზაცია	1.447	99		
ბ) საეჭვო დებიტორების რეზერვი	3.497	63	4.945	62
3. სესხები და კრედიტები				
ა) სპეციალური მიმდინარე ანგარიშები	856.938	28	856.938	28
4. ბლანკდასმითი ვალდებულებანი				
ა) ბანკები განაღდ. თამასუქებით	176.805	04	176.805	04
5. გაცემული თამასუქები	438.295	80	438.295	80
6. კრედიტორები				
ა) მიმწოდებლები	49.590	28		
ბ) მყიდველთა ავანსები	269.579	26		
გ) მყიდველები	35.815	36		
დ) სხვადასხვა პირები და დაწესებულებები	40.560	03	395.544	93
7. მომწესრიგებელი ანგარიშები				
ა) დარიცხვები საქონელზე მაღაზიებში	21.398	58	21.398	58
8. შედეგები				
ა) 26 | 27 საოპ. წლის მოგება	10.851	82	10.851	82
ბალანსი. . . .			2.404.780	07

ბალანსის გარეშე ანგარიშები

საკომისიოდ მიღებული საქონელი	1.125—03	კომიტენტები	1.125—03

მოგება ზარალის ანგარიში 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის

1. საერთო სავაჭრო ხარჯები	265.697	69		
2. გადახდილი პროცენტები	198.145	45		
3. საეჭვო დებიტორების რეზერვი.	3.497	63		
4. ქონების ამორტიზაცია	1.447	99		
5. სხვადასხვა	370	99	469.159	75
1926 | 27 წლის მოგება	—	—	10.851	82
			480.011	57

1. შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	368.736	19		
2. მიღებული პროცენტები	44.633	13		
3. მიღებული კომისია	4.438	28		
4. დივიდენდი	15.000	—		
5. შემოსავალი დამზადებიდან	22.195	86		
6. სხვადასხვა	25.008	11	480.011	57
			480.011	57

გამგეობის თავმჯდომარე პ. ბ. ბრეგაძე

გამგეობის წევრი ლ. ს. ხუნდაძე

მთავარი ბუხჰალტერი ს. ა. ჭან[illegible]

მოგების განაწილება

1926 | 27 წლის მოგება	10.851	82		
გამოირიცხება საშემოსავლო გადასახადი	1.085	18	9.766	64
გასანაწილებელია				
1. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობ. ფონდში	976	66		
2. სათადარიგო კაპიტალში	1.953	32		
3. წამახალისებელ ჯილდოს ფონდში	24	41		
4. მეპაიეთა დივიდენდში	6.812	25		
	9.766	64	9.766	64

ბალანსი განხილული და დამტკიცებულია საუწყებათაშორისო კომისიის მიერ 1928 წ.—28 აპრილს ოქმი № 2. ნ. 1302

მთავლიტი № 904.
პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68